

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი

იამზე სურმანიძე

ბიზნესის განვითარებაზე დემოგრაფიული ფაქტორების
ზეგავლენის ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური ანალიზი და
პროგნოზირება
(აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
პროფესორი რეზო მანველიძე (ბსუ),
პროფესორი სიმონ გელაშვილი (თსუ)

ბათუმი-2022

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

იამზე სურმანიძე

ხელმოწერა:

თარიღი:

შინაარსი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი	8
თავი 1. თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	18
1.1. მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკა.....	18
1.2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი	28
1.3. მოსახლეობის განაწილება განათლების დონის მიხედვით	41
თავი 2. მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების სტატისტიკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორში.....	53
2.1. სამუშაო ძალის პოტენციალის რაოდენობრივი ანალიზი	53
2.2. დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი	67
2.3. ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი	83
თავი 3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარებაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის ანალიზი და პროგნოზირება.....	95
3.1. დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის სტატისტიკური ანალიზი	95
3.2. ბიზნესის განვითარების პროგნოზირება.....	115
3.3. დასაქმების და ბიზნესის განვითარების ეკონომეტრიკული მოდელირება.....	124
3.4. ადამიანისეული კაპიტალის ტრანსფორმაცია და ბიზნესის პოტენციალის გამოყენების ფაქტორები.....	135
დასკვნები და რეკომენდაციები	153
გამოყენებული ლიტერატურა	158
დანართი	168

აბსტრაქტი

ბიზნესის განვითარება და კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომელთა შორისაა დემოგრაფიული სიტუაცია რეგიონში. დემოგრაფიული ფაქტორები არაპირდაპირ ზემოქმედებენ ბიზნესზე და ისინი ქმნიან ბიზნესის მაკროგარემოს. დემოგრაფიულ ფაქტორებს მიეკუთვნება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, მიგრაციული პროცესები და ა.შ. ეს ფაქტორები ქმნიან შრომის ბაზრის სტრუქტურას და იძლევიან შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირების საფუძველს.

საქართველოში შრომის ბაზრის, ბიზნეს გარემოსა და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის შესწავლა არაერთ ნაშრომსა თუ პროექტში განხორციელდა, მაგრამ რეგიონებში ბიზნესის განვითარებაზე ზემოქმედი ფაქტორების შესახებ სრულყოფილი კვლევები არ არსებობს, არ არის განსაზღვრული ის დემოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებელსა და დასაქმების დარგობრივ სტრუქტურას. სწორედ, წინამდებარე ნაშრომში „ბიზნესის განვითარებაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)“ შესწავლილია დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენა ბიზნესის განვითარებაზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე და გაკეთებულია სამომავლო პროგნოზები.

სადისერტაციო ნაშრომის შესწავლის ობიექტია ბიზნეს სექტორი და მისი ძირითადი მაჩვენებლები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს ბიზნესის განვითარებაზე დემოგრაფიულ ფაქტორთა გავლენის ტენდენციები.

სადისერტაციო კვლევა მიზნად ისახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა სოციო-დემოგრაფიული სტრუქტურის, როგორც ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი საკვანძო კომპონენტის ანალიზს.

სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკურ მონაცემთა დაჯგუფების, აბსოლუტური, შეფარდებითი და საინდექსო სიდიდეების გრაფიკული ინტერპრეტირების მეთოდები, ასევე კვლევის პროცესში გამოყენებულია დროითი მწკრივების მოსწორების სტატისტიკური მეთოდები, პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდი, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი, უმცირეს კვადრატთა მეთოდი. მონაცემთა დამუშავება და ანალიზი განხორციელდა Ms Excel და Eviews კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაციის, სამუშაო ძალის და ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა კომპლექსური კვლევა ჩატარდა პირველად, რამაც მოგვცა შესაძლებლობა შევაფასოთ მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის განვითარების პოტენციალი. გაანგარიშებულია ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმების საშუალოვადიანი პროგნოზები. შეფასებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანისეული კაპიტალისა და ბიზნესის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები, გამოკვეთილია მათი განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები და განსაზღვრულია სახელმწიფო მხარდაჭერის მთავარი პრიორიტეტები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის; შემუშავებულია რეკომენდაციები ადეკვატური, დროული და მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვისთვის, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისა და მეწარმეობრივი აქტიურობის ამაღლების მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომს ვუძღვნი ჩემს მშობლებს და შვილებს.

Abstract

Business development and competitiveness depend on various factors, including the demographic situation in the region. Demographic factors indirectly affect the business and they create a business macro environment. Demographic factors include the age-sex structure of the population, natural movement rates, migration processes, etc. These factors form the structure of the labor market and provide a basis for predicting the number of working-age population.

The labor market, business environment and business development policies in Georgia have been studied in a number of papers and projects, but there are no comprehensive studies on the factors influencing business development in the regions. In this paper, "Econometric-statistical analysis and forecasting of the impact of demographic factors on business development (on the example of the Autonomous Republic of Ajara)" the study of the impact of demographic factors on business development in the Autonomous Republic of Ajara is studied, based on econometric-statistical analysis.

The object of study of the dissertation is the business sector and its main indicators in the Autonomous Republic of Ajara, and the subject of research is the trends of the influence of demographic factors on business development.

The aim of the dissertation research is to analyze the socio-demographic structure of employees in small and medium enterprises operating in the Autonomous Republic of Ajara as a key component of business development.

The methodological basis of the dissertation research is graphical interpretation methods of statistical data grouping, absolute, relative and index values, as well as statistical methods of time series correction, prediction extrapolation method, correlation-regression analysis. Data processing and analysis was performed using Ms Excel and Eviews software.

In the Autonomous Republic of Ajara, a comprehensive survey of the current demographic situation, labor force and business sector employees was conducted for the first time, which enabled us to assess the development potential of the small and medium business sector. Medium-term forecasts for product output and employment in the business sector are calculated. The opportunities for the use of human capital and business potential in the

Autonomous Republic of Ajara have been assessed, the factors hindering their development have been identified, and the main priorities of state support for the promotion of small and medium-sized businesses in the Autonomous Republic of Ajara have been identified; Recommendations for the introduction of adequate, timely and stimulating mechanisms have been developed to improve the demographic situation and increase entrepreneurial activity.

I dedicate the dissertation work to my parents and children.

შესავალი

რეგიონული დემოგრაფია ყოველთვის ექცევა როგორც სოციოლოგთა და სტატისტიკოსთა, ისე ეკონომისტთა ინტერესის და კვლევის ობიექტთა სიაში, რადგანაც ის შეისწავლის ცალკეული რეგიონების მოსახლეობის ფორმირებისა და აღწარმოების კანონზომიერებებს, მათ შორის მოსახლეობის შემცირებისა და მისი დაბერების პრობლემებს, რეპროდუქციული პოტენციალის, ეროვნული დემოგრაფიული უსაფრთხოების გავლენას ქვეყნის (რეგიონის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებზე. შრომის ბაზრის ფორმირება მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის დემოგრაფიულ პარამეტრებთან, ამიტომაც ამ საკითხების კვლევა მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტენდენციების და თავისებურებების გამოვლენის შესწავლას მოითხოვს.

ბოლო ათწლეულებში საკმაოდ აქტუალურია დემოგრაფიული ინფორმაციის გამოყენება ბიზნეს სექტორში. ბიზნეს დემოგრაფია იგივე „დემოგრაფიქსი“¹ გამოყენებითი დემოგრაფიის ის სფეროა, რომელიც ემყარება დემოგრაფიული ცოდნის გამოყენებას ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად კონკრეტულ კონტექსტში. ბიზნეს დემოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი დარგი, წარმოიშვა მეოცე საუკუნის ბოლოს, დემოგრაფიული ანალიზის მარკეტინგულ გამოკვლევებში გამოყენების მიზნით (Stanley K. Smith and Peter A. Morrison, 2005, გვ. 6). დღეისათვის ბიზნეს დემოგრაფია იქცა საკმაოდ მძლავრ მექანიზმად, რომლის გარეშეც ფაქტობრივად შეუძლებელია კონკურენტულ ბიზნეს გარემოში ფუნქციონირება.

ლუის პოლმა და რიჩარდ თომასმა თავიანთ ნაშრომში “Demography For Business Decision Making” წარმოადგინეს მოკლე, მაგრამ ინტენსიური შესავალი ბიზნეს დემოგრაფიის კონცეფციასა და მეთოდებში, სადაც აღნიშნულია არსებული დემოგრაფიული ტენდენციების მნიშვნელობა ბიზნესისათვის. მათ მიერ წარმოდგენილ და განხილულ პრაქტიკულ მაგალითებში ისინი აღწერენ

¹ დემოგრაფიქსი (ინგლ. Demographics) - ტერმინი, რომლითაც აშშ და დასავლეთის რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში აღნიშნავენ დემოგრაფიული მონაცემებისა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ბიზნესში, ძირითადად მარკეტინგში (წულაძე გ.,..., 2015, გვ. 18).

თანამედროვე დემოგრაფიული მეთოდების გამოყენებას ბიზნესში გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Louis G. Pol,&Richard K. Thomas, 1997).

დემოგრაფიული ანალიზი თანდათან ხდება ბიზნესში გადაწყვეტილების მიღებისა და ბიზნესის რეგულირების განუყოფელი ნაწილი. თუმცა დემოგრაფიული ანალიზი აუცილებელია, არა მხოლოდ გადაწყვეტილების მისაღებად, მაგალითად, გაყიდვების სფეროში, არამედ ასევე კომპანიის შიგნით შრომითი რესურსების განაწილების პოლიტიკის დასაგეგმად (Stanley K. Smith and Peter A. Morrison, 2003, გვ. 5). დღეისათვის ბიზნეს-დემოგრაფიის პრაქტიკული გამოყენების არეალი გასცდა თავდაპირველ ფარგლებს (მარკეტინგის სფეროს) და უფრო გაფართოვდა. ვფიქრობთ, დემოგრაფიული პროცესების და ბიზნესის განვითარების ტენდენციების ურთიერთკავშირის შესწავლა საკმაოდ საინტერესო და აქტუალურია როგორც ქვეყნის, ისე რეგიონულ დონეზე.

ცნობილი ქართველი დემოგრაფები პ. გუგუშვილი, ნ. ადეიშვილი, ა. თოთაძე, ვ. ლორთქიფანიძე, გ. მელაძე, ა. სახვაძე, გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. სულაბერიძე, ლ. ჩიქავა, გ. ფირცხალავა, ვ. ჯაოშვილი, თავიანთ კვლევებსა და ნაშრომებში აღწერდნენ თანამედროვე დემოგრაფიულ ტენდენციებს საქართველოში, მათ რეგიონულ თავისებურებებსა და პრობლემებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა საქართველოს რეგიონებს შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლების თავისებურებებზე.

საქართველოს შრომითი რესურსების კვლავწარმოებას, შრომითი პოტენციალის ფორმირებას მიუძღვნეს თავიანთი ნაშრომები პ. გუგუშვილმა, მ. ტუხაშვილმა, გ. ადეიშვილმა, მ. ცარციძემ, ნ. ჭელიძემ, მ.თორიამ, ნ. პაიჭაძემ, ნ. ლაცაბიძემ და სხვებმა.

დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდების გამოყენებას დემოგრაფიული ანალიზის პროცესში არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს პროფესორებმა გ. გამყრელიძემ, ს. გელაშვილმა, ნ. აბესაძემ, მ. შელიამ, მ. ხმალაძემ, ქ. ჩიტალაძემ და სხვებმა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ სულ უფრო აქტუალური გახადა ბიზნესის თემა და მისი განვითარების აუცილებლობა საქართველოში. ალტერნატივა არა აქვს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეწარმეობა (ბიზნესი) არის ინოვაციის, პროდუქტიულობის ზრდის, კონკურენტუნარიანობის, ეკონომიკური ზრდისა და

სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა რეგიონულ დონეზე უნდა მიანიჭონ მნიშვნელობა სამეწარმეო საქმიანობასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის კავშირს.

სამეწარმეო საქმიანობის როლი და მნიშვნელობა, მისი პრობლემები და აქტუალობა შესწავლილია ქართველი მეცნიერების ნაშრომებში (გ. ერქომაიშვილი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ნ. ჭითანავა, მ. თოქმაზიშვილი, რ. ასათიანი და სხვები). სწორედ ბიზნესის განვითარებაში და ხელსაყრელი გარემოს შექმნაშია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური რეალიზების შესაძლებლობები.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი კვლევაა ჩატარებული საქართველოში დემოგრაფიული გარემოს შესასწავლად, დროის ცვალებადობასთან ერთად აუცილებელია ცალკეულ რეგიონებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების თავისებურებების შესწავლა და გათვალისწინება მიკრო თუ მაკრო დონეზე დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

ბიზნეს საქმიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორისაა დემოგრაფიული სიტუაცია რეგიონში; განათლების დონე; ოჯახური მდგომარეობა; შემოსავლების საშუალო დონე და საარსებო მინიმუმი, კულტურული გარემო და მორალური ღირებულებები, რელიგია და ა. შ. სოციო-დემოგრაფიული ფაქტორები არაპირდაპირ ზემოქმედებენ ბიზნესზე და ქმნიან ბიზნესის მაკროგარემოს. დემოგრაფიულ ფაქტორები, როგორცაა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები, მიგრაციული პროცესები და ა.შ. ქმნიან შრომის ბაზრის სტრუქტურას და იძლევიან შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზირების საფუძველს.

საქართველოში შრომის ბაზრის, ბიზნეს გარემოს და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის შესწავლა არაერთ ნაშრომსა (გველესიანი, 1999), (Erkomaishvili, 2016), (თოქმაზიშვილი, 2010), (მექვაბიშვილი, 2010) თუ პროექტში (OECD, Recommendations for Georgia's SME Development Strategy, 2016), (OECD, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში), (MSDG, 2019) განხორციელდა, მაგრამ რეგიონებში ბიზნესის განვითარების შესახებ სრულყოფილი კვლევები არ არსებობს, არ არის სრულად შესწავლილი ის

დემოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებელსა და დასაქმების დარგობრივ სტრუქტურას. არ არის შეფასებული რეგიონში დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენით ბიზნესის განვითარების სამომავლო პროგნოზები.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენა ბიზნესის განვითარებაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე და გაკეთებულია სამომავლო პროგნოზები.

კვლევის ობიექტი და საგანი. სადისერტაციო ნაშრომის შესწავლის ობიექტია ბიზნეს სექტორი და მისი ძირითადი მაჩვენებლები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს ბიზნესის განვითარებაზე დემოგრაფიულ ფაქტორთა გავლენის ტენდენციები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო კვლევა მიზნად ისახავს ბიზნესის განვითარებაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის სტატისტიკურ-ეკონომეტრიკულ ანალიზსა და ბიზნესის განვითარების პროგნოზირებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა სოციო-დემოგრაფიული სტრუქტურის, როგორც ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი საკვანძო კომპონენტის ანალიზს.

დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა განაწილების ანალიზი დარგებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, განათლების დონისა და ხელფასების ანალიზი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების ეკონომეტრიკული მოდელის აგება, მის საფუძველზე სათანადო პროგნოზების შემუშავება და მათი შეფასება.

კვლევის ამოცანების განხორციელების გზები და ეტაპები:

- თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში;
- მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის და ბიზნეს სექტორში დასაქმების სტატისტიკური ანალიზი;
- კვლური შერჩევის საფუძველზე ჩატარებული მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა დემოგრაფიული მაჩვენებლების კვლევის ანალიზი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ადამიანისეული კაპიტალის და ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა.

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორიები, ბიზნესის თეორია, საქართველოს საკანონმდებლო აქტები, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა თეორიული და პრაქტიკული ნაშრომები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკურ მონაცემთა დაჯგუფების, აბსოლუტური, შეფარდებითი, საინდექსო სიდიდეების და გრაფიკული ინტერპრეტირების მეთოდები, ასევე კვლევის პროცესში გამოყენებულია დროითი მწკრივების მოსწორების სტატისტიკური მეთოდები, პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდი, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი, უმცირეს კვადრატთა მეთოდი. მონაცემთა დამუშავება განხორციელდა Ms Excel და Eviews კომპიუტერული პროგრამების საშუალებით. ემპირიულ კვლევებში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები. ნაშრომში განახლებულია დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სტატისტიკა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ასევე გამოყენებულია აჭარის დასაქმების სააგენტოს მიერ მოწოდებული და ავტორისეული კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები, მსოფლიო ბანკისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემები, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების კვლევები და პუბლიკაციები, დემოგრაფიული და ბიზნეს

მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიები, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, რეგიონული განვითარების გეგმები, სამთავრობო ანგარიშები, პროგრამები და სტრატეგიები.

კვლევის სამიზნე ჯგუფი. კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოები, რამდენადაც ბიზნეს სუბიექტების მეტი წილი მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის. აჭარის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 78% მცირე და საშუალო საწარმოშია დასაქმებული. კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ მაღალმთიან აჭარაში არსებულ საწარმოებში დასაქმებულთა დემოგრაფიული ნიშნების შესწავლაზე, რამდენადაც მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში განსხვავებული სოციალური და დემოგრაფიული სიტუაციაა. შედარებითი ანალიზისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ მუნიციპალიტეტების ორ ჯგუფად დაყოფა. ერთ ჯგუფში: ხელვაჩაურის, ბათუმის, ქობულეთის მუნიციპალიტეტები, მეორე ჯგუფში - ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტებია. შერჩევის ერთ-ერთი ამოცანა მაღალმთიანეთში არსებული პრობლემების გამოკვეთაა, როგორცაა ახალგაზრდების მიგრაცია, მოსახლეობის დაბერება, შემოსავლების სიმცირე და განათლების ხელმისაწვდომობა. ცხადია, მოლოდინი დასაქმებულების სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურასთან მიმართებაში იყო ის, რომ ამ ჯგუფში ახალგაზრდებისა და ქალების წილი ძალიან მცირე იქნებოდა. ასევე განათლების დონესთან მიმართებაში მოლოდინი, რომ დასაქმებულთა განათლებისა და პროფესიული გამოცდილების დონე იქნებოდა დაბალი. რაც შეეხება ხელვაჩაურს, ბათუმსა და ქობულეთს, საწარმოების 90%-მდე ამ მუნიციპალიტეტებშია. საწარმოო სიმძლავრეების თვალსაზრისით, აქ დასაქმების მასშტაბები უფრო დიდია, განათლებისა და პროფესიული გამოცდილების მიღების მეტი შესაძლებლობებია. რადგან კვლევა დასაქმებულთა დემოგრაფიულ მახასიათებლებს შეისწავლის, შევეცადეთ შეგვეჩიხა სხვადასხვა დარგის ისეთი საწარმოები და კომპანიები, სადაც დასაქმებულია სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისა და პროფესიის ქალები, კაცები. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა ბევრად ნაკლები კომპანია, ამის გამო კვლევის სამიზნე ჯგუფის ზომა საკმაოდ შემცირდა. ამ შემთხვევაში, შერჩევის მიზანმიმართულობამ განაპირობა კვლევითი შერჩევის

უპირატესობა. კვლური შერჩევა არაალბათური შერჩევის ტიპია, შესაბამისად არ ხდება შერჩევის ცდომილების და ნდობის ინტერვალის შეფასება (წულაძე, 2008).

მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები. კვლევა ჩატარდა გამოკითხვის მეთოდით თვითადმინისტრირებული კითხვარის შევსების გზით. გამოკითხვის ეს გზა იმიტომ შევარჩიეთ, რომ არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედ საწარმოებში დასაქმებულთა დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ. კითხვარი გაეგზავნა 50-მდე საშუალო და 250-მდე მცირე საწარმოს, კერძოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებს. აქედან შევსებული კითხვარი გამოგზავნა 165-მა საწარმომ, რომელთაგან 12 კითხვარი არასრულყოფილად იყო შევსებული. საბოლოო ჯამში, საანალიზო კითხვართა რაოდენობამ შეადგინა 153 ერთეული. გამოკითხვის შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზის საშუალებით. შედგა რამდენიმე ბივარიაციული ცხრილი, ჩამოყალიბდა საწყისი ჰიპოთეზები და ამ ჰიპოთეზების შემოწმება განხორციელდა დისპერსიული ანალიზის საფუძველზე.

კვლევის ჰიპოთეზები. კვლევის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით შემუშავდა რამდენიმე ჰიპოთეზა ანუ წინასწარი მოლოდინები კვლევის ამოცანებთან დაკავშირებით:

ჰიპოთეზა 1: ასაკი ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე;

ჰიპოთეზა 2: სქესი ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე;

ჰიპოთეზა 3: განათლება ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე;

ჰიპოთეზა 4: ოჯახური მდგომარეობა ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე;

არსებული კვლევებიდან გამომდინარე, გვაქვს მოლოდინი, რომ დასაქმებულთა დემოგრაფიული მახასიათებლები მნიშვნელოვანი ფაქტორებია დასაქმებაში. ჰიპოთეზების შემოწმების ეტაპი განსაზღვრავს კვლევის დასკვნით ნაწილს და მოგვცემს საშუალებას გავაკეთოთ ინდივიდუალური საპროგნოზო შეფასება.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

- შეფასებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების განვითარების მიმართულებები, გამოვლენილია რეგიონული თავისებურებები და მოსალოდნელი ტენდენციები;
- ჩატარებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამუშაო ძალისა და ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა კომპლექსური კვლევა შრომითი რესურსების პოტენციალის არსებული ტენდენციების შესწავლისა და საპროგნოზო შეფასებების მიზნით;
- დადგენილია ბიზნეს სექტორში შრომის პროდუქტიულობის დონეები, ეკონომიკური საქმიანობისა და საწარმოთა ზომის მიხედვით ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების ინდექსების გამოყენებით;
- გაანგარიშებულია ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვების მოცულობისა და დასაქმებულთა რაოდენობის საშუალოვადიანი პროგნოზები ექსტრაპოლაციის მეთოდების გამოყენებით, შეფასებულია პროგნოზირების ცდომილებები;
- შეფასებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობისა და მათი პროდუქტიულობის გავლენა ბიზნეს სექტორის განვითარებაზე ეკონომეტრიკული მოდელის, კერძოდ, ლოგარითმული რეგრესიის მოდელის საშუალებით;
- გამოკვლეული და გაანალიზებულია მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა დემოგრაფიული მახასიათებლების ზეგავლენა ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებელზე დისპერსიული ანალიზის საშუალებით და გაკეთებულია ინდივიდუალური საპროგნოზო შეფასებები;
- შეფასებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანისეული კაპიტალისა და ბიზნესის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები, გამოკვეთილია მათი განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები და განსაზღვრულია სახელმწიფო მხარდაჭერის მთავარი პრიორიტეტები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის;

- შემუშავებულია რეკომენდაციები ადეკვატური, დროული და მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვისთვის. დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისა და მეწარმეობრივი აქტიურობის ამაღლების მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაციების და ტენდენციების დასახასიათებლად, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში დასაქმებაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის შესაფასებლად და სამომავლო პროგნოზების შესამუშავებლად. ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნას რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოტენციალის მეცნიერული შეფასებისათვის. ამასთან გამოიკვეთოს ხელშემშლელი მიზეზები და შემუშავდეს ის რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ბიზნესის სამომავლო განვითარებას.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია, ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის მიმართულებით, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მომზადებისას. ასევე ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება ფართო მასშტაბით საკმაოდ საინტერესო იქნება ამ სფეროს მკვლევრებისთვის.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაციები:

დისერტაციაში განხილული საკითხები მოხსენების და სტატიების სახით წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე, ადგილობრივ და უცხოურ რეფერირებად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში:

1. Glonti, V. , Manvelidze, R. , & Surmanidze, I. (2021). **The Contribution of SME to Regional Economic Development: On example of Ajara Autonomous Republic.** *European Journal of Sustainable Development*, 10(1), 513. <https://doi.org/10.14207/ejsd.2021.v10n1p513>
2. Surmanidze I. (2020). **Statistical Analysis of the Key Indicators of Small Business** (on the example of Ajara). *Globalization and Business*, №9, pp. 42-49. <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.005>
3. სურმანიძე, ი. (2020). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული (გვ. 351-359). თბილისი.

<http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2020konf.pdf>

4. სურმანიძე, ი. (2021). აჭარის ბიზნეს სექტორში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი. ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“ მასალები.

<https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=1&cat=pers&leng=ge>

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 180 გვერდისაგან. ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, 3 თავს, 10 ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, 112 დასახელების გამოყენებული ბიბლიოგრაფიული წყაროს ჩამონათვალსა და დანართებს 13 გვერდის ოდენობით.

თავი 1. თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

1.1. მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკა

რეგიონში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის და პროცესების უკეთ შესაფასებლად გამოიყენება არაერთი მაჩვენებელი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორცაა მოსახლეობის აღწარმოების და მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მაჩვენებლები. ეს უკანასკნელი მოსახლეობის ერთ-ერთი სინთეზური სოციალური მახასიათებელია. მისი ანალიზის საფუძველზე შეიძლება მოსახლეობის აღწარმოების თავისებურებების გამოვლენა, საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანდაცვის და განათლების სისტემების შემუშავება-განვითარება. დემოგრაფიული ვითარება აისახება შრომითი რესურსების ფორმირებაზე, რომლის ნაწილს შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ანუ სამუშაო ძალა. სამუშაო ძალის განაწილებაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს დემოგრაფიული დაბერება. მის ფონზე ფასდება არსებული ადამიანისეული კაპიტალი და მისი პროდუქტიულობა. ის, თუ რამდენად შეუძლია მას შექმნას მატერიალური თუ არამატერიალური დოვლათი, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგ., ასაკი, სქესი, ფიზიკური შესაძლებლობა, სამუშაო გარემო, ცოდნა-განათლება და სხვ. სწორედ სამუშაო ძალის ოდენობა განსაზღვრავს რეგიონში დასაქმების დონეს, რომლითაც ხასიათდება რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ჩვენი აზრით, მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლა არის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციების გამოვლენის საფუძველი.

ამ ქვეთავში განვიხილავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის ძირითად მაჩვენებლებსა და მათ სტატისტიკურ ანალიზს. ანალიზისათვის გამოყენებული დემოგრაფიული სტატისტიკის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგად მიღებული მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედის 5 მუნიციპალიტეტი, 2 ქალაქი, 5 დაბა, 52 თემი, სულ 322 სოფელი (სტატისტიკის ეროვნული სამსახური; აჭარის მოსახლეობა). აჭარის მოსახლეობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 351,9 ათას კაცს, რაც საქართველოს მოსახლეობის 9,5%-ია. აქედან საქალაქო დასახლებებში მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 200,6 ათასს (57%), ანუ 1,5%-ით გაზრდილია წინა წელთან შედარებით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 151,3 ათასს (43%), რაც უმნიშვნელოდ განსხვავდება წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლისგან (სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

საქართველოს მოსახლეობის 2002-სა და 2014 წლების საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა 10,6%-ითაა (დაახლოებით 40 000 ადამიანით) შემცირებული. მაგრამ ეს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით (წულაძე გ.,..., 2016). ბოლო აღწერიდან დღეისათვის აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა 5,4%-ით გაიზარდა. საქალაქო დასახლებებში-8,5%-ით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 1,4%-ით გაიზარდა (იხ. ცხრილი 1.1.1)

ცხრილი 1.1.1: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით

აღწერის შედეგები	მოსახლეობა, სულ	მამაკაცი	ქალი	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
2002	376 016	165 604	176 484	166 880	175 208
2014	333 953	162 928	171 025	184 774	149 179
პროცენტული ცვლილება	-10,6%	-1,6%	-3,0%	+10,7%	-14,9%
2020	351 892	-	-	200 566	151 326
პროცენტული ცვლილება	+5,4%	-	-	+8,5%	+1,4%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქალაქო დასახლებების მოსახლეობის წილი შეადგენდა აჭარის მთელი მოსახლეობის 44,3%-ს, ხოლო

სასოფლო დასახლებების მოსახლეობის წილი კი 55,7%-ს. 2014 წლის აღწერით კი დადგინდა საპირისპირო სიტუაცია. საქალაქო დასახლებების მოსახლეობა 10,7%-ით გაიზარდა, სასოფლო დასახლებების კი თითქმის 15%-ით შემცირდა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში გადააჭარბა ქალაქის მოსახლეობის წილმა სოფლის მოსახლეობისას. ქვეყანაში ურბანიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (55,3%) დაფიქსირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში (თბილისის შემდეგ). მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში შეინიშნება (იხ. ცხრილი 1.1.2).

ცხრილი 1.1.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

თვითმმართველი ერთეული	წილი მთლიან მოსახლეობაში,%	
	2014	2020
აჭარის	100	100
ქ. ბათუმი	46	48
ქედის მუნიციპალიტეტი	5	4
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	22	21
შუახევის მუნიციპალიტეტი	5	4
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	15	15
ხულოს მუნიციპალიტეტი	7	7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; აჭარის მოსახლეობა.


როგორც ცხრილიდან ჩანს, აჭარის მოსახლეობის ყველაზე მეტი წილი 2014 წელს მოდიოდა ქალაქ ბათუმზე, ხოლო ყველაზე ნაკლები წილი - ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებზე. ბათუმი ყველაზე დიდი თვითმმართველი ქალაქია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში. აქ ცხოვრობდა აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 46% და ურბანული მოსახლეობის 82,7%.

იმის გამო, რომ შეიცვალა ბათუმისა და ხელვაჩაურის ადმინისტრაციული საზღვრები (ხელვაჩაურისა და მახინჯაურის დაბები მიუერთდა ბათუმის მუნიციპალიტეტს), მოხდა ბათუმის მოსახლეობის მკვეთრი ზრდა ბოლო აღწერებს შორის (25%-ით). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 169,1

ათას კაცს შეადგენს, რაც რეგიონის მოსახლეობის 48% ანუ თითქმის ნახევარი და საქართველოს მოსახლეობის 4,5%-ია.

რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის დინამიკას 2000 წლიდან დღემდე, კლებადი ტენდენცია შეიცვალა მზარდი ტენდენციით 2012 წლიდან (იხ. დიაგრამა 1.1.1).


დიაგრამა 1.1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დინამიკა 2000-2020 წლებში (ათასი კაცი)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობის განაწილების დინამიკა და მოსახლეობის პროცენტული ცვლილება 2000-2020 წლებში ქალაქი/სოფლის ჭრილში ასეთია: (იხ. დანართი 1.1 და დიაგრამა 1.1.2)

დიაგრამა 1.1.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ქალაქი/სოფლის ჭრილში 2000-2020 წწ. (ათასი კაცი)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2000 წლიდან 2012 წლამდე სასოფლო დასახლებების მოსახლეობაც და საქალაქო დასახლებების მოსახლეობაც მუდმივად მცირდებოდა, მაგრამ 2012 წლის შემდეგ დაიწყო ზრდა, თუმცა სასოფლო დასახლება უმნიშვნელოდ, ხოლო საქალაქო დასახლება საგრძნობლად გაიზარდა. 2012 წლამდე სოფლის მოსახლეობის წილი აღემატებოდა ქალაქისას, 2012 წლიდან კი პირიქით, ქალაქის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა. ამ ნეგატიური ტენდენციის შესახებ ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე აღნიშნავს: „განსაკუთრებით მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა სოფლად. მოსახლეობის ორ უკანასკნელ აღწერას შორის პერიოდში (2002-2014 წლები) მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში“ (თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა, 2018).

როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით საკმაოდ არათანაბარი განაწილებით გამოირჩევა (იხ. ცხრილი 1.1.3.).

მოსახლეობის არათანაბარი განაწილება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა რეგიონულ განვითარებაში. ურბანიზაციის ტენდენცია შეინიშნება არა მარტო აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში და მნიშვნელოვნად გაზრდილია ურბანიზაციის მაჩვენებელი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის 58% ცხოვრობს ქალაქად. ურბანიზაციის პროცესი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან. მთლიან ეკონომიკაში მატულობს მომსახურებისა და მრეწველობის დარგების წილი სოფლის მეურნეობასთან შედარებით. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მეტი წილი მოდის დიდ ქალაქებზე, რამაც განაპირობა ურბანიზაციის სწრაფი ზრდის ტენდენცია. ურბანიზაციის შედეგად მოხდა მოსახლეობის წილის ზრდა ქალაქში, ადამიანისეული კაპიტალის თავმოყრა, საწარმოების კონცენტრირება, პროდუქტიულობის ზრდა და ინფრასტრუქტურის განვითარება. დიდია ურბანიზაციის გავლენა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ მხრივ, როგორც ბათუმს, ასევე მუნიციპალურ ცენტრებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება რეგიონის განვითარებაში. ბოლო წლებში ბათუმი, როგორც ქვეყანაში სიდიდით მეორე ქალაქი, გამოირჩევა

მაღალი ეკონომიკური ზრდით, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი სამშენებლო სექტორის გაფართოებამ და ინვესტიციების მოცულობის ზრდამ.

ცხრილი 1.1.3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების და საქალაქო/სასოფლო დასახლებების მიხედვით, 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი)

რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, დაბა	აჭარა	ქ. ბათუმი	ქედა	ქობულეთი	შუახევი	ხელვაჩაური	ხულო	
2015	სულ	336,6	155,2	16,7	74,5	15,2	51,1	24,0
	საქალაქო დასახლება	187,1	155,2	1,5	28,7	0,8		1,0
	სასოფლო დასახლება	149,5		15,3	45,7	14,4	51,1	23,0
2016	სულ	340,2	158,2	16,8	74,1	15,1	51,5	24,5
	საქალაქო დასახლება	190,1	158,2	1,4	28,8	0,8		1,0
	სასოფლო დასახლება	150,0		15,3	45,3	14,4	51,5	23,5
2017	სულ	343,0	160,8	16,8	73,6	15,1	51,8	25,0
	საქალაქო დასახლება	192,6	160,8	1,4	28,7	0,7		1,0
	სასოფლო დასახლება	150,4		15,4	44,9	14,4	51,8	24,0
2018	სულ	346,3	163,4	16,8	73,4	15,1	52,1	25,5
	საქალაქო დასახლება	195,2	163,4	1,4	28,7	0,7		1,0
	სასოფლო დასახლება	151,1		15,4	44,7	14,4	52,1	24,5
2019	სულ	349,0	166,0	16,8	72,8	15,1	52,4	25,9
	საქალაქო დასახლება	197,7	166,0	1,4	28,6	0,7		1,0
	სასოფლო დასახლება	151,4		15,5	44,2	14,4	52,4	24,9
2020	სულ	351,9	169,1	16,8	72,2	15,0	52,6	26,3
	საქალაქო დასახლება	200,6	169,1	1,3	28,5	0,7		0,9
	სასოფლო დასახლება	151,3		15,5	43,6	14,3	52,6	25,3


წყარო: (საქსტატი, დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, 2019).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მცირემიწიანი რეგიონია, ამ პრობლემის გამო მოსახლეობა ამჟობინებს ურბანულ ტერიტორიაზე ცხოვრებას და საქმიანობას.

ამიტომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროექტებია განსახორციელებელი. ამ მიზნისთვის ამოქმედდა ე.წ. „მთის კანონი“, რომლის მიზანია საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (საქართველოს პარლამენტი, კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, 2015).

დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლის პროცესში, ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებების შესწავლა. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით 2014 წლისთვის აჭარის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის დასახლებების მიხედვით, წარმოდგენილია დანართი 1.2-ში და დიაგრამა 1.1.3-ზე.

დიაგრამა 1.1.3. აჭარის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა საქალაქო/სასოფლო დასახლებების მიხედვით (2014 წლის აღწერის შედეგები)




წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

განაწილებიდან ცხადად ჩანს, რომ საქალაქო დასახლებაში ყველაზე მეტად 25-44 წლების ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობა აჭარბებს სასოფლო დასახლების იმავე კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობას, ხოლო სასოფლო დასახლებაში 70 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა აჭარბებს საქალაქო


დასახლების მოსახლეობის იმავე კატეგორიის რიცხოვნობას, რაც სამუშაო ძალის შიდა მიგრაციის შედეგია.

აჭარის მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით წარმოდგენილია 1.1.4-ა, ბ დიაგრამებზე:

დიაგრამა 1.1.4.-ა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით (2014 წლის აღწერის შედეგები)



დიაგრამა 1.1.4.-ბ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა (2014 წლის აღწერის შედეგები)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მოსახლეობის ყველაზე მეტი წილი 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის (8,5% ანუ 28 463), შემდეგ მოდის 20-24 წლის კატეგორია - დაახლოებით 8%. საერთო ჯამში 20-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა შეადგენს მთელი აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 16,5%-ს. 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს 19,7%-ს, ხოლო 65 და უფრო მეტის ასაკის მოსახლეობის წილი-დაახლოებით 11%-ს. 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი მოსახლეობაში შედარებით დაბალია (6,5%). მოსახლეობაში 15-29 წლის ახალგაზრდების წილი დაახლოებით მეოთხედს, ანუ 25%-ს შეადგენს. ამ მხრივ აჭარა საქართველოს სხვა რეგიონებს შორის გამოირჩევა მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობითა და დაბერებული მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილით (წულაძე გ.,..., 2016, გვ. 35). 15-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 64,7%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიან მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის წილი ამ პერიოდში ყველაზე მაღალი იყო. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის განიერი ფუძისა და ვიწრო თხემის ფორმა მიუთითებს შესაბამისად შობადობის უფრო მაღალ დონეზე წინა წლებთან შედარებით და სიცოცხლის ნაკლებ ხანგრძლივობაზე, სიკვდილიანობის დონის ზრდაზე. ახალშობილთა სქესობრივი ნიშნით განაწილება თითქმის თანაბარია. პირამიდის შუა განიერი ნაწილი მიუთითებს ახალგაზრდა მოსახლეობის რიცხოვნობას.

ასაკობრივი სტრუქტურის დასახასიათებლად სტატისტიკაში გამოიყენება დემოგრაფიული დატვირთვის² მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლებია ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი $K_1 = \frac{S_{0-15}}{S_{15-59}} \cdot 1000$, ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი $K_2 = \frac{S_{60+}}{S_{15-59}} \cdot 1000$ და საერთო დატვირთვის კოეფიციენტი $K_3 = K_1 + K_2 = \frac{S_{0-15} + S_{60+}}{S_{15-59}} \cdot 1000$, რითაც შეიძლება შევაფასოთ შრომისუნარო და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის თანაფარდობა (რობიტაშვილი, 2018). აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის გამოთვლილი კოეფიციენტები წარმოდგენილია 1.3.4 ცხრილში:

² დემოგრაფიული ტვირთი - ბავშვებისა და ასაკოვანი მოსახლეობის (არასამუშაო ასაკის) ფარდობა 1000 სულ აქტიური შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობასთან.

ცხრილი 1.1.4. დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები

დატვირთვის კოეფიციენტები	სულ მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
K_1	304	307	300
K_2	242	222	115
K_3	546	529	415

წყარო: გაანგარიშებულია ავტორის მიერ 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით.

დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტების მიხედვით შეიძლება ითქვას, დემოგრაფიული ტვირთი თითქმის თანაბრად ნაწილდება შრომისუნარიან და შრომისუნარო მოსახლეობაზე, ამასთან ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიული ტვირთი აღემატება სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიულ ტვირთს, ხოლო ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი სჭარბობს ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტს, რაც ხანდაზმულობის ასაკის ნაკლებად მიღწევის მანიშნებელია (მაღალი შობადობა და სიცოცხლის მცირე ხანგრძლივობა). მოსახლეობის ასეთი სტრუქტურა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის წინაპირობაა. სამწუხაროდ, მონაცემთა არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა ამ კოეფიციენტების გაანგარიშება 2019-2020 წლებისთვის და შედარებითი ანალიზი, თუმცა მომდევნო თავში განხილული მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებლები გვამღებს დინამიკაში შევაფასოთ სამუშაო ძალის პოტენციალი.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოვლინდა აჭარის და მისი თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების განსხვავებული ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის კლების ფონზე, ადგილი აქვს აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას, რაც მისასაღმებელი ფაქტია. თუმცა, შეინიშნება სოფლის მოსახლეობის კლების ტენდენცია. მოსახლეობის ყველაზე მეტი შემცირება გამოვლინდა მაღალმთიან რაიონებში, რაც გამოწვეულია როგორც შობადობის შემცირებით, ასევე შიდა და გარე მიგრაციით.

ის, რომ საქართველოს სხვა რეგიონებს შორის, აჭარის მთლიან მოსახლეობაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის წილი ყველაზე მაღალია,

გამოირჩევა მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობითა და დაბერებული მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილით, ჩვენი შეხედულებით, იძლევა ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველს შრომითი რესურსების გაზრდისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით (სურმანიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი, 2020).

1.2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი

ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა მოსახლეობის აღწარმოება, ქორწინება-განქორწინება, შობადობა და სიკვდილიანობა და სხვ. მათი განხილვა აუცილებელია ასევე რეგიონულ კონტექსტში, რათა შეფასდეს რეგიონის დემოგრაფიული რესურსები და მის საფუძველზე შემუშავდეს ადეკვატური პოლიტიკური მიდგომა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკას.

მოსახლეობის გამრავლება, იგივე აღწარმოება, ვიწრო გაგებით არის თაობათა ცვლის პროცესი ე. წ. ბუნებრივი გზით (შობადობა და გარდაცვალება). ფართო გაგებით კი ის არის მოსახლეობის მუდმივი განახლება ბუნებრივი მოძრაობის, მიგრაციის, ადამიანთა ერთი სოციალური ჯგუფიდან მეორეში გადასვლის შედეგად.


ბუნებრივი მოძრაობა ხასიათდება აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით. აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: დაბადებულთა, გარდაცვლილთა რაოდენობები და მათი სხვაობა, ანუ აბსოლუტური ბუნებრივი ნამატი. შეფარდებით მაჩვენებლებს განეკუთვნებიან ქორწინება-განქორწინების, შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტები. სწორედ ეს მაჩვენებლები და მათი სტატისტიკური ანალიზი გამოიყენება რეგიონში არსებული დემოგრაფიული სიტუაციის და პროცესების უკეთ შესაფასებლად.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლის ერთ-ერთი კომპონენტი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მისი ტენდენციების შესწავლაა.

ბუნებრივი მოძრაობის მახასიათებლებში შედის ქორწინება-განქორწინების, შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი მაჩვენებლები, ე. წ. ზოგადი კოეფიციენტები, რომლებიც იზომება პრომილეში (‰). ისინი უჩვენებენ შესაბამისად ამ მაჩვენებლების რაოდენობებს მოსახლეობის 1000 სულზე (წულამე გ.,..., 2015, გვ. 164,208,269).

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციების შესწავლა დავიწყოთ ქორწინებისა და განქორწინებების მაჩვენებლების დინამიკის ანალიზით. ქორწინება წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესების მნიშვნელოვან ფაქტორს, რადგან ის მეტწილად განსაზღვრავს შობადობას. აჭარაში რეგისტრირებული ქორწინებებისა და განქორწინებების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დინამიკური განვითარება საკმაოდ ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. 2003 წლამდე უმნიშვნელოდ მცირდებოდა ქორწინებათა რაოდენობა, ხოლო 2004 წლიდან მნიშვნელოვნად იზრდებოდა 2008 წლამდე, 2013 წლიდან კი ისევ დაიწყო ინტენსიური შემცირება, რაც გამოწვეულია როგორც სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე ქორწინების ასაკის გადავადებით.

დიაგრამა 1.2.1. ქორწინების და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბოლო 2 წელიწადში რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 8 პროცენტით, ხოლო რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა კი პირიქით, გაიზარდა დაახლოებით 15%-ით (იხ. ცხრილი 1.2.1).

~ცხრილი 1.2.1. ქორწინებისა და განქორწინების აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები

წელი	ქორწინებათა რიცხვი	განქორწინებათა რიცხვი	ქორწინების კოეფიციენტი (‰)	განქორწინების კოეფიციენტი (‰)
2000	1 306	130	3,70	0,37
2001	1 291	119	3,72	0,34
2002	1 239	116	3,62	0,34
2003	1 275	103	3,74	0,30
2004	1 674	98	4,92	0,29
2005	1 813	167	5,35	0,49
2006	2 384	152	7,09	0,45
2007	2 985	151	8,91	0,45
2008	3 411	247	10,24	0,74
2009	3 257	264	9,80	0,79
2010	3 478	309	10,46	0,93
2011	3 120	405	9,39	1,22
2012	3 476	574	10,47	1,73
2013	3 564	546	10,72	1,64
2014	3 389	678	10,17	2,03
2015	3 002	678	8,92	2,01
2016	2 631	717	7,73	2,11
2017	2 548	678	7,43	1,98
2018	2 598	761	7,50	2,20
2019	2 382	873	6,83	2,50

წყარო: (საქსტატი, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოში , 2020).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის შემცირებისა და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდის ტენდენციები, ჩვენი აზრით, ყურადსაღებია. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შობადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ეს ტენდენციაა, რაც დემოგრაფიულ ვითარებას რეგიონში მნიშვნელოვნად ამწვავებს.

განქორწინებების რაოდენობის მატება დემოგრაფიული საფრთხის მანიშნებელია. გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ცნობილი დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე აღნიშნავს, ეს ფაქტორი კიდევ უფრო შეამცირებს ისედაც შემცირებულ შობადობას (თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა, 2018).

ბუნებრივი მატების ტენდენციების გამოსავლენად დაბადებისა და მოკვდაობის დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ სწორედ 2000 წლიდან მთელს საქართველოში დემოგრაფიული კრიზისის პერიოდი დაიწყო, კერძოდ, 2000-2005 წლებში მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება. თუმცა დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესება ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. აღნიშნული ნათლად ვლინდება ისეთ მაჩვენებლებში, როგორცაა შობადობის კლება, მოკვდაობის ზრდა და შედეგად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპების დაცემა (ჩიქავა, 2014, გვ. 6).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლები 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, მთლიანად საქართველოში გაიზარდა. თუმცა, რეგიონული თვალსაზრისით განსხვავებები იყო ბუნებრივ მატებაში, გამომდინარე შობადობასა და მოკვდაობას შორის არსებული განსხვავებებიდან. მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩეოდა აჭარა და ქვემო ქართლი. ბუნებრივი მატება აჭარაში განპირობებული იყო მოკვდაობის დაბალი მაჩვენებლით (თოთაძე, აჭარის მოსახლეობა, 2012, გვ. 73). მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის განვითარება დაწყებული 2000 წლიდან არათანაბრად იცვლება და ერთი გამოკვეთილი ტენდენცია არა აქვს, ბუნებრივი მატება უარყოფით ნიშნულზე არ ჩამოდის ანუ ყოველ წელს შობადობა ჭარბობს სიკვდილიანობას (იხ. ცხრილი 1.2.2).

ყველაზე დაბალი ბუნებრივი მატება ამ პერიოდში იყო 2005 წელს და ყველაზე მაღალ ბუნებრივ მატებას ადგილი ჰქონდა 2014 წელს, ხოლო 2014 წლიდან ბუნებრივ მატებას აქვს კლებადი ტენდენცია და 2019 წლისთვის 20%-ით შემცირდა. ეს კლება განპირობებულია შობადობის შემცირებით და არა გარდაცვალების გაზრდით. ურბანიზაციის პროცესმა დიდი ზეგავლენა მოახდინა შობადობის დონის შემცირებაზე. ქალაქში დასაქმების მეტმა შესაძლებლობამ გაზარდა ქალების

დასაქმებაც, რამაც ასახვა ჰპოვა შობადობის დონის შემცირებაზე. შობადობაზე ზეგავლენას ახდენს როგორც ბიოლოგიური, ასევე ეკონომიკურ-სოციალური (შემოსავლები, განათლება, ჯანმრთელობა და ა. შ.), პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და ა.შ. ფაქტორები (წულაძე გ., 2015, გვ. 59).

რაც შეეხება 1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალებისა და მკვდრადშობადობის მაჩვენებლების დინამიკას, დაწყებული 2005 წლიდან, მას კლებადი ტენდენცია აქვს, მიუხედავად არაერთგვაროვანი ცვლილებისა, რაც ვფიქრობთ, დადებითად აისახება სამომავლოდ ბუნებრივმატებაზე.

ცხრილი 1.2.2. ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკა

წელი	ცოცხლად დაბადება	გარდაცვალება	ბუნებრივიმატება	1 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალება	მკვდრადშობადობა
2000	4 684	3 016	1 668	148	118
2001	4 353	2 765	1 588	176	108
2002	4 279	2 814	1 465	172	68
2003	4 161	2 670	1 491	170	96
2004	4 333	3 350	983	208	109
2005	4 154	3 426	728	258	99
2006	4 087	3 344	743	136	78
2007	4 284	3 384	900	132	61
2008	4 875	3 576	1 299	180	76
2009	5 521	3 464	2 057	146	58
2010	5 314	3 684	1 630	96	59
2011	4 871	3 280	1 591	82	53
2012	4 820	3 274	1 546	68	78
2013	4 917	3 290	1 627	68	56
2014	6 305	3 386	2 919	71	51
2015	6 299	3 475	2 824	58	70
2016	5 977	3 622	2 355	49	46
2017	6 108	3 480	2 628	51	57
2018	5 800	3 438	2 362	66	36
2019	5 703	3 370	2 333	43	54

წყარო: (საქსტატი, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოში, 2020).

საინტერესოა ბუნებრივი მატების მაჩვენებლის დინამიკა რეგიონის თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (იხ. ცხრილი 1.2.3).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო ოთხ წელიწადში (2016-2019 წწ) ბუნებრივი მატება შემცირდა ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა ბათუმისა. 2019 წლისთვის ბუნებრივი მატება, 2016 წელთან შედარებით, ბათუმში გაიზარდა 31.1%-ით, ქედაში კი შემცირდა 53.8%-ით, ქობულეთში - 21.2%-ით, შუახევში - 52.6%-ით, ხელვაჩაურში - 16.2%-ით და ხულოში - 76.2%-ით. როგორც ჩანს, ყველაზე მეტი შემცირება მოხდა მაღალმთიან რაიონებში (ხულო, ქედა და შუახევი), რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, ეკომიგრაცია, და სამუშაო ადგილების ნაკლებობა.


ცხრილი 1.2.3. ბუნებრივი მატების დინამიკა მუნიციპალიტეტების მიხედვით

თვითმმართველი ერთეული	2014	2015	2016	2017	2018	2019
ქ. ბათუმი სმუნიციპალიტეტი	1 618	1 518	1 168	1 234	1 286	1 531
ქედის მუნიციპალიტეტი	75	123	119	102	73	55
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	545	429	377	533	328	297
შუახევის მუნიციპალიტეტი	49	44	78	75	82	37
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	456	502	445	479	417	373
ხულოს მუნიციპალიტეტი	176	208	168	205	176	40

წყარო: (საქსტატი, ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოში, 2020).

დემოგრაფიული სიტუაციის უკეთ შესაფასებლად გამოიყენება ბუნებრივი მოძრაობის შეფარდებითი მაჩვენებლები, გაანგარიშებული მოსახლეობის 1000 სულზე (იზომება პრომილეში), ე.წ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები, კერძოდ: შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან), მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (წლის მანძილზე გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობასთან) და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი (შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს შორის სხვაობა) (იხ. დიაგრამა 1.2.2).

დიაგრამა 1.2.2. ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა 2000-2019 წწ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ამ კოეფიციენტების ნაკლი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათში არ ხდება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განსხვავებების გათვალისწინება. გარდა ამისა, მოსახლეობის აღწარმოების დასახასიათებლად ასევე გამოიყენება პოკროვსკი-პირლის ინდექსი, ე. წ. „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტი (იგივე „ცხოველმყოფელობის“ ინდექსი), რომელიც უჩვენებს თანაფარდობას შობადობას და მოკვდაობას შორის (გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., 2013, გვ. 86), (დაბადებულთა რიცხვის შეფარდება გარდაცვლილთა რიცხვთან x 100%) (იხ. დანართი 1.3). თუ ეს კოეფიციენტი ნაკლებია 100%-ზე, მაშინ რეგიონის მოსახლეობა მცირდება (უარყოფითი ბუნებრივი მატება), ხოლო თუ მეტია 100%, მაშინ რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება (დადებითი ბუნებრივი მატება).

როგორც დიაგრამაზე ჩანს, ბოლო წლებში ყველა კოეფიციენტი მცირდება. ყველაზე მაღალი შობადობის და ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი კოეფიციენტები დაფიქსირდა 2014-2015 წწ. მოკვდაობის კოეფიციენტი - 2010 წელს. 2016 წლიდან დღემდე ბუნებრივი მატების კოეფიციენტები თითქმის თანაბარია, ხოლო „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტი მაქსიმუმს აღწევს 2014 წელს. ამასთან, 2014 წლიდან ეს კოეფიციენტი ბევრად აღემატება 2014 წლამდე არსებულ მნიშვნელობებს, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ დამაიმედებელი ფაქტია, ვინაიდან მოკლევადიან

პერსპექტივაში მოსახლეობის კატასტროფული შემცირების საშიშროება არ დგას, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ტენდენცია დამაფიქრებელია. „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტის შეზღუდვით სიდიდეა დეპოპულაციის კოეფიციენტი (გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდება დაბადებულთა რიცხვთან). დეპოპულაციას (მოსახლეობის შემცირებას) ადგილი აქვს, როცა სახეზეა უარყოფითი ბუნებრივი მატება, ანუ მომდევნო თაობების რიცხოვნობა ნაკლებია წინაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთი რეგიონისგან განსხვავებით დეპოპულაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ შეინიშნება. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ყველაზე მაღალი აჭარაშია და ის საფრთხის კრიტიკულ ზღვარზე (0.0-1.0 პრომილე) მაღალია. ასევე საფრთხის კრიტიკულ ზღვარს (13 პრომილე) მიღმა აღმოჩნდნენ შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტები (წულაძე გ.,..., 2016, გვ. 49).

შობადობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხია ასევე სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში, ანუ მდედრობითი და მამრობითი სქესის პირთა რაოდენობის თანაფარდობა (მამაკაცთა რაოდენობა, რომელიც მოდის 100 ქალზე) (იხ. ცხრილი 1.2.4). სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე დამოკიდებულია მოსახლეობის აღწარმოება. მასზე მოქმედებს როგორც ბიოლოგიური მექანიზმები, ასევე დემოგრაფიული ქცევის ფაქტორი. აჭარაში დროის გრძელვადიან პერიოდში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა თანდათან მცირდება და მეტ-ნაკლებად ნორმალურს (105-107) უახლოვდება.

ცხრილი 1.2.4. სქესობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში


წელი	2005	2010	2014	2015	2016	2017	2018	2019
თანაფარდობა	115	108	104	109	105	105	106	109

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პუბლიკაცია „ქალი და კაცი“ საქართველოში“.

2005 წლის და შემდგომი პერიოდის დინამიკა გვამღევეს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ 15 წლის შემდეგ, ანუ დაწყებული 2020 წლიდან, სხვა თანაბარ პირობებში, გაიზრდება დაწყვილების ანუ ოჯახების შექმნის ალბათობა.

განვიხილოთ ბუნებრივი მოძრაობის კიდევ ერთი მაჩვენებლის - გარდაცვალების დინამიკა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში (იხ. დანართი 1.4).

დიაგრამა 1.2.3. გარდაცვალება 15-49 და 50-85+ ასაკში



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გარდაცვალების ყველაზე მეტი წილი მოდის 70 წლის და უფროსი ასაკის კატეგორიაზე და ეს ბუნებრივიცაა. საინტერესოა, ფერტილობის პერიოდში ქალთა გარდაცვალების რაოდენობრივი ანალიზი (იხ. დიაგრამა 1.2.3.), რამეთუ სწორედ ქალთა ეს ასაკობრივი კატეგორია უზრუნველყოფს მომავალი თაობების გამრავლებას. გარდაცვლილთა რაოდენობა მამაკაცებში უფრო მეტია, ვიდრე ქალებში ორთავე ასაკობრივ კატეგორიაში. ამის მიზეზი როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორია. ფერტილობის პერიოდში სიკვდილიანობის კლებადი დინამიკა 2016 წლის შემდეგ იძლევა მომავლის დამაიმედებელ პროგნოზს შობადობის რესურსის გაზრდის თვალსაზრისით.

იმის მიხედვით, თუ როგორია შობადობის დონე და ბუნებრივი მატება, განისაზღვრება მოსახლეობის აღწარმოება. რა თქმა უნდა, თუ ახალი თაობების რიცხოვნობა ნაკლები იქნება წინა თაობასთან შედარებით, საქმე გვექნება დემოგრაფიულ კრიზისთან. ქვეყნის დემოგრაფიული მომავალი კი განისაზღვრება მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობით და დემოგრაფიული ქცევით, რომელიც ახალგაზრდა ასაკში უკვე ჩამოყალიბებულია. აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ დემოგრაფიულ განწყობაზე დიდ გავლენას ახდენს დემოგრაფიული ცოდნა (გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., მალრაძე ნ., 2019, გვ. 190).

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა შეიძლება დავახასიათოთ მისი ეკონომიურობის ზომით. ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობა გულისხმობს ბუნებრივი მატების და ადამიანთბრუნვის (შობადობის და გარდაცვალების რიცხვების ჯამი) თანაფარდობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც მეტი სიდიდის ბუნებრივი მატება (პრომილე) და ნაკლები ადამიანთბრუნვა გვაქვს, ადგილი აქვს ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობას (ხმალაძე, 2018).

$$\text{ეკონომიურობა} = \frac{\text{ბუნებრივი მატება}}{\text{ადამიანთბრუნვა}} \cdot 100\%$$


ეკონომიურობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „მარტივი აღწარმოების ფასი“ ანუ დანახარჯები, ასე ვთქვათ რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თაობის ჩანაცვლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის წარმოადგენს ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელს, თუ საშუალოდ რამდენი გოგო უნდა გააჩინოს ერთმა ქალმა, რომ უზრუნველყოს მარტივი აღწარმოება.³ ეკონომიურობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახლოსაა „აღწარმოების ფასი“ 1-თან, ანუ ერთმა ქალმა 1 გოგო მაინც უნდა გააჩინოს, რომ უზრუნველყოს დედათა თაობის მარტივი შენაცვლება (წულაძე გ.,..., 2015, გვ. 238).

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დინამიკა (დიაგრამა 1.2.4.) გვიჩვენებს, რომ 2005-2006 წლებში ეკონომიურობა ორჯერ შემცირდა 2000-2003 წლებთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დედათა თაობის შენაცვლებისთვის ერთი ქალის მიერ ორჯერ მეტი გოგონას გაჩენა იყო საჭირო („მეტი დანახარჯები“), ხოლო 2014 წელს ეკონომიურობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს (30%) მიაღწია. ამის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი შემცირდა, მაგრამ ის მაინც აღემატება მანამდე დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დონის ზრდადი ტენდენცია ნიშნავს, რომ დედათა თაობის შენაცვლებისთვის ერთ ქალს უფრო ნაკლების გოგოს გაჩენა უწევს წინა წლებთან შედარებით, თუმცა მისი მნიშვნელობა (100%-ზე ნაკლები) მიუთითებს, რომ აღწარმოება მეტი

³ მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმია, როდესაც მომდევნო და წინა თაობის რაოდენობა ტოლია.

ადამიანთბრუნვის ხარჯზე ხდება და არა ეფექტიანობის („ნაკლები დანახარჯების“) ხარჯზე.

დიაგრამა 1.2.4. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დონის დინამიკა 2000-2019 წწ.



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ შესრულებული გაანგარიშების მიხედვით.

რეგიონში დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას მნიშვნელოვანია მოსახლეობის დაბერების დონის შესწავლა. დემოგრაფიული დაბერება გამოიხატება 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილის ზრდით მთლიან მოსახლეობაში, რაც ასახვას პოვნებს შობადობის შემცირებაზე (რადგან მცირდება რეპროდუქციულ ქალთა კონტინგენტი (15-49 წწ.)), მოკვდაობის ზრდაზე, მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდაზე, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირებაზე (ხმალამე მ.,..., 2020, გვ. 94).

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაბერების კოეფიციენტი (60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში) 2002 წლის ნიშნული 13,4%-დან 2014 წელს 15,7%-მდე გაიზარდა (იხ. ცხრილი 1.2.5.).

ცხრილი 1.2.5. მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება (პროცენტობით)

წელი	2002		2014	
	0-14	60+	0-14	60+
ორივე სქესი	24	13,4	19,7	15,7
ქალი	22,4	15,3	18	18
მამაკაცი	25,7	11,4	21,3	13,1

წყარო: ავტორის მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

დემოგრაფიული სიბერის დონის ე. როსეტ-ბოჟე-გარნიეს სკალის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დაბერების საწყისი დონიდან გადავიდა დაბერების საშუალო დონეზე, რაზეც მთავარი გავლენა მოახდინა ემიგრაციამ - საშუალო ასაკის მოსახლეობის ქვეყნიდან გადინებამ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელი აჭარაში დაბალია საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სადაც სახეზეა დაბერების მაღალი და ძალიან მაღალი დონეები (შელია, 2013, გვ. 74). ასაკობრივი განაწილების მიხედვით, მამაკაცების წილი 60+ ასაკობრივი კატეგორიაში უფრო ნაკლებია, რაც მეტწილად გამოწვეულია ბიოლოგიური ფაქტორებით (მამაკაცთან შედარებით, ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უფრო მეტია).

გაეროს სკალის მიხედვით, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით) შეადგენს 11%-ს, რაც აღემატება გაეროს დემოგრაფიული დაბერების ნიშნულს (7%). ეს იმას ნიშნავს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახეზეა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, ამასთან, ეს მაჩვენებელი სასოფლო დასახლებებში (12,5%) აღემატება საქალაქო დასახლებების მაჩვენებელს (9,7%), რაც ძირითადად შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის გარე მიგრაციის შედეგია. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის კლება თავის მხრივ შეამცირებს დასაქმების მაჩვენებელსაც, რაც ჩვენი შეხედულებით უთუოდ მოახდენს გავლენას აჭარის მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე.

აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა მათი თავისებურებები რეგიონულ ჭრილში. კერძოდ:

– ბოლო წლებში ადგილი აქვს ქორწინებათა რაოდენობის შემცირებასა და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდას, რაც გამოწვეულია, როგორც სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე ქორწინების ასაკის გადავადებით. ეს ტენდენცია უარყოფითად აისახება შობადობაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში ის კიდევ უფრო გაამწვავებს დემოგრაფიულ ვითარებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

– მთლიანად საქართველოში შემცირებული ბუნებრივი მატების ფონზე, სხვა რეგიონებთან შედარებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გამოირჩევა მაღალი ბუნებრივი მატებით, თუმცა, ადგილი აქვს ბუნებრივი მატების კლებად ტენდენციას, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა სექსობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, ეკომიგრაცია, სამუშაო ადგილების ნაკლებობა;

– ბოლო წლებში ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები უმნიშვნელოდ იცვლება და თითქმის სტაბილურია. საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აჭარაში დეპოპულაცია არ შეინიშნება.

– გარდაცვალების კლებადი დინამიკა ქალთა ფერტილობის ასაკში იძლევა დამაიმედებელ პროგნოზს სამომავლოდ, შობადობის რესურსის გაზრდის თვალსაზრისით.

– აჭარაში სახეუა მოსახლეობის დაბერება, თუმცა საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აქ დემოგრაფიული სიბერის ყველაზე დაბალი დონეა. ამასთან, ეს მაჩვენებელი სასოფლო დასახლებებში (12,5%) აღემატება საქალაქო დასახლებების მაჩვენებელს (9,7%), რაც ძირითადად შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა უკეთესია ქვეყანაში არსებულ საერთო მდგომარეობასთან შედარებით, ჩვენი შეხედულებით, მაინც ვერ დავარქმევთ პოზიტიურსა და დამაიმედებელს გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგანაც ადგილი აქვს ქორწინებათა რაოდენობის შემცირებას და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდას, ბუნებრივი მატების კლებას, დემოგრაფიულ დაბერებას, ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დონის შემცირებას. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ ყურადსაღებია, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა. აუცილებელია, მათი დროულად გამოსწორება.

მიღებული დასკვნებიდან გამომდინარეობს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თანამედროვე ტენდენციები

საერთო ჯამში არასახარბიელოა, რაც მომავალში უარყოფითად აისახება რეგიონის როგორც დემოგრაფიულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

1.3. მოსახლეობის განაწილება განათლების დონის მიხედვით

იმის გააზრება თუ როგორ მიესადაგება ქვეყნის (რეგიონის) განათლების სისტემა მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს, როგორ ურთიერთქმედებაში იმყოფება განათლების დონე ეკონომიკასთან, კერძოდ ბიზნესთან, დაგვეხმარება ავხსნათ თუ რატომ ვითარდება ზოგიერთი ფირმის ბიზნესი, ზოგის კი - არა.

ეკონომიკაში ძირითადი საწარმოო ფაქტორების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის უდიდესი კაპიტალი, რომლის უმთავრესი სახეობა განათლებაა. ის ასახავს მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით დროის მონაკვეთში დახარჯულ რესურსებს. როგორც წესი, უმაღლესი განათლების და სპეციალური გადამზადების მქონე მშრომელების ანაზღაურება უფრო მაღალია. ანაზღაურების ოდენობა დაკავშირებულია შრომის პროდუქტიულობასთან, რომლის მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლება და პროფესიული მომზადება. დასაქმებულთა ცოდნა და უნარები მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ბიზნესისთვის, ისე ეკონომიკური ზრდისათვის. დარგები უმაღლესი განათლების და პროფესიული მომზადების მოთხოვნებით, სპეციალისტებს უფრო მაღალ ანაზღაურებას უხდიან. ეკონომიკის მწარმოებლურობა იზრდება განათლებულ და კვალიფიცირებულ მშრომელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, რამდენადაც კვალიფიცირებული სამუშაო ძალა უფრო პროდუქტიულია. სამუშაო ძალის განათლების და მომზადების დონე მნიშვნელოვანად განსაზღვრავს ეკონომიკურ ეფექტიანობას.

გლობალიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობა მოითხოვს, რომ ქვეყნები კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს. ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნები ფლობენ უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით, თუმცა იშვიათია, რომ ეკონომიკა

ფლობდეს კონკურენტულ უპირატესობას ყველა დარგში. მას შეუძლია მხოლოდ იმ დარგებზე მოახდინოს კონცენტრირება, რომლებშიც იოლია კვალიფიცირებული სპეციალისტების გადამზადება. გადამზადებული მშრომელების სიჭარბე ეკონომიკაში ქმნის როგორც უარყოფით, ასევე დადებით ეფექტებს. ყველა კომპანია თუ ფირმა მოგებული დარჩება კვალიფიცირებული სამუშაო ძალის სიჭარბით, საიდანაც შეძლებს კონკურენტუნარიანი მშრომელების დაქირავებას.

ბევრი ქვეყანა დიდ ყურადღებას უთმობს განათლების სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელებით ისეთ ახალ დარგებს, როგორცაა მეცნიერება და ტექნოლოგიები. ნაწილობრივ, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ განვითარებულ ქვეყნებში ძველი დარგები ნაკლებკონკურენტუნარიანი გახდნენ და გასაქანი მიეცა ხელოვნური ინტელექტის განვითარებას. განვითარებად ქვეყნებში კი, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, სხვაგვარად მოხდა შრომის ბაზრის რესტრუქტურირაცია. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოს შრომის ბაზარზე გაიზარდა საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილები, კერძოდ, გაიზარდა მოთხოვნა ფიზიკურ შრომაზე ორიენტირებულ საქმიანობებზე. მაგალითად: ტრანსპორტირება, მშენებლობა და ა.შ. ამან გამოიწვია სამუშაო ძალის განათლებისა და ცოდნის გაუფასურება. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც გარდამავალი ეკონომიკის პერიოდის დასაწყისში მაღალი იყო ზრდასრული მოსახლეობის განათლებისა და წიგნიერების დონე საერთაშორისო სტანდარტებით (Li, R. at al., 2019, გვ. 39). ამ ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი საკმაოდ მაღალია, ამიტომაც მათი უნარებისა და კომპეტენციების შეუთავსებლობამ ბაზრის მოთხოვნებთან გამოიწვია მათი დასაქმება დაბალპროდუქტიულ სამუშაო ადგილებზე და განათლების დონის შეუსაბამო ანაზღაურებაც (ამაშუკელი მ., ..., 2017, გვ. 41).

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კვალიფიციური კადრების დეფიციტთან ერთად განათლებული მუშახელის სიჭარბე და უნარების შეუსაბამობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას, უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე ეკონომიკაზე გადასვლას და ეკონომიკის მდგრად განვითარებას მთლიანობაში, ამიტომაც ამ ხელისშემშლელი ფაქტორის აღმოსაფხვრელად

აუცილებელია გატარდეს განათლებისა და უნარების განვითარების სტრატეგიების კოორდინირების პოლიტიკა პრობლემის აღმოფხვრით დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (Kupets, 2016, გვ. 138).

კვლევების თანახმად, საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის საკუთარი სპეციალობით დაახლოებით 60% მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით მათი მხოლოდ 24%-ია დასაქმებული და მუშაობს საკუთარი სპეციალობით. ასეთი დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით: შრომის ბაზარზე კონკრეტული სფეროების გაჯერება, მაღალანაზღაურებად სფეროებში ადამიანური რესურსების გადინება ან კურსდამთავრებულთა დაბალი კომპეტენციების გამო, ადგილების შევსება სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებით (USAID, უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე, 2013, გვ. 24).

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დასაქმების პროგრამების დეპარტამენტში აჭარის მასშტაბით შესული ვაკანსიების რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 323 ერთეულს (3,6%). გამოცხადებული ვაკანსიების მიხედვით დამსაქმებლების მხრიდან მეტი მოთხოვნა დაბალი და საშუალო დონის განათლების მქონე სამუშაო ძალაზეა (სემგს, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019, გვ. 61).


რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე საუბარი შეუძლებელია განათლების სისტემის გარეშე, რომელიც კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის შექმნის შესაძლებლობას წარმოადგენს.

საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს ზოგადი განათლების, პროფესიული განათლების და უმაღლესი განათლების სექტორებს. ზოგადი განათლების სექტორში თანდათან იზრდება კერძო სკოლების წილიც, რასაც ხელს უწყობს დემოგრაფიული ტენდენციები, ურბანიზაცია და შემოსავლების ზრდა. 2020-2021 სასწავლო წლისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 3 სახელმწიფო და 6 კერძო უმაღლესი, 6 სახელმწიფო და 9 კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა (სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები განათლების მიღწეული დონის მიხედვით აჭარის მოსახლეობის განაწილების შესახებ მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებში მოიპოვება.

ბოლოს, 2014 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 10 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილების შესახებ განათლების მიღწეული დონის მიხედვით გვიჩვენებს, რომ განათლების დონე საკმაოდ მაღალია. კერძოდ, 10 წლის და უფროსი მოსახლეობის 23%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, 18%-ს - პროფესიული განათლება, 39%-ს - სრული ზოგადი განათლება, 9%-ს - არასრული საშუალო განათლება (იხ. დიაგრამა 1.3.1).


დიაგრამა 1.3.1. მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (2014 წლის აღწერის შედეგები)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

რაც შეეხება განაწილებას საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით, უმაღლესი და პროფესიული განათლების წილობრივი მაჩვენებლები ქალაქში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს საქალაქო დასახლების 29%-ს და სასოფლო დასახლების 14%-ს, ხოლო პროფესიული განათლება საქალაქო დასახლების 21%-ს და სასოფლო დასახლების 14%-ს, სრული ზოგადი განათლების დონე სასოფლო დასახლებაში უფრო მაღალია (47%), ვიდრე საქალაქო დასახლებაში (33%) (იხ. დიაგრამა 1.3.2).

დიაგრამა 1.3.2. მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით ქალაქი/სოფლის ჭრილში (2014 წლის აღწერით,%).



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

15-29 წლის ახალგაზრდების 31,3%-ს საშუალო ზოგადი განათლება აქვს მიღებული. აჭარაში ეს მაჩვენებელი დანარჩენ რეგიონებთან შედარებით ყველაზე დაბალია. ახალგაზრდების 26,8%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო პროფესიული განათლება 17,2%-ს (UNICEF, 2014, გვ. 41).

განათლების მქონე სამუშაო ძალის პოტენციალის და დარგობრივი დასაქმების სტრუქტურის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, რა თქმა უნდა საინტერესოა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობა პროგრამების მიხედვით სქესობრივ ჭრილში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის, საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობის შესახებ 2019-2020 სასწავლო წლისთვის (იხ. ცხრილი 1.3.1)

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019-2020 სასწავლო წლისთვის პროგრამებს შორის სტუდენტთა რიცხოვნობის მიხედვით ლიდერობს სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი (26%), მომსახურება (22%), ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება (15%), საინჟინრო დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები (15%), ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (12%), ხოლო განათლების (5%),

მეცნიერების (5%) და სოფლის მეურნეობის (1%) პროგრამები ყველაზე ნაკლებ მოთხოვნადი მიმართულებების სიაში აღმოჩნდა. სქესობრივ ჭრილში თუ განვიხილავთ სტუდენტთა გადანაწილებას, შევნიშნავთ, რომ მამაკაცები ბევრად სჭარბობენ მომსახურებისა (33%) და საინჟინრო, დამამუშავებელ მრეწველობაში და სამშენებლო მიმართულებებზე (25%).

ცხრილი 1.3.1. სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული				
	ქალი	კაცი	სულ	%
სტუდენტთა რიცხოვნობა, სულ	5 071	6 072	11 143	100
განათლება	476	75	551	5
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	1 302	365	1 667	15
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1 690	1 159	2 849	26
მეცნიერება	301	275	576	5
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	105	1 530	1 635	15
სოფლის მეურნეობა	26	49	75	1
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	747	562	1 309	12
მომსახურება	424	2 057	2 481	22

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რაც შეეხება კურსდამთავრებულთა რიცხოვნობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2019-2020 სასწავლო წელს (იხ. ცხრილი 1.3.2), კვლავ ლიდერობს სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის მიმართულება (32%) და ბოლო პოზიციაზეა სოფლის მეურნეობა (1%), აღსანიშნავია, რომ მამაკაცთა უმრავლესობა (თანაც ბევრად აჭარბებს ქალების რაოდენობას) ეუფლება მომსახურების და საინჟინრო, დამამუშავებელ, სამშენებლო სპეციალობებს, ასევე სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის სპეციალობებს. სხვა დანარჩენ მიმართულებებში კაცების რიცხოვნობა ბევრად ნაკლებია ქალების რიცხოვნობაზე. ეს მონაცემები თავისთავად განსაზღვრავს შრომის ბაზარზე იმ დარგების განვითარებას, სადაც არ არის სპეციალისტთა დეფიციტი და ამავე დროს დარგში მომუშავეთა სქესობრივ სტრუქტურასაც.

ცხრილი 1.3.2. კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული	ქალი	კაცი	სულ	%
კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა, სულ	1 001	1 073	2 074	100
განათლება	105	10	115	6
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	239	52	291	14
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	463	201	664	32
მეცნიერება	68	38	106	5
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	36	342	378	18
სოფლის მეურნეობა	3	20	23	1
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	64	8	72	3
მომსახურება	23	402	425	20

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხოვნობის ტენდენციას, 2013-2019 წწ. პერიოდში ქალების რაოდენობა აღემატებოდა კაცების რაოდენობას, რაც უმაღლესი განათლების მიღების მხრივ გოგონების უფრო გააქტიურებას მიუთითებს.

ცხრილი 1.3.3. ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა სქესობრივ ჭრილში

	2013/2014		2014/2015		2015/2016		2016/2017		2017/2018		2018/2019	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
აჭარის არ	1 450	1 161	1 233	1 072	1 179	1 116	1 218	1 171	1 259	1 166	1 353	1 248


წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოში პროფესიულ პროგრამებზე ახალგაზრდების 6% და მოსწავლეების მხოლოდ 3% სწავლობს, მაშინ როცა ევროკავშირში მათი წილი 48%-ს შეადგენს. კერძო პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტების 35,4% სწავლობს. სახელმწიფოს ხარჯები პროფესიულ განათლებაზე 2020 წელს 54, 3 მლნ ლარს შეადგენს, რაც განათლების დაფინანსების მხოლოდ 3,6%-ია. პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების შემცირებამ შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დეფიციტი გამოიწვია, რის კომპენსირებაც უცხოელი სპეციალისტების მოზიდვით ხდება (Galt&Taggart, 2020).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში პროფესიული განათლების მაჩვენებლების მიხედვით, პროფესიული განათლების

მიღებას კაცები უფრო ახერხებენ, ვიდრე ქალები. 2019 წელს საჯარო და კერძო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული კაცების რაოდენობა (1 819) 81%-ით აღემატებოდა ქალების რაოდენობას (1 004), ხოლო კურსდამთავრებულ კაცთა რაოდენობა (1 422) 38%-ით აღემატებოდა ქალების რაოდენობას (1 033) (იხ. დიაგრამა 1.3.3).

დიაგრამა 1.3.3. პროფესიული განათლების მაჩვენებლების დინამიკა აჭარაში 2013-2019 წწ.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მაღალმთიან აჭარაში უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია ხიჭაურსა და დაბა ხულოში. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა უფასოა, აბიტურიენტები განათლების მიღებას ბათუმსა და თბილისში ამჯობინებენ. შემოსავლების სიმცირემ, ინფორმაციის ნაკლებობამ პროფესიული თუ უმაღლესი სასწავლებლების, მოთხოვნადი პროფესიების, ცალკეული საგრანტო თუ მიზნობრივი პროგრამების, შრომის ბაზრის და სხვა დეტალების შესახებ შეამცირა უმაღლესი განათლების მიღების მაჩვენებელი. გამოიკვეთა შესაბამისი საკონსულტაციო სამუშაოების წარმოების საჭიროება ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტირებაში დასახმარებლად (ბარამიძე, 2020).

ჩარიცხული სტუდენტების მზარდი რაოდენობები მიუთითებს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, თუმცა გამოწვევად რჩება აჭარის მოსახლეობაში პროფესიული განათლების პოპულარობა და მის მიმართ ცნობიერების ამაღლება. განსაკუთრებით, დგას ეს გამოწვევა მუნიციპალიტეტებში. მაღალმთიან აჭარაში განათლების ხელმისაწვდომობისა და სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის შესახებ კვლევა ჩაატარა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC), რომელშიც გამოიკვეთა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში

კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, თუმცა უმაღლეს განათლებულთა ყველაზე დიდი კონცენტრაცია განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის სფეროშია დასაქმებული, მაშინ როცა სოფლის მეურნეობაში ძირითადად საშუალო განათლების მქონე ადამიანები აქტიურობენ.

უმაღლესი განათლების მქონეთა წილი ქედაში (15,3%) უფრო მაღალია, ვიდრე შუახევისა და ხულოში, აქედან დაბაში მცხოვრებლებზე უფრო მეტი წილი მოდის, ვიდრე სოფლად მცხოვრებლებზე (იხ. ცხრილი 1.3.4.).

ცხრილი 1.3.4. მოსახლეობის განაწილება განათლების მიხედვით მაღალმთიან აჭარაში

მუნიციპალიტეტი	10 წლის და უფროსი ასაკის რიცხოვნობა	უმაღლესი განათლება	აქედან დაბაში მცხოვრებთა წილი	აქედან სოფლად მცხოვრებთა წილი	დაწყებითი განათლების ან წერა-კითხვის უცოდინართა მაჩვენებელი
ქედა	14 657	15,3%	28%	14%	10-12%
შუახევი	13 279	12,9%	31%	12%	7-13%
ხულო	20 146	12,9%	35%	12%	13-14%

წყარო: EMC კვლევა, 2019-განათლების ხელმისაწვდომობა და სახელმწიფოს განათლების პოლიტიკა მაღალმთიან აჭარაში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები ახორციელებენ სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებს, თუმცა საქართველოს შრომის ბაზრის უამრავმა კვლევამ დაადასტურა, რომ კურსდამთავრებულთა მიწოდება არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კომპანია გალტ&თაგარტმა თავის კვლევაში „განათლების სექტორი საქართველოში“ გამოყო 2 ფაქტორი, თუ რა არის ამ შეუსაბამობის მიზეზი:

კურსდამთავრებულთა არაგონივრული განაწილება - კერძოდ, კურსდამთავრებულთა ამჟამინდელი რაოდენობისთვის საქართველოს ეკონომიკა არ ქმნის საკმარის სამუშაო ადგილებს; მომსახურებისა და გაყიდვების პერსონალი ყველაზე მოთხოვნადი საწყისი პოზიციებია; სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის კურსდამთავრებულებს უწევთ დაბალკვალიფიციურ პოზიციებზე დასაქმება; ამასთან ტექნიკურ უნარებზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე დაუკმაყოფილებელია. შედეგად, დასაქმებულთა მხოლოდ 13% მუშაობს საკუთარი

სპეციალობითა და კურსდამთავრებულთა 87%-ის სამუშაო ადგილი არ შეესაბამება მიღებულ განათლებას.

განათლების ხარისხი - კერძოდ, დამსაქმებელთა აზრით, ქართული განათლების სისტემა კურსდამთავრებულებს არ აძლევს შესაბამის ტექნიკურ, კოგნიტურ და სოციალურ უნარებს, რასაც სთხოვენ დამსაქმებლები თანამშრომლებს (Galt&Taggart, 2020).

საქართველოში სამუშაო ძალის დაბალ უნარებსა და განათლების სისტემის ხარისხის ნაკლოვანებებს მოწმობს საერთაშორისო კვლევებიც, კერძოდ, საქართველო სამუშაო ძალის უნარებით 141 ქვეყნიდან 125-ე ადგილს იკავებს, პერსონალის ტრენინგის ხარისხით 123-ე, ხოლო პროფესიული გადამზადების ხარისხით 135-ე ადგილს (Schwab, 2019, გვ. 236).

საქართველოში უნარებზე ბიზნესის მოთხოვნილების კვლევამ განათლების მიღწეული დონის მიხედვით დასაქმებულთა განაწილებასთან მიმართებით ცხადყო, რომ დასაქმებულთა 57.8%-ს აქვს უმაღლესი განათლება, 28%-ს საშუალო განათლება და მხოლოდ 14.1%-ია პროფესიული განათლებით. დასაქმებულთა განაწილებამ განათლების მიღწეული დონეების მიხედვით აჩვენა უმაღლესდამთავრებულთა დასაქმების მაღალი დონე და მეორე მხრივ, პროფესიული განათლების მქონე ადამიანების თვითრეალიზების დაბალი შესაძლებლობები (სემგს, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, 2020, გვ. 10).

ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამუშაო ძალის პროფესიული უნარები, რადგანაც ის აისახება პროდუქტიულობის დონესა და კომპანიების ინოვაციურობაზე. განვითარებადი ქვეყნებისთვის საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად განათლებისა და ტრენინგების დაფინანსების გაზრდას ეხება, რაშიც მნიშვნელოვანი ხარჯები მთავრობამ უნდა გასწიოს. უდავოა, რომ ეკონომიკურ განვითარებაში განათლების როლი მნიშვნელოვანია, მაგრამ საჭიროა სტრატეგიული მიდგომა განათლებისადმი. აუცილებელია განისაზღვროს ყველაზე მეტი დახმარების საჭიროების მქონე განათლების ტიპი და ფინანსების მიზნობრივი, რაციონალური

გადამისამართება, იქნება ეს დაწყებითი სკოლა, საშუალო სკოლა, პროფესიული თუ უმაღლესი განათლება (ჰანსიორგ ჰერი..., 2019, გვ. 13).

ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას მორგებული განათლების სპეციფიკაცია გულისხმობს ბიზნეს სუბიექტების მოთხოვნებიდან გამომდინარე განათლების საჭიროებას. მაგალითად, მაღალტექნოლოგიურ სტარტაპებს და ინოვაციებს უმაღლესი განათლება ესაჭიროება, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებს სჭირდებათ სპეციფიკური განათლების მქონე პირები, რომლებსაც მეტი გამოცდილება და კვალიფიკაცია გააჩნიათ, თუმცა საჭიროა სისტემატური პროფესიული მომზადება, რაც განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, ნაკლებად მიმდინარეობს. ეფექტური პროფესიული მომზადება სისტემატურად და მოკლე დროში უნდა ავითარებდეს შესაბამის სპეციალურ უნარებს. ის, რომ საზოგადოებაში უფრო პრესტიჟულია საუნივერსიტეტო განათლება, ვიდრე პროფესიული მომზადება, ქმნის გამოცდილი კადრების ნაკლებობას და უნივერსიტეტის ბევრი კურსდამთავრებულისთვის შეუფერებელ სამსახურს (ჰანსიორგ ჰერი..., 2019, გვ. 14).

შრომის ბაზრისა და განათლების სექტორის შესწავლის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების დონის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, თუმცა დასაქმების მაჩვენებელი არ შეესაბამება ამ დონეს. ზოგიერთი სპეციალობის უმაღლესი განათლების მქონე კადრების სიჭარბე იწვევს ახალგაზრდებში მაღალ უმუშევრობას. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დასაქმების მიზნობრივი პროგრამების მასშტაბების გაზრდა, დამსაქმებლების უფრო მეტი ჩართულობა და დასაქმების ხელშეწყობა. ასევე ზოგიერთი დეფიციტური პროფესიის პრობლემაა (მაგ., ინჟინერ-მშენებელი, შემდუღებელი, ელექტრიკოს-ტექნიკოსი, ექსპერტ-შემფასებელი და ა.შ.). შრომის ბაზრის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი კადრების მიწოდება, ასეთ შემთხვევაში ამ ვაკანსიების შევსება ხდება უცხოელი კადრებით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, როგორც ჩანს, პროფესიული განათლება არამოთხოვნადია როგორც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისე მთელს საქართველოში, ამიტომ აუცილებელია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირება, განათლების ხარისხის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა, რადგან აჭარის ავტონომიურ

რესპუბლიკაში გამოიკვეთა პროფესიული განათლების დაბალი მაჩვენებელი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა და ჩართულობა განათლების სექტორთან, კერძოდ, განათლებაში პრაქტიკული სწავლების კომპონენტის მეტად ჩართვა (დუალური განათლება), რაც ხელს შეუწყობს საჭირო პროფესიული უნარების შეძენას და კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის აქტიურობა დაფინანსების მხრივ, რათა განათლებამ უფრო მეტად უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მხოლოდ კვალიფიცირებული სამუშაო ძალით შეიძლება ამაღლდეს ბიზნესის კონკურენტუნარიანობა.

თავი 2. მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების სტატისტიკა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორში

2.1. სამუშაო ძალის პოტენციალის რაოდენობრივი ანალიზი

სამუშაო ძალა ერთ-ერთი საწარმოო ფაქტორია, რომლის გამოყენებას, განაწილებას და კვლავწარმოებას უზრუნველყოფს შრომის ბაზარი. სამუშაო ძალის სტრუქტურას განსაზღვრავს მოსახლეობის რაოდენობა და მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ხოლო თვით სამუშაო ძალა განსაზღვრავს დასაქმებას, როგორც შრომის ბაზრის მნიშვნელოვან მახასიათებელს. სამუშაო ძალა იგივეა რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომელიც განსაზღვრავს შრომის ბაზრის ეფექტიან მოქმედებას. ძირითადად პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შრომის ბაზარზე ადგილი აქვს სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსს, რაც ხელს უშლის ზოგადად დასაქმებას და ბიზნესის განვითარებას.

სამუშაო ძალის განაწილებაზე სხვა სარესურსო პოტენციალთან ერთად პირდაპირ ახდენს ზეგავლენას დემოგრაფიული ფაქტორები, რის ფონზეც უნდა შეფასდეს არსებული ადამიანისეული კაპიტალი და მისი პროდუქტიულობა. ის თუ რამდენად შეუძლია მას შექმნას მატერიალური თუ არამატერიალური დოვლათი, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მაგ., ასაკი, სქესი, ფიზიკური შესაძლებლობა, სამუშაო გარემო, ცოდნა-გამოცდილება და სხვ.

სამუშაო ძალის გამოყენება შრომის პროცესში ამავე დროს ახდენს დაქირავებულთა ფიზიკური და ინტელექტუალური უნარების მუდმივ აღდგენას და შენარჩუნებას, აგრეთვე ამ უნარების განვითარებას პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფის, განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების შედეგად. ანუ მიმდინარეობს სამუშაო ძალის როგორც მარტივი, ისე გაფართოებული აღწარმოება (ხუბუნაია, 2015, გვ. 181).

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ევროსტატის მსგავსად, ერთმანეთისგან განასხვავებს ეკონომიკურად აქტიურ და არააქტიურ მოსახლეობის კატეგორიებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით ხდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება (საქსტატი, სამუშაო ძალის გამოკვლევა (მეთოდოლოგია), 2018).

მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმება და უმუშევრობა) მონაცემების წყაროს 2016 წლის ჩათვლით წარმოადგენს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წლიდან – სამუშაო ძალის გამოკვლევა.

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგების მიხედვით, 2014 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის ყველაზე მეტი ზრდა 2002 წელთან შედარებით დაფიქსირდა მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (19%-ით) სხვა რეგიონებთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 10,6%-ით (რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო სხვა რეგიონებთან შედარებით), ხოლო სამუშაო ძალის გარეთ მყოფი (ეკონომიკურად არააქტიური) მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 8%-ით (აჭარის ა.რ. 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2016, გვ. 11).

საქართველოს სხვა რეგიონებს შორის, ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, აჭარა გამოირჩევა მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობით და დაბერებული მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილით, კერძოდ, 2014 წელს 15 წლიდან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენდა აჭარის მოსახლეობის 64,7%-ს, ხოლო 2019 წელს - 76,2%, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიან მოსახლეობაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის წილი ყველაზე მაღალია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამუშაო ძალის სტატისტიკური აღრიცხვა გადავიდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ახალ სტანდარტებზე (დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება ახალი მეთოდოლოგიით).

აქამდე სტატისტიკა ეყრდნობოდა შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ სტანდარტებს (1982 წ.) ახალი სტანდარტი მიღებულია შრომის სტატისტიკოსთა მე-20 საერთაშორისო კონფერენციაზე (2018 წ.). ILO-ს ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა და სამუშაო ძალის გადაკვალიფიცირებას. კერძოდ, თვითდასაქმებულებად აღარ ჩაითვლებიან

საკუთარ საოჯახო მეურნეობებში მომუშავე პირები, ისინი გადაკვალიფიცირდნენ უმუშევართა კატეგორიაში ან სამუშაო ძალის გარეთ მყოფ კატეგორიად, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად. ახალმა სტანდარტმა გაზარდა უმუშევრობის მაჩვენებელი და შეამცირა დასაქმების მაჩვენებელი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ახალი სტანდარტის მიხედვით განახლდა 2010 წლიდან (საქსტატი, საქსტატი სამუშაო ძალის გამოკვლევის ახალ მეთოდოლოგიას ნერგავს, 2020).

ახალი სტანდარტებით გაანგარიშებული უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია ძველთან შედარებით. 2019 წლისთვის საქართველოში უმუშევრობის დონე 17,6%-ს შეადგენდა, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ძველი სტანდარტით 11,6% იყო. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმუშევრობის და დასაქმების დონე ძველი სტანდარტით 8,8% და 60,8% იყო შესაბამისად, ახალი სტანდარტით კი - 17,6% და 47,7% შესაბამისად (საქსტატი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტებით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები, 2020).

აჭარის მოსახლეობის განაწილების დინამიკა ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 2005-2019 წწ. საკმაოდ არაერთგვაროვანია და გვიჩვენებს სამუშაო ძალის, დასაქმებულთა და უმუშევართა, დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა სტატისტიკას, თუმცა დაქირავებული, თვითდასაქმებული და გაურკვეველი კატეგორიის მონაცემები ჯერ არ არის დამუშავებული და წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 2.1.1).

ზოგადად, სამუშაო ძალის რაოდენობა მცირდება, როცა მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლებში შემცირდა და ამავე დროს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაც შემცირდა, თუმცა სამუშაო ძალა უფრო მეტად შემცირდა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) შემცირების მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ როგორც მიგრაცია, ასევე „იმედდაკარგული მუშახელის“ პრობლემაც.

2019 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 44%-ს შეადგენდა, ხოლო შრომისუნარიან მოსახლეობაში 58%-ს შეადგენდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1,3%-ით ნაკლებია.

**ცხრილი 2.1.1. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება
ეკონომიკური აქტივობის მიხედვით (1000 კაცი), 2003-2019 წწ (ახალი
მეთოდოლოგიით)**


	სულ 15+ მოსახლეობა	სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	დასაქმებული	დაქირავებული	თვითდასაქმებული	ბალერკვიპილი	უმუშევარი	მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	აქტიურობის დონე (პროცენტებში)	დასაქმების დონე (პროცენტებში)
2003	263,1	183,5	156,8	53,8	103,0	0,0	26,7	79,6	14,6	69,7	59,6
2004	265,1	159,8	128,3	49,4	78,6	0,3	31,4	105,4	19,7	60,3	48,4
2005	265,6	149,3	115,5	47,5	68,0	0,0	33,8	116,3	22,6	56,2	43,5
2006	266,6	133,7	104,2	45,0	58,9	0,3	29,5	132,9	22,1	50,1	39,1
2007	268,2	128,5	90,2	38,3	51,9	0,0	38,3	139,7	29,8	47,9	33,6
2008	268,3	158,9	113,6	46,8	66,8	0,1	45,2	109,5	28,5	59,2	42,3
2009	268,5	172,5	126,8	50,2	76,5	0,0	45,8	96,0	26,5	64,3	47,2
2010	268,3	160,0	100,7	-	-	-	59,3	108,3	37,0	59,6	37,5
2011	268,3	171,3	103,5	-	-	-	67,7	97,0	39,6	63,8	38,6
2012	267,7	176,7	110,3	-	-	-	66,5	91,0	37,6	66,0	41,2
2013	268,9	178,7	103,4	-	-	-	75,3	90,2	42,1	66,4	38,4
2014	269,5	177,3	108,8	-	-	-	68,4	92,2	38,6	65,8	40,4
2015	271,7	181,1	117,4	-	-	-	63,7	90,6	35,2	66,6	43,2
2016	273,4	171,7	118,0	-	-	-	53,6	101,8	31,2	62,8	43,2
2017	268,7	166,2	128,9	-	-	-	37,4	102,4	22,5	61,9	48,0
2018	273,0	162,1	132,4	-	-	-	29,7	110,9	18,3	59,4	48,5
2019	268,5	155,4	128,1	-	-	-	27,3	113,2	17,6	57,9	47,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მთლიან საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის კლების ფონზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა 2012 წლიდან დღემდე იზრდება, 2012-2019 წწ. პერიოდში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 3%-ით, მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 5%-ით, მაგრამ ამ პერიოდში სამუშაო ძალის რიცხოვნობა შემცირდა 12%-ით (იხ. დიაგრამა 2.1.1.). სამუშაო ძალის არსებული ტენდენცია არასახარბიელოა, ის გამოწვეულია არა მოსახლეობის კლებით, არამედ დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენით, როგორცაა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ოჯახური მდგომარეობა, განათლება და გაზრდილი


მიგრაცია (სურმანიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი, 2020).

დიაგრამა 2.1.1.-ა სამუშაო ძალის დინამიკა 2003-2019 წლებში
(ძველი მეთოდოლოგიით)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 2.1.1-ბ: სამუშაო ძალის დინამიკა 2003-2019 წლებში
(ახალი მეთოდოლოგიით)




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სამუშაო ძალის სტატისტიკა.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდება აჭარის შრომის ბაზარზე ხასიათდება როგორც რაოდენობრივი, ასევე პროფესიული და ხარისხობრივი დისბალანსით, რაც იწვევს უმუშევრობას და სამუშაო ძალის მიგრაციას. სტატისტიკის ეროვნული


სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2007 წლიდან დღემდე უმუშევრობის დონე 21%-ით შემცირდა, აქტიურობის დონე გაიზარდა 19%-ით, ხოლო დასაქმების დონე 27%-ით გაიზარდა. 2003 წლიდან 2007 წლამდე კი აქტივობის და დასაქმების დონე მცირდებოდა (იხ. დიაგრამა 2.1.2-ა, ბ).

დიაგრამა 2.1.2-ა. ეკონომიკური აქტივობის დინამიკა 2003-2019 წწ.
(ბველი მეთოდოლოგიით)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 2.1.2-ბ. ეკონომიკური აქტივობის დინამიკა 2003-2019 წწ.
(ახალი მეთოდოლოგიით)




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

დიაგრამაზე ჩანს, რომ 2003-2007 წლებში დასაქმების დონის შემცირება, პირდაპირ უკავშირდება ამ პერიოდში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) რიცხოვნობის შემცირებას. აღსანიშნავია, რომ 2007-2009 წწ

პერიოდში დასაქმების დონე მკვეთრად გაიზარდა, 2010 წელს მკვეთრად შემცირდა, ხოლო 2010 წლიდან 2017 წლამდე დაახლოებით 10%-ით გაიზარდა. 2017-2019 წლებში დასაქმების დონე შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში უმუშევრობის დონე შემცირდა. ასეთივე ტენდენციაა საქართველოში 2015 წლიდან, უმუშევრობის დონის შემცირებასთან ერთად მცირდება დასაქმებულთა რაოდენობაც, რის მიზეზიც სამუშაო ძალის შემცირებაა. ძირითადად, სამუშაო ძალის შემცირება გამოწვეულია ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის ზრდით, სამუშაო ძალის გადინებითა და მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებით. პირველ შემთხვევაში, როგორც წესი სამუშაოს მაძიებლებმა ხელი ჩაიქნიეს და აღარ ეძებენ სამუშაოს. მეორე შემთხვევაში კი - სამუშაოს მაძიებლები ადამიანები ქვეყანას ტოვებენ, მესამე შემთხვევაში მცირდება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და იზრდება საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა. შედეგად ვიღებთ უმუშევრობის შემცირების ციფრებს სამუშაო ძალის შემცირების ხარჯზე.

საყურადღებოა, თვითდასაქმებულთა და დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობების შედარება. 2019 წლის მონაცემებით თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა წილი შეადგენს - 47% და 53% შესაბამისად. საქართველოში თვითდასაქმებულთა წილი 2018 წლამდე აღემატებოდა დაქირავებულთა რაოდენობას, ხოლო 2018-2019 წლებში პირიქით (იხ. დიაგრამა 2.1.3).

დიაგრამა 2.1.3. დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა დინამიკა 2003-2019 წწ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით (ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული).

თვითდასაქმებულები ძირითადად სოფლის მეურნეობის სექტორში, ფერმერულ მეურნეობებში არიან დასაქმებულები და მათი პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად

დაბალია სხვა სექტორებთან შედარებით. თვითდასაქმებულთა რაოდენობა გარკვეულწილად ქვეყანაში (რეგიონში) არსებულ ცხოვრების დონეს გამოხატავს. საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში თვითდასაქმებულთა წილი უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში.

როგორც დიაგრამაზე ჩანს, თვითდასაქმებულთა რაოდენობა აღემატება დაქირავებულთა რაოდენობას, გარდა 2016 და 2018-2019 წლებისა, სადაც ფიქსირდება დაქირავებულთა წილის მეტობა. 2003-2007 წლებში დასაქმების კლებადი ტენდენცია მომდევნო წლებში იცვლება მზარდი ტენდენციით 2012 წლამდე, ამის შემდეგ კი დინამიკა არაერთგვაროვანია. ამის მიზეზი ის არის, რომ 2013 წლამდე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო დასახლების მოსახლეობის რაოდენობა აღემატებოდა საქალაქო დასახლების მოსახლეობის რიცხოვნობას. თვითდასაქმებულთა მეტი ნაწილი აგრარულ სექტორშია დასაქმებული, ძირითადად საკუთარ შინამეურნეობაში, 2013 წლიდან აქტიურმა ურბანიზაციის ტენდენციამ გამოიწვია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირება და 2019 წლისთვის თვითდასაქმებულთა წილმა შეადგინა 49,7%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. თვითდასაქმებულთა მაღალი წილი მთლიან დასაქმებაში საქართველოს შრომის ბაზარზე ბოლო წლებში და დღესაც მთავარ გამოწვევად რჩება. ეს მაჩვენებელი 50%-ს აღემატებოდა, მაშინ როცა ევროპისა და აზიის განვითარებულ ქვეყნებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 27%-ია, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში-16% (ILO, 2020, გვ. 56).

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში შემცირდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დონე, რაც უკავშირდება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას. გაზრდილი მიგრაციის გარდა, დაბალი ბუნებრივი მატების შედეგად რაღა თქმა უნდა შემცირდა აქტიურობის დონეც (სემგს, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019, გვ. 7).

მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ ანგარიშში „დასაქმება საქართველოში: სამუშაო ადგილების ლანდშაფტის შეფასება“ აღნიშნულია, რომ კონკურენციასა და ზრდას აფერხებს პოტენციურად კლებადი სამუშაო ძალა. სამუშაო ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობამ მნიშვნელოვნად მცირდება. ახალგაზრდების არააქტიურობის

კოეფიციენტი საქართველოში საკმაოდ მაღალია. ახალგაზრდების დაბალი მონაწილეობა სამუშაო ძალაში არ არის განპირობებული განათლებაში ჩართულობის ზრდით, ახალგაზრდების 26% არ არის ჩართული დასაქმებაში, განათლებაში ან ტრენინგში, მაშინ როცა ევროპის ქვეყნებში ეს კოეფიციენტი 10%-ზე ნაკლებია. კოეფიციენტი მიუთითებს, რომ საქართველოში ახალგაზრდები არ ახდენენ ინვესტირებას მათ ადამიანისეულ კაპიტალში. განსხვავებულია მამაკაცების და ქალების დასაქმების მაჩვენებლები უშუალოდ განათლების მიღებისთანავე. ახალგაზრდა კაცების უმეტესობა სკოლიდან სამუშაოზე მიდის, ქალების უმეტესობა კი არააქტიური რჩება უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

უმაღლესი განათლების მქონე 30 წელზე უფროსი ასაკის მამაკაცებს საუკეთესო სამუშაო ადგილის პოვნის პერსპექტივა აქვთ, რაც სრულიად საპირისპიროა ახალგაზრდა დაბალი კვალიფიკაციის მქონე ქალების შემთხვევაში. დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები თვითდასაქმებულები არიან ფერმერულ მეურნეობებში; მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებს ძირითადად ხელფასით ანაზღაურებადი სამუშაო აქვთ ქალაქში (პოსადას პ. ..., 2018, გვ. 16-18).

საქართველოში სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და სამუშაო ძალის მიწოდების კვლევა, სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არ ხდება, თუ არ ჩავთვლით UNDP, EU, SIDA ორგანიზაციების დაფინანსებით ჩატარებულ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით) პროფესიული განათლების დამსაქმებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობის შესასწავლად. რა თქმა უნდა, კვლევების სისტემატურად ჩატარების გარეშე შეუძლებელია ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნა და შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის რაოდენობრივი განსაზღვრაც როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში.

ბოლო წლებში, საქართველოში, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესასწავლად სპეციალურ კვლევებს ატარებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო და კვლევითი დაწესებულებები.

არცთუ ისე ბევრი კვლევაა ჩატარებული აჭარის სამუშაო ძალის შესასწავლად, მითუმეტეს რთულია მისი რაოდენობრივი ანალიზიც. მაგალითად, მიგრაციის

საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ჩაატარა 2008 წელს კვლევა „აჭარის რეგიონული შრომის ბაზარი“, 2011 წელს განახორციელა შრომის ბაზრის პილოტური კვლევა „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა აჭარაში“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეშვეობით (USAID-ის დაფინანსებით). ამ კვლევებმა მოიცვა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფერო, მათ შორის სამეწარმეო სფეროც. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული დამსაქმებლების 46%-ს პრობლემა აქვს კონკრეტული პროფესიის და კვალიფიკაციის მოთხოვნისას. ეს პრობლემა ძირითადად მსხვილ და საშუალო საწარმოებს უჩნდებათ, ვიდრე მცირე ზომის საწარმოებს. პრობლემის მიზეზთა შორის ძირითადად კადრების დაბალი კვალიფიკაცია და სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსია (USAID G. , 2012, გვ. 26).

აჭარის მაღალმთიანეთში (ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტები) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი უფრო მცირეა, ვიდრე ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. აქ ცხოვრობს აჭარის მოსახლეობის დაახლოებით 16%, უმუშევრობის დონე 12%-მდეა, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობა თვითდასაქმებულია მცირე საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებში, დასაქმებულები ძირითადად საჯარო სექტორში არიან. შრომითი მიგრანტების რაოდენობის აღრიცხვაში გამო სამუშაო ძალის ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია, თუმცა ფაქტია, რომ აქაური მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი სამუშაოს ეძებს საქართველოს სხვა რეგიონში ან საზღვარგარეთ. მოსახლეობის ინტენსიურმა მიგრაციამ მაღალმთიანი აჭარიდან საგრძნობლად შეამცირა აქტიური და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც სეზონურად ან მუდმივად ტოვებენ აქაურობას დასაქმების და შემოსავლების მიების გამო (წიკლაშვილი ნ.,..., 2019).

საყურადღებოა, სამუშაო ძალის რაოდენობრივი ანალიზი გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში. 2014 წლის მოსახლეობის აღწერების შედეგების მიხედვით, სამუშაო ძალა შეადგენდა მოსახლეობის 63,4%, მათ შორის ქალების წილი-45%, კაცების კი-55%. აქტიურობის დონე მამაკაცებში (73%) უფრო სჭარბობს, ვიდრე ქალებში (54%).

თუ შევადარებთ ამ მონაცემებს 2019 წლის მონაცემებს, 15+ ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა უმნიშვნელოდ გაიზარდა, ხოლო სამუშაო ძალა 9,4%-ით შემცირდა. უმუშევრობის დონე გაიზარდა 16%-დან 17,6%-მდე. აქტიურობის დონე შემცირდა 63%-დან 57,9%-მდე, დასაქმების დონეც შემცირდა 53%-დან 47,9%-მდე. მათ შორის, ქალების უმუშევრობის დონე შემცირდა დაახლოებით 13%-ით, კაცების უმუშევრობის დონე კი - დაახლოებით 2%-ით. ქალების აქტიურობის დონე გაიზარდა 5%-ით, კაცების - 1%-ით. ქალების დასაქმების დონე გაიზარდა 11%-ით, კაცების დასაქმების დონე გაიზარდა 2%-ით (იხ. ცხრილი 2.1.2).

ცხრილი 2.1.2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობისა და სქესის მიხედვით, 2019 წ. (ათასი კაცი)

	2014		2019		ძველი მეთოდოლოგიით	ახალი მეთოდოლოგიით
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი		
სულ 15+ მოსახლეობა	140,1	128,1	137,9	130,7	268,5	268,5
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	75,9	94,2	81,9	97,2	179,1	155,4
დასაქმებული	61,0	82,5	76,5	86,9	163,4	128,1
დაქირავებული	31,2	38,8	43,2	43,4	86,6	-
უმუშევარი	14,9	11,7	5,4	10,3	15,7	27,3
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	55,4	28,7	56,0	33,5	89,5	113,2
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	20	12	6,6	10,6	8,8	17,6
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	54	73	59,4	74,4	66,7	57,9
დასაქმების დონე (პროცენტებში)	44	64	55,5	66,5	60,8	47,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები; საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კვლევების მიხედვით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) წილი განსხვავებულია სხვადასხვა შემოსავლიან ქვეყნების და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით, რაც გამოწვეულია ამ ჯგუფებში უმუშევრობის დონეების განსხვავებით (ILO, 2020, გვ. 28) (იხ. ცხრილი 2.1.3.).

ცხრილი 2.1.3. სამუშაო ძალის წილი სქესის და ასაკის მიხედვით სხვადასხვა შემოსავლიან ქვეყნებში (2019 წლის მონაცემები)

ქვეყანა შემოსავლის ჯგუფის მიხედვით	მთლიანად	ქალი	კაცი	ახალგაზრდა (15-24 წ. ასაკი)
მსოფლიო	60,7	47,2	74,2	41,2
დაბალი შემოსავლებით	70,7	63,2	78,4	55,7
საშუალოზე დაბალი შემოსავლებით	55,2	34,1	75,8	34,9
საშუალოზე მაღალი შემოსავლებით	64,2	54,0	74,5	43,1
მაღალი შემოსავლებით	60,7	53,2	68,4	45,7

წყარო: ILOSTAT; World Employment and Social Outlook -Trends 2020.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, სამუშაო ძალის წილი ქალებში მამაკაცების წილზე დაბალია ყველა კატეგორიაში შემოსავლების მიხედვით, რადგანაც ქალები უმეტესად აუნაზღაურებელი საქმიანობით არიან დაკავებული, ამდენად ისინი არ აღირიცხებიან დასაქმებულებში. 15-24 ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდები ძირითადად სწავლობენ ან გადიან სტაჟირებას, ამიტომაც მათი წილი სამუშაო ძალაში უფრო მცირეა. კაცებში სამუშაო ძალის წილი თითქმის ერთნაირია დაბალ შემოსავლიან და საშუალოზე დაბალ შემოსავლიან ჯგუფებში-დაახლოებით 78% და 75% შესაბამისად, ხოლო მაღალ შემოსავლიან ჯგუფებში-68,4%, რადგანაც ასეთი ქვეყნები გამოირჩევიან მოსახლეობის დაბერებითა და მაღალი საპენსიო შეღავათებით, რის გამოც პენსიონერები ასეთ ქვეყნებში ნაკლებად არიან ეკონომიკურად აქტიურნი.

ILOSTAT-ის მონაცემების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული აქვს მსოფლიო ბანკს (www.data.worldbank.org), 2019 წელს საქართველოში მთლიანი სამუშაო ძალა შეადგენდა მოსახლეობის 64%-ს, 15-24 წლის ასაკის სამუშაო ძალა - 40%-ს, ქალების წილი მთლიან სამუშაო ძალაში - მიახლოებით 45%-ს, ხოლო ქალი სამუშაო ძალის წილი 15-64 წლის ასაკის მოსახლეობაში - 64%-ს.

ყურადსაღებია, ახალგაზრდების, როგორც შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ყველაზე გამორჩეული კატეგორიის, აქტიურობის დონე სქესობრივ ჭრილში. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, დღეისათვის უმუშევარი

ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დაკავებული არცერთნაირი აქტივობით, შეადგენს სამუშაო ძალის 26%-ს (იხ. ცხრილი 2.1.4.).

ცხრილი 2.1.4. ახალგაზრდების აქტიურობის დონე საქართველოში სქესობრივ ჭრილში (2020 წლის სტატისტიკური მონაცემები ILO-ს შეფასებით,%)

სტატუსი	ILO-ს შეფასებით		სულ
	ქალი	კაცი	
უმუშევარი	13	16	14,7
უმადლესი განათლების მქონე უმუშევარი	10,5	12,2	11,3
საშუალო განათლების მქონე უმუშევარი	10,3	13	11,8
საბაზო განათლების მქონე უმუშევარი	7,1	14,3	11,3
უმუშევარი ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართული არც განათლებაში, არც ტრენინგში	23,3	29	26

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები; <https://data.worldbank.org/country/GE>

2018 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზმა რეგიონულ ჭრილში აჩვენა, რომ რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების 9,5% (18 736 ადამიანი) აჭარის რეგიონზე მოდის, მათ შორის კაცი - 46,5% (8 705), ქალი - 53,5% (10 031). სხვაობა რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რაოდენობებს შორის გენდერულ ჭრილში ძალიან მკვეთრი არ არის, თუმცა რეგისტრირებულ ქალთა რაოდენობა აღემატება კაცებისას. აღსანიშნავია, რომ მაძიებლების ყველაზე მეტი წილი 20-24 და 25-29 ასაკობრივ ჯგუფზე მოდის, რაც ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონით აიხსნება (სემგს, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019, გვ. 57-58).

ამრიგად, აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის მიუხედავად, ბოლო წლებში აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) რიცხოვნობა მცირდება. სამუშაო ძალის არსებული ტენდენცია არასახარბიელოა, ის გამოწვეულია დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენით, როგორცაა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, მიგრაცია.

ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიან მოსახლეობაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის წილი

ყველაზე მაღალია, თუმცა ახალგაზრდების წილი სამუშაო ძალაში მცირეა, რაც ახალგაზრდების დაბალ აქტიურობაზე მიანიშნებს. სქესობრივი სტრუქტურის მიხედვით, ქალების დასაქმების და აქტიურობის მაჩვენებლები ბოლო წლებში გაიზარდა, თუმცა ნაკლებია მამაკაცების დასაქმების და აქტიურობის მაჩვენებლებზე, რაც ძირითადად შრომის ბაზრის მოთხოვნების სპეციფიკითაა განპირობებული.

აჭარის მაღალმთიანეთში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი უფრო მცირეა, ვიდრე ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. ზოგადად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახეზეა მაღალი ურბანიზაცია, მოსახლეობის მეტი წილი მოდის ქალაქ ბათუმზე, ურბანიზაციის შედეგად სამუშაო ძალის კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებელი სწორედ ბათუმზე მოდის. როგორც მოსახლეობის, ისე სამუშაო ძალის არათანაბარი განაწილება ერთ-ერთი პრობლემაა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში.


2.2. დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

საქართველოში შრომის ბაზრის შესასწავლად საკმაოდ ბევრი კვლევაა განხორციელებული. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს შრომის ბაზრის ანალიზს, რომლის მიზანაც დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებული ტენდენციების ანალიზია, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომელშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა (სემგს, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019).

შრომის ბაზრის განვითარება ანუ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა პირდაპირ კავშირშია ბიზნეს-სექტორის განვითარებასთან. საქართველოში დასაქმების ძირითად წყაროს ბიზნეს-სექტორი წარმოადგენს. დასაქმების ზრდა მეტწილად დაქირავებით დასაქმებულებზე მოდის მცირე და საშუალო ბიზნესში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამუშაო ძალის და დასაქმებულთა სტატისტიკის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილი 2003 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა 42%-ით (იხ. დიაგრამა 2.2.1).

დიაგრამა 2.2.1. ბიზნეს სექტორში დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ბიზნეს სექტორი.

2019 წლის მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმებულია 158,1 ათასი კაცი, აქედან ბიზნეს სექტორში დასაქმებულია 74,8 ათასი ანუ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილი 58,4%-ს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5 ერთეულით აღემატება. დასაქმებულთა განაწილება აჭარის მუნიციპალიტეტების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმების დონე საკმაოდ მაღალია, ვიდრე მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აქტიური ურბანიზაციის შედეგია. სამუშაო ადგილები ძირითადად თავმოყრილია ქალაქებსა და დაბებში, სადაც საწარმოების უფრო მეტი რაოდენობაა (იხ. ცხრილი 2.2.1).


ცხრილი 2.2.1. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

	2014	2015	2016	2017	2018	2019
აჭარა	54 655	57 555	66 597	70 087	70 292	74 804
ქ. ბათუმი	45 742	47 078	54 637	58 153	58 591	62 449
ქედის მუნიციპალიტეტი	292	494	561	705	873	909
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	4 484	5 221	5 785	7 088	6 929	6 956
შუახევის მუნიციპალიტეტი	772	1 634	1 804	621	537	955
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2 717	2 777	3 387	2 971	2 687	2 719
ხულოს მუნიციპალიტეტი	648	350	424	549	674	816

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის მონაცემების მიხედვით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან წამყვანი ადგილი ვაჭრობას, მრეწველობას, მშენებლობას, სასტუმრო-რესტორნებსა და ტრანსპორტირებას უჭირავს, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ისე ბრუნვისა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით (იხ. დიაგრამა 2.2.2-ა).

დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში დარგების მიხედვით




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობების რეიტინგული სია ასე გამოიყურება (2019 წლის მონაცემების მიხედვით): ყველაზე მეტი დასაქმებული ვაჭრობაში და ავტომობილების რემონტშია (21%), შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (16%) და მშენებლობა (14%), ტრანსპორტირება-დასაწყობება და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (11%), სხვა საქმიანობების წილი შედარებით დაბალია და ცალკეულად ვარირებს 0-5% დიაპაზონში.

ამასთან წარმოვადგინეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების დარგობრივი სტრუქტურა. მთლიანი შიდა პროდუქტის 22% განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებზე მოდის, შემდეგ მოდის ვაჭრობაზე - 22%, ტრანსპორტსა და დასაწყობებაზე-22%, დამამუშავებელ მრეწველობაზე - 16%, მშენებლობაზე -12%. (იხ. დიაგრამა 2.2.2-ბ.)

დიაგრამა 2.2.2.-ბ. მშპ-ს წილი დარგების მიხედვით




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

აღსანიშნავია, დასაქმების დინამიკა რეიტინგული ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, ამასთან დაქირავებულთა რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების დინამიკა. ეს საქმიანობებია: მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და დასაწყობება (იხ. დანართი 2.1).

2011 წლამდე მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა სხვა დარგებში დასაქმებულთა რაოდენობას, ხოლო სასტუმროების და რესტორნების სექტორი ბოლო პოზიციას იჭერს ამ ხუთეულში. 2011 წლიდან წინა პლანზე წამოიწია ვაჭრობის დარგში დასაქმებამ, მრეწველობის დარგში იწყო შემცირება, ხოლო

სასტუმროების და რესტორნების სექტორში გაიზარდა. ბოლო წლებში დასაქმებაში ლიდერობენ ვაჭრობის, მრეწველობის და მშენებლობის დარგები (იხ. დიაგრამა 2.2.3).

დიაგრამა 2.2.3. დასაქმებულთა განაწილება დარგების მიხედვით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

შრომის პროდუქტიულობა. ბიზნესში სამუშაო ძალის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომის პროდუქტიულობა, რომელიც განსაზღვრავს დროის ერთეულში პროდუქციის წარმოების უნარს. შრომის პროდუქტიულობის სტატისტიკის ამოცანებია განსაზღვროს შრომის პროდუქტიულობის დონე, დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები (თსუ, 2013, გვ. 39).

შევაფასეთ დასახელებულ 5 დარგში შრომის პროდუქტიულობის ცვლილება შრომის პროდუქტიულობის ინდექსების გამოყენებით. შრომის პროდუქტიულობა გამოითვლება წარმოებული პროდუქციის მოცულობის შეფარდებით დასაქმებულთა რიცხვთან:

$$P = \frac{\sum Y}{\sum L}$$

სადაც P არის შრომის პროდუქტიულობა (Productivity), Y არის წარმოებული პროდუქციის მოცულობა, L - დასაქმებულთა რიცხვი (Labor).

შრომის პროდუქტიულობის დინამიკა ხასიათდება ინდექსით:

$$I = \frac{P_1}{P_0} = \frac{\sum Y_1}{\sum L_1} : \frac{\sum Y_0}{\sum L_0}$$

სადაც P_1 და P_0 შრომის პროდუქტიულობის დონეებია საანგარიშო პერიოდის ბოლოს და დასაწყისში.

თუ ამ ფორმულაში შევიტანთ Y -ის მნიშვნელობას $Y = \sum PL$, როგორც შრომის პროდუქტიულობის და დასაქმებულთა რიცხვის ნამრავლი, მაშინ მივიღებთ:

$$I = \frac{\sum P_1 L_1}{\sum L_1} : \frac{\sum P_0 L_0}{\sum L_0},$$

ეს არის შრომის პროდუქტიულობის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი.

შევაფასეთ შრომის პროდუქტიულობის დინამიკა ცალკეულ დარგებში. მასზე მოქმედებს ორი ფაქტორი-შრომის პროდუქტიულობის დონეთა ცვლილება დარგებში და დასაქმების სტრუქტურული ძვრები. ამ უკანასკნელის გავლენა იმას ნიშნავს, რომ საერთო შრომის პროდუქტიულობა გაიზრდება, თუკი გაიზრდება იმ დარგებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი, რომელშიც მაღალია შრომის პროდუქტიულობა, მაშინაც კი როცა ცალკეულ დარგში შრომის პროდუქტიულობა არ შეიცვლება. შრომის პროდუქტიულობის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება გავზომოთ შრომის პროდუქტიულობის ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების ინდექსით.

ფიქსირებული ინდექსი (Fixed Index) განსაზღვრავს შრომის პროდუქტიულობის ცვლილების გავლენას საერთო შრომის პროდუქტიულობაზე და გამოითვლება ფორმულით:

$$FI = \frac{\sum P_1 L_1}{\sum L_1} : \frac{\sum P_0 L_1}{\sum L_1}.$$

სტრუქტურული ძვრების ინდექსი (Structural Index) განსაზღვრავს დასაქმების მასშტაბური სტრუქტურის ცვლილების გავლენას საერთო შრომის პროდუქტიულობაზე და გამოითვლება ფორმულით:

$$SI = \frac{\sum P_0 L_1}{\sum L_1} : \frac{\sum P_0 L_0}{\sum L_0}.$$

შევაფასეთ დარგებში შრომის პროდუქტიულობის დონის დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენა (იხ. ცხრილი 2.2.2)

გამოთვლებიდან ჩანს, რომ 2010-2019 წლებში შრომის პროდუქტიულობის დონე აჭარის ბიზნეს სექტორში 22 439 ლარიდან 59 169 ლარამდე გაიზარდა (164%-ით). მათ შორის უფრო მეტად მშენებლობისა და მრეწველობის დარგებში.

ცხრილი 2.2.2. შრომის პროდუქტიულობის დონის დინამიკა დარგების მიხედვით

დარგი	გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი		დასაქმებულთა რაოდენობა		დასაქმებულთა % წილი		შრომის პროდუქტიულობის დონე		ცვალებადი ინდექსი
	2010	2019	2010	2019	2010	2019	2010	2019	
	Y_0	Y_1	L_0	L_1			P_0	P_1	I
ვაჭრობა	74,5	516,6	4696	16647	15%	22%	15865	31033	1,96
ტრანსპორტი	122,6	523,8	3041	8163	10%	11%	40316	64166	1,59
მშენებლობა	222,9	1152,1	4099	10458	13%	14%	54379	110164	2,03
სასტუმრო-რესტორნები	37,3	338,7	2278	8185	7%	11%	16374	41381	2,53
მრეწველობა	160,4	706,3	6980	10466	22%	14%	22980	67485	2,94
სულ	714,6	4426,1	31847	74804	100%	100%	22439	59169	2,64

წყარო: (სურმანიძე, აჭარის ა.რ. ბიზნეს სექტორში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი, 2021).

ცხრილის ბოლო სვეტში გაანგარიშებულია შრომის პროდუქტიულობის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსები მთლიანად და ცალკეული დარგისთვის. რაც იმას ნიშნავს, რომ შრომის პროდუქტიულობა 2019 წელს მთლიან ბიზნეს სექტორში 2,64-ჯერ გაიზარდა 2010 წელთან შედარებით, მრეწველობაში-2,94-ჯერ, სასტუმრო-რესტორნებში-2,53-ჯერ, მშენებლობაში 2,03-ჯერ, ვაჭრობაში-1,96-ჯერ და ტრანსპორტში-1,59-ჯერ. ამრიგად, შრომის პროდუქტიულობა ყველაზე მეტად მრეწველობაში გაიზარდა. გამოვთვალოთ:

$$\frac{\sum P_1 L_1}{\sum L_1} = 59169,3 ; \frac{\sum P_0 L_1}{\sum L_1} = 22438,5 ; \frac{\sum P_0 L_0}{\sum L_0} = 22438,5$$

შრომის პროდუქტიულობის ფიქსირებული ინდექსი

$$FI = \frac{59169,3}{22438,5} = 2.64 = 264\%,$$


ბოლო სტრუქტურული ძვრების ინდექსი $SI = \frac{22438,5}{22438,5} = 1 = 100\%$.

ჩატარებული გამოთვლებით მივიღეთ, რომ აჭარის ბიზნეს სექტორში შრომის პროდუქტიულობა 2010 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა 164%-ით. რაც გამოწვეულია განხილულ 5 დარგში მთლიანად პროდუქტიულობის დონის ზრდით და არა დასაქმებულთა სტრუქტურის ცვლილებით.

ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების ინდექსების ნამრავლი $2,64 \cdot 1 = 2,64$ არის შრომის პროდუქტიულობის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი. მაშასადამე, შრომის პროდუქტიულობა განხილულ დარგებში მთლიანად განსაზღვრავს შრომის პროდუქტიულობას ბიზნეს სექტორში, ხოლო სტრუქტურული ძვრების გავლენას შრომის პროდუქტიულობა არ განიცდის.

რაც შეეხება დასაქმებულთა ხელფასებს ამ დარგებში, მშენებლობაში და მრეწველობაში დასაქმებულთა ხელფასები ადმატება ვაჭრობისა და მომსახურების დარგებში დასაქმებულთა ხელფასებს (იხ. დიაგრამა 2.2.4).

დიაგრამა 2.2.4. დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები დარგების მიხედვით




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ეფუძნება ეროვნულ სტატისტიკურ კლასიფიკატორს, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის სტატისტიკური ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community ბაზაზე (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, 2016). ის განპირობებულია საერთაშორისო ოფიციალური სტატისტიკის თავსებადობის აუცილებლობით. კლასიფიკატორის ახალი ვერსია შესაბამისობაშია გაეროს სახეების კლასიფიკატორთან (ISIC) და წარმოაჩენს ევროკავშირის ქვეყნების საქმიანობების სახეებს, რაც არ იყო სრულად ასახული ძველ ვერსიაში. ამასთან გათვალისწინებულია ეროვნული კლასიფიკატორებიც, რისა გამოც, კლასიფიკატორის დაჯგუფებების რაოდენობაც გაიზარდა. კლასიფიკატორში შედის 19 სექცია (დანართი 2.2).

თუ შევადარებთ დასაქმებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის წილობრივ მაჩვენებლებს ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, შევნიშნავთ, რომ აჭარის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ყველა სექტორში ყოველთვის არ განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას (იხ. დიაგრამა 2.2.5.).

დიაგრამა 2.2.5. დასაქმების და მშპ-ს წილის დინამიკა დარგების მიხედვით



წყარო: აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმების წილის დინამიკა და მთლიან შიდა პროდუქტში გამოშვების წილის დინამიკა 2013 წლიდან თითქმის ერთნაირია. მშენებლობის დარგში დასაქმების წილი 2017 წლიდან შემცირდა, თუმცა მისი წილი

მშპ-ში საგრძნობლად გაიზარდა. საბითუმო და საცალო ვაჭრობაში მათი დინამიკებიც თითქმის ერთნაირია, თუმცა 2017-2019 წლებში ამ დარგში დასაქმების წილის ზრდასთან ერთად მცირდებოდა მშპ-ს წილი. ტრანსპორტირება-დასაწყობების დარგში საპირისპირო სიტუაციაა, 2015-2017 წლებში დასაქმების წილი მკვეთრად გაიზარდა, მშპ-ს წილი შემცირდა. სასტუმროებისა და რესტორნების დარგში, 2015 წლიდან ამ სიდიდეებს თითქმის ერთნაირი ზრდის დინამიკა აქვთ, მანამდე კი საპირისპირო დინამიკა შეიმჩნეოდა.

საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში შეინიშნება წარმოების ფაქტორების არასწორი განაწილება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილები დაბალი პროდუქტიულობის სექტორებში ვლინდება, ხოლო მაღალი პროდუქტიულობის სექტორები ცოტა სამუშაო ადგილს ქმნის ან ეს ადგილები არ არის საკმარისი დასაქმების გასაზრდელად (პოსადას პ. ..., 2018, გვ. 14).

არანაკლებ საინტერესოა, დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა და საშუალო თვიური ანაზღაურება სქესობრივ ჭრილში. 2019 წლის მონაცემების მიხედვით, დასაქმებულ კაცთა საშუალო წლიური რაოდენობა დაახლოებით 44%-ით მეტია დასაქმებულ ქალთა რაოდენობაზე, ხოლო დაქირავებით დასაქმებული კაცების საშუალო თვიური ანაზღაურება 75%-ით მეტია ქალების ანაზღაურებაზე (იხ. დანართი 2.3). განსხვავება ხელფასში შეიძლება განპირობებული იყოს როგორც შრომის ბაზრის დისკრიმინაციით, ისე ქალების განათლების სფეროთი, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ამ განსხვავების მიზეზი მეორე უფროა. ქალები მეტწილად ირჩევენ დაბალშემოსავლიან სფეროებს, მაგალითად, განათლება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, მაშინ როცა კაცები უფრო მაღალშემოსავლიან სფეროებს ირჩევენ, მაგალითად, საინჟინრო სპეციალობებს და ზუსტ მეცნიერებებს (USAID, უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე, 2013, გვ. 13).

საქმიანობის სახეების მიხედვით, დასაქმებული კაცების რაოდენობა ბევრად (2-ჯერ ან მეტად) აღემატება დასაქმებული ქალების რაოდენობას ისეთ სექციებში, როგორცაა A, B, D, E, F, G, H, L, M, N. ხოლო C, P, Q, R სექციებში, კერძოდ, დამამუშავებელ მრეწველობაში, განათლებაში, ჯანდაცვაში და ხელოვნება-

გართობაში, დასაქმებულთა უფრო მეტი ქალი, ვიდრე კაცი. კაცების საშუალო თვიური ანაზღაურება აჭარბებს ქალების ანაზღაურებას თითქმის ყველა სექციაში.

რაც შეეხება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობასა და ხელფასებს სქესობრივ ჭრილში საწარმოთა ზომის მიხედვით, ქალების მეტი წილი მცირე საწარმოებშია დასაქმებული, თუმცა კაცების დასაქმების მაჩვენებელიც და ხელფასებიც ქალებთან შედარებით უფრო მაღალია (იხ. ცხრილი 2.2.3.).

ცხრილი 2.2.3. დასაქმებულთა რაოდენობა და ხელფასები საწარმოთა ზომის მიხედვით სქესობრივ ჭრილში


წელი	საწარმოთა ზომა	დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა, კაცი			დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი		
		სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი
2017	აჭარა	70087	29150	40938	848,5	622,2	1018,6
	მსხვილი საწარმო	14454	7859	6595	1134,1	875,0	1442,6
	საშუალო საწარმო	15215	6162	9053	1045,7	774,9	1230,9
	მცირე საწარმო	40419	15129	25290	644,9	408,7	797,2
2018	აჭარა	70292	27355	42937	928,7	705,7	1080,4
	მსხვილი საწარმო	13895	7738	6157	1153,4	910,7	1458,5
	საშუალო საწარმო	16340	7053	9287	1224,2	808,3	1539,3
	მცირე საწარმო	40057	12564	27493	690,2	495,1	785,8
2019	აჭარა	74804	30632	44172	1019	715,2	1251,4
	მსხვილი საწარმო	16586	8278	8308	1554,5	1048,3	2058,8
	საშუალო საწარმო	14915	6628	8288	1195,6	878,7	1448,9
	მცირე საწარმო	43303	15726	27576	702,1	450,5	869,1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2019 წელს მსხვილ საწარმოებში დასაქმებული ქალების რაოდენობა 7%-ით, კაცების რაოდენობა 35%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, რაც შეეხება ანაზღაურებას, ქალების საშუალო თვიური ანაზღაურება გაიზარდა 15%-ით, კაცების- 41%-ით. მცირე საწარმოებში დასაქმებული ქალების რაოდენობა გაიზარდა 25%-ით, მაშინ როცა კაცების რაოდენობა 0,3%-ით გაიზარდა. ქალების ანაზღაურება 9%-ით შემცირდა, კაცების ანაზღაურება 11%-ით გაიზარდა. სულ სხვაგვარი სურათი ისახება

საშუალო საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობები შემცირდა: ქალების 6%-ით, კაცების 11%-ით, ხოლო ქალების ანაზღაურება გაიზარდა 9%-ით, კაცების შემცირდა 6%-ით (იხ. დიაგრამა 2.2.6.).

დიაგრამა 2.2.6. დასაქმებულთა ზრდის მაჩვენებლები საწარმოს ზომის მიხედვით, 2019 წ. (წინა წელთან შედარებით)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

2019 წლის მონაცემებით, აჭარის ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებლები საკუთრების ტიპის მიხედვით ადასტურებს, რომ დასაქმებულთა მეტი წილი დასაქმებულია კერძო სექტორში, კერძოდ, დასაქმებულთა 93% კერძო სექტორშია (როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი ფიზიკური თუ იურიდიული პირების) დასაქმებული, ხოლო 7% - სახელმწიფო სექტორში. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 41% ქალია და 59% კაცი. განსხვავება შეინიშნება ხელფასებს შორის სექსობრივ ჭრილში, კერძოდ კაცების ხელფასები აღემატება ქალების ხელფასებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. ქალები, ძირითადად, დაბალანაზღაურებად პოზიციებზე არიან დასაქმებული (იხ. ცხრილი 2.2.4.).

დასაქმების მაძიებელთა აქტიურობის შესწავლის მიზნით გავაანალიზეთ აჭარის დასაქმების სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები. სსიპ „დასაქმების სააგენტო“ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 2011 წლიდან, რომელიც უფასო საშუაშუალო სერვისს სთავაზობს როგორც დამსაქმებლებს, ისე სამუშაოს მაძიებლებს.

ცხრილი 2.2.4. აჭარის არ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საკუთრების ფორმების მიხედვით, 2019 წელი

საქმიანობის დასახელება	დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა, კაცი			დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი		
	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი
აჭარა	74804	30632	44172	1019,0	715,2	1251,4
კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)	53284	19906	33378	915,4	597,4	1129,4
კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)	16303	8471	7832	1337,9	994,7	1714,4
სახელმწიფო	5217	2255	2962	950,6	641,1	1186,6

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

თუ გადავხედავთ დასაქმების სააგენტოს სტატისტიკას დაარსების წლიდან, რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რიცხოვნობა მაქსიმუმს 2012 წელს აღწევდა, შემდეგ იწყო კლება და 2014 წლიდან 2019 წლამდე შეინარჩუნა თითქმის თანაბარი ტენდენცია (იხ. ცხრილი 2.2.5.).

ცხრილი 2.2.5. დასაქმების სააგენტოში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლების დინამიკა


წელი	რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები			კაცი			ქალი		
	სულ	ქალი	კაცი	სულ	18-30	31-50	სულ	18-30	31-50
2012	9674	2801	6873	1874	446	1428	2320	336	1984
2013	4681	2547	2134	595	218	377	848	266	582
2014	2146	1230	916	302	147	155	531	159	372
2015	2178	1162	1016	199	97	102	379	117	262
2016	2843	1315	1528	356	205	151	451	174	277
2017	2060	1132	928	315	202	113	338	140	198
2018	2397	1086	1311	627	405	222	469	253	216
2019	3142	1729	1413	864	570	294	1005	517	488
2020	833	401	432	353	228	125	303	120	183

წყარო: აჭარის დასაქმების სააგენტოს მონაცემები.

რაც შეეხება სამუშაოს მაძიებელთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, 31-50 ასაკობრივი ჯგუფის ქალების რაოდენობა უფრო სჭარბობს 18-30 ასაკობრივი ჯგუფის ქალების რაოდენობას, რადგანაც ამ უკანასკნელი ჯგუფის წარმომადგენლები

ძირითადად სწავლით არიან დაკავებული, თუმცა პარალელურად დასაქმებასაც უთავსებენ. 2018-2019 წლებში ეს განსხვავება პირიქითაა. ამ წლებში კაცების ასაკობრივ ჯგუფებშიც ანალოგიურად, 18-30 ასაკობრივი ჯგუფის შრომის მაძიებლები სჭარბობენ 31-50 ასაკისას (იხ. დიაგრამა 2.2.7.).

დიაგრამა 2.2.7. სამუშაოს მაძიებელთა სექსობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა



წყარო: აგებულია ავტორის მიერ აჭარის დასაქმების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.

ამ ასაკობრივი ჯგუფების აქტივობა განპირობებულია დამსაქმებლების მხრიდან შეზღუდული ასაკის მოთხოვნებით. აღსანიშნავია, რომ სამუშაოს მაძიებლებში უმეტესად ქალები სჭარბობენ, რაც განპირობებულია როგორც მოსახლეობის რიცხოვნობაში ქალების მეტი წილით, ასევე ისეთი ვაკანსიების დომინირებით, რომლებშიც უფრო ქალები საქმდებიან. მაგ. ვაჭრობის და მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილებზე მოდის 31-35%, ხოლო სასტუმროების და რესტორნების სფეროზე მოდის 45-55% (იხ. ცხრილი 2.2.6.).


ცხრილი 2.2.6. სამუშაო ადგილების რაოდენობა საქმიანობის სფეროს მიხედვით, %

საქმიანობის სფერო						
მრეწველობა	ვაჭრობა	მშენებლობა	სოფლის მეურნეობა	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	სასტუმროები და რესტორნები	სხვა (ჯანდაცვა, ხელოვნება, ფინანსები)
4-6	31-35	3-5	0.5-0.8	2-3	45-55	20-22

წყარო: აჭარის დასაქმების სააგენტოს მონაცემები.

ნიშანდობლივია, სამუშაოს მაძიებელთა განათლების მდგომარეობა. სამუშაოს მაძიებლებში მეტი წილი საშუალო განათლების მქონეზე მოდის, ყველაზე ნაკლები კი უმაღლესი განათლების მქონე კატეგორიაზე (იხ. დიაგრამა 2.2.8.).

დიაგრამა 2.2.8. სამუშაოს მაძიებელთა განათლების დონე, %



წყარო: აგებულია ავტორის მიერ აჭარის დასაქმების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება დამსაქმებელთა მიერ შემოთავაზებულ ვაკანსიებზე ხელფასების ოდენობას, საშუალო ხელფასი მეტწილად 300-500 ლარის ფარგლებშია, ვაკანსიების მეხუთედზე ნაკლებზე 500-1000 ლარის ფარგლებში. 1000 ლარზე მეტი ხელფასი მხოლოდ 2%-ს აქვს (იხ. ცხრილი 2.2.7.).

ცხრილი 2.2.7. ხელფასების განაწილება, %


ხელფასი			
300 ლარამდე	300-500 ლარი	500-1000 ლარი	1000 ლარზე მეტი
5-7	75-80	15-20	2

წყარო: აჭარის დასაქმების სააგენტო.

რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების წილობრივი მაჩვენებლების დინამიკა (სქესის მიხედვით) საკმაოდ არაერთგვაროვანია (იხ. დიაგრამა 2.2.9.).

2017 წლამდე დისბალანსი დასაქმებული ქალების და კაცების რაოდენობებს შორის საკმაოდ დიდია, თუმცა ბოლო წლებში ეს დისბალანსი შემცირდა ანუ ვაკანსიებზე თითქმის თანაბრად საქმდებიან კაცებიც და ქალებიც.

დიაგრამა 2.2.9. დასაქმების მაჩვენებლები სქესის მიხედვით,%



წყარო: აგებულია ავტორის მიერ აჭარის დასაქმების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.

გასათვალისწინებელია დამსაქმებელთა მოთხოვნები, თუ ყველაზე მეტად რას ანიჭებენ უპირატესობას დასაქმების დროს. დამსაქმებელთა 80-82% უპირატესობას გამოცდილებას ანიჭებს, ვიდრე განათლებას და კვალიფიკაციას, ამიტომაც სამუშაოს მაძიებელთა რიცხვში უმაღლეს განათლების მქონეთა წილი ძალიან მცირეა. დამსაქმებელთა 57-60% უპირატესობას სქესს ანიჭებს, ხოლო 65-70% ასაკს. ოჯახურ მდგომარეობის უპირატესობა არაა არსებითი (იხ. ცხრილი 2.2.8.).

ცხრილი 2.2.8. დამსაქმებლების უპირატესობა,%

მათგან რამდენი დამსაქმებელი ანიჭებს უპირატესობას				
სქესი	ასაკი	განათლება, კვალიფიკაცია	გამოცდილება	ოჯახური მდგომარეობა
57-60	65-70	18-20	80-82	0.3-0.5


შენიშვნა: 2020 წლის მონაცემები ფიქსირდება სექტემბრის მდგომარეობით.

საბოლოოდ, თუ შევადარებთ რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და სამუშაო ადგილების რაოდენობებს, შევნიშნავთ რომ დაწყებული 2014 წლიდან უფრო მეტი შეთავაზებული სამუშაო ადგილია, ვიდრე სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა (იხ. დიაგრამა 2.2.10.).

ასეთი თანაფარდობა კიდევ უფრო ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, შრომის ბაზარზე

გვაქვს სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი. ბოლო წლებში დასაქმების ბაზარზე დგას სამუშაო ძალის შემცირების პრობლემა, რაც განაპირობებს დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას.

დიაგრამა 2.2.10. დასაქმების სააგენტოში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და სამუშაო ადგილების თანაფარდობა



წყარო: აგებულია ავტორის მიერ აჭარის დასაქმების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.

მართალია, დასაქმების სააგენტო გარკვეულწილად ეხმარება დასაქმების მსურველებს სამუშაოს მოძიებაში, მაგრამ მომსახურების მოთხოვნა შრომის ბაზარზე ბევრად მეტია, საჭიროა სამუშაოს მაძიებელთათვის უფრო მეტი შესაძლებლობის მიცემა ვაკანსიების ერთიანი ბაზის შუამავლობით დამსაქმებლებთან ურთიერთობის ამასთან საჭიროა დასაქმების სფეროში აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, როგორცაა სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ამრიგად, აჭარის ბიზნეს სექტორში გამოვლინდა პრიორიტეტული დარგები: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტირება, სასტუმროები და რესტორნები, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ისე ბრუნვისა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. ამ დარგებში შრომის პროდუქტიულობის ზრდამ განაპირობა აჭარის მთლიან ბიზნეს სექტორში შრომის პროდუქტიულობის დონის გაზრდა. ბოლო წლებში უფრო მეტად მშენებლობის და მრეწველობის დარგებში გაიზარდა შრომის პროდუქტიულობა. შესაბამისად შრომის ანაზღაურების ზრდაც ამ დარგებში უფრო მიმდინარეობს სხვა დარგებთან

შედარებით. რეგიონში ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით ხელფასებს შორის მკვეთრი დიფერენციაცია მიუთითებს შრომის დაბალ პროდუქტიულობაზე. აღსანიშნავია, რომ კაცების შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი მაღალია ქალების შრომის ანაზღაურებაზე ყველა დარგში, რაც შრომის ბაზარზე განათლების პროფილის განსხვავებით არის გამოწვეული.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამუშაო ადგილების ზრდა მეტწილად კერძო სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის, თუმცა შრომის ანაზღაურება ამ სექტორში საკმაოდ დაბალია. აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმების დონე საკმაოდ დაბალია ბათუმს, ხელვაჩაურსა და ქობულეთთან შედარებით. მაღალმთიანეთში ძირითადად სოფლის მეურნეობის დარგში არიან დასაქმებულები. ამიტომ აჭარის მთავრობის მხრიდან უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აქ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ პოლიტიკას.

2.3. ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნეს სექტორის ეკონომიკური მნიშვნელობის გასაანალიზებლად საჭიროა მისი ძირითადი მაჩვენებლების შესწავლა, რომლებიც ასახავენ რეგიონის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ტენდენციებს ეს მაჩვენებლებია: საწარმოს ბრუნვა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (საქსტატი, ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია). განვიხილოთ ამ მაჩვენებლების დინამიკა სხვადასხვა ჭრილში: მთლიან ბიზნეს სექტორში, მუნიციპალიტეტების მიხედვით, საწარმოთა ზომის მიხედვით (იხ. დანართი 2.4).

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 71 924 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთაგან აქტიურია 19 591 სუბიექტი (27%), რაც საქართველოში რეგისტრირებული აქტიური სუბიექტების 10%-ს შეადგენს. ამ რაოდენობის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მესამე

ადგილზეა თბილისის და იმერეთის შემდეგ. წინა წელთან შედარებით აქტიური სუბიექტების რაოდენობა 5,6%-ით გაიზარდა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული და აქტიური ორგანიზაციების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ადასტურებს, რომ ორგანიზაციების ძირითადი ნაწილი ბათუმშია (~60%), ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში(იხ. ცხრილი 2.3.1).

ცხრილი 2.3.1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული ორგანიზაციების რაოდენობა, 2019 წ.


მუნიციპალიტეტის დასახელება	რეგისტრირებული	% საქართველოს მიხედვით	% აჭარის მიხედვით	აქტიური	% საქართველოს მიხედვით	% აჭარის მიხედვით
ბათუმი	39550	5,3	59,6	10500	6,1	61,2
ქობულეთი	10270	1,4	15,5	2464	1,4	14,4
ხელვაჩაური	9955	1,3	15,0	2421	1,4	14,1
ქედა	1923	0,3	2,9	478	0,3	2,8
შუახევი	1612	0,2	2,4	437	0,3	2,5
ხულო	3026	0,4	4,6	851	0,5	5,0
აჭარა	66336	8,9		17151	10,0	
საქართველო	748677			171939		

წყარო: ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა 2020-2021.

რეგისტრირებულ ორგანიზაციებში აქტიური ორგანიზაციების მცირე წილი იმას მიუთითებს, რომ არსებული ბიზნეს გარემოს სირთულეებს (კონკურენციას) ვერ უმკლავდება საწარმოების უმეტესი ნაწილი და ტოვებს ბაზარს.

2019 წელს აჭარის ბიზნეს სექტორში ფუნქციონირებდა 13 936 საწარმო, მათ შორის 99% მცირე ზომის საწარმო (დიაგრამა 2.3.1).


დიაგრამა 2.3.1. აჭარის ბიზნეს სექტორში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა



წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები.

2019 წლისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ მოქმედ საწარმოთა რაოდენობამ შეადგინა 1 716, მათ შორის ყველაზე მაღალი წილით (56%) გამოირჩევა თურქული კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი საწარმოები (იხ. დიაგრამა 2.3.2.).


დიაგრამა 2.3.2. უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ მოქმედ საწარმოთა რაოდენობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში



წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აჭარის ბიზნეს სექტორში საწარმოთა ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება 1999-2019 წლების დინამიკაში მზარდ ტენდენციას ავლენს, თუმცა 2010 წლიდან ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდება, კერძოდ, 2019 წელს მათი სიდიდეები 6-ჯერ გაიზარდა 2010 წელთან შედარებით (იხ. დიაგრამა 2.3.3.).

დიაგრამა 2.3.3. მთლიანი ბრუნვის და პროდუქციის გამოშვების დინამიკა



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

ბიზნეს სექტორში როგორც ბრუნვის, ასევე პროდუქციის გამოშვების მოცულობისა და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, აჭარა მეორე ადგილზეა თბილისის შემდეგ. შესაბამისად, 6,0%, 8,4%, 9,9% ხვედრითი წილის მაჩვენებლებით,

ხოლო დასაქმებულთა ხელფასის მიხედვით მესამე ადგილზეა თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის შემდეგ.

რაც შეეხება, ბიზნეს სექტორის ძირითად მაჩვენებლებს მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, ყველაზე ნაკლები ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებშია, შესაბამისად ნაკლებია დასაქმებულთა რაოდენობაც და მათი შრომის ანაზღაურებაც (იხ. ცხრილი 2.3.2.).

ცხრილი 2.3.2. საწარმოთა ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმება მუნიციპალიტეტების მიხედვით (აჭარის ა.რ. / 2019 წ.)				
მუნიციპალიტეტი	ბრუნვა (მლნ. ლარი)	პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება (ლარი)
ბათუმი	6 082.9	3 803.5	62 449	1 029.3
ქედა	29.3	29.1	909	452.0
ქობულეთი	457.5	270.7	6 956	737.2
შუახევი	163.6	161.5	955	872.3
ხელვაჩაური	308.8	130.4	2 719	670.0
ხულო	33.1	30.9	816	507.5

წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები.

საწარმოთა ზომის მიხედვით ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების 2008-2019 წლების დინამიკა გვიჩვენებს, რომ მსხვილ საწარმოებში წლიური ბრუნვა ამ პერიოდში 7-ჯერ გაიზარდა, საშუალოში-5-ჯერ, მცირე კი-6,5-ჯერ (იხ. ცხრილი 2.3.3.).

ცხრილი 2.3.3. საწარმოთა წლიური ბრუნვა ზომის მიხედვით.

მაჩვენებლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
საწარმოთა ბრუნვა, მლნ ლარი	1008	1030,8	1175,2	1928,8	2375,6	2753,8	3424,1	4155,5	4755,8	5176,9	5 695,0	7 399,4
მსხვილი	179,5	231,8	215,3	301,1	314,3	343,1	471,3	1 055,8	1 192,2	1 241,2	1 195,6	2 376,3
საშუალო	350,1	258,0	343,7	448,3	734,5	782,0	985,9	1 004,0	1 150,6	1 525,2	1 804,5	1 882,3
მცირე	478,2	540,9	616,2	1 179,4	1 326,7	1 628,8	1 966,9	2 095,7	2 413,0	2 410,5	2 694,9	3 140,8

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ბიზნეს სექტორი.

გამომავალი პროდუქცია მსხვილ და საშუალო საწარმოებში გაიზარდა 7,5-ჯერ და 5,4-ჯერ შესაბამისად, ხოლო მცირე საწარმოებში გამოშვებული პროდუქცია გაიზარდა 10,4-ჯერ, რაც იმას ნიშნავს მცირე საწარმოების ზრდის ტემპები

პროდუქციის გამოშვებაში წინ უსწრებს საშუალო და მსხვილ საწარმოებს (იხ. ცხრილი 2.3.4.)

ცხრილი 2.3.4. საწარმოთა გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ზომის მიხედვით


მაჩვენებლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი	584,4	613,9	714,6	1 125,2	1 541,4	1 635,8	2 043,4	2 426,3	3 079,6	3 155,0	3 532,9	4 426,1
მსხვილი	181,8	224,0	214,3	264,7	284,9	321,6	454,6	742,7	933,8	656,4	672,2	1 354,7
საშუალო	223,4	167,3	225,8	356,8	601,0	592,7	652,2	635,5	847,0	1 002,2	1 234,2	1 204,4
მცირე	179,1	222,7	274,5	503,7	655,5	721,6	936,7	1 048,1	1 298,8	1 496,4	1 626,6	1 867,1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს სექტორი

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ბიზნეს სექტორში ბრუნვისა და გამოშვების მეტი წილი მცირე საწარმოებზე მოდის. ეს მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონში პრიორიტეტულია მცირე საწარმოებზე დაფუძნებული ბიზნესი. მცირე საწარმოთა ბრუნვასა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობას ბოლო წლებში მზარდი ტენდენცია აქვს (იხ. დანართი 2.7.).

მსხვილ და საშუალო საწარმოებში ამ მაჩვენებლების განვითარების დინამიკა უფრო არაერთგვაროვანია. 2016-2018 წლებში მსხვილი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მკვეთრად შემცირდა, 2019 წელს კი-მკვეთრად გაიზარდა, საშუალო საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2015-2018 წლებში გაიზარდა, 2019 წელს კი-შემცირდა (იხ. დიაგრამა 2.3.4).


დიაგრამა 2.3.4. საწარმოთა წლიური ბრუნვის და გამოშვებული პროდუქციის დინამიკა საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

რეგიონის ბიზნეს სექტორის გამოშვებაში საკუთრების ფორმების მიხედვით გამოკვეთილია სახელმწიფოს წილის შემცირებისა და კერძო სექტორის სუბიექტების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია (იხ. დიაგრამა 2.3.5).

დიაგრამა 2.3.5. ეკონომიკის გამოშვება საკუთრების ფორმების მიხედვით.



წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები.

საწარმოთა საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა. შევაფასეთ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის დინამიკა საწარმოთა ზომის მიხედვით (იხ. ცხრილი 2.3.5).

**ცხრილი 2.3.5. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის დინამიკა
საწარმოთა ზომის მიხედვით.**


	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
აჭარა	30523	29229	31325	31847	39975	44691	49759	54655	57555	66597	70087	70292	74804
მსხვილი	-8%	-1%	2%	-7%	30%	-1%	19%	6%	12%	15%	-6%	-4%	19%
საშუალო	-1%	-2%	-3%	3%	-7%	22%	3%	17%	-5%	7%	15%	7%	-9%
მცირე	-7%	-8%	19%	6%	44%	13%	12%	9%	7%	19%	7%	-1%	8%

წყარო: გამოთვლილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტემპები საკმაოდ არაერთგვაროვანია საწარმოთა ზომის მიხედვით. კლებისა და ზრდის ტემპები ძალზედ ცვალებადია. 2009-2011 წლებში აქტიურად გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა მცირე საწარმოებში, მაშინ როცა საშუალო და მსხვილ საწარმოებში იკლო, რაც გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში ინვესტირების კლებით მსხვილ და საშუალო საწარმოებში და მცირე საწარმოთა საქმიანობის გააქტიურებით.

დასაქმებულთა რაოდენობის მონაცემების საფუძველზე აგებულ ტრენდზე კარგად ჩანს, რომ მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი გაცილებით დიდია საშუალო და მსხვილ საწარმოებთან შედარებით. ბოლო წლებში შეინიშნება მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს მცირე მეწარმეობის მოქნილობას და ეფექტიანობას დასაქმების თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა 2.3.6.).

დიაგრამა 2.3.6. აჭარის ბიზნესის სექტორში დასაქმებულთა დინამიკა 2006-2019




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბიზნეს სექტორი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის ტემპი არ შეესაბამება რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვის ზრდის ტემპს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნეს-გარემოში არსებული პრობლემები ხელს ვერ უწყობს საწარმოთა ფუნქციონირების ისე გაგრძელებას, რომ შესაბამისად უზრუნველყოს სამუშაო ადგილებისა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა.

მცირე ბიზნესში დასაქმებულთა წილი მთლიან ბიზნესის სექტორის დასაქმებაში 2010 წლიდან მკვეთრად გაიზარდა და 50%-სა და 60%-ს შორის მერყეობს, ხოლო მცირე ბიზნესში პროდუქციის გამოშვების წილი მთლიან გამოშვებაში 2017 წლიდან მცირდება და 40%-სა და 50%-ს შორის მერყეობს (იხ. დიაგრამა 2.3.7.). გამოშვებული პროდუქციის მოცულობის შემცირება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად მცირე ბიზნესში შრომის პროდუქტიულობის შემცირებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 2.3.7. მცირე ბიზნესში პროდუქციის გამოშვების და დასაქმების წილი



წყარო: (სურმანიძე, მცირე ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი (აჭარის მაგალითზე), 2020).

საწარმოთა ზომის მიხედვით დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურების მონაცემებმა აჩვენა, რომ შედარებით დაბალი ანაზღაურება აქვთ მცირე საწარმოებში დასაქმებულებს. 2019 წლის მონაცემებით, მათი საშუალო ანაზღაურება შეადგენდა 702 ლარს, უმნიშვნელოდ გაზრდილი წინა წელთან შედარებით (იხ. ცხრილი 2.3.6.).

ცხრილი 2.3.6. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურების ზრდის დინამიკა საწარმოთა ზომის მიხედვით


	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
აჭარა	270,5	383,0	399,1	441,4	477,8	536,7	577,3	644,9	821,5	845,4	848,5	929	1019
მსხვილი	11%	46%	-4%	20%	3%	10%	4%	9%	48%	14%	-19%	2%	35%
საშუალო	67%	38%	9%	15%	15%	26%	0%	16%	11%	9%	3%	17%	-2%
მცირე	4%	34%	21%	0%	19%	7%	17%	9%	23%	-10%	25%	7%	2%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ცხრილის მონაცემების საფუძველზე აგებულ დიაგრამაზე, კარგად ჩანს საწარმოთა ზომის მიხედვით ხელფასებს შორის განსხვავება და ტენდენციები (იხ. დიაგრამა 2.3.8.).

დიაგრამა 2.3.8.

დასაქმებულთა ანაზღაურების დინამიკა საწარმოთა ზომის მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; ბიზნეს სექტორი.

მცირე საწარმოებში შედარებით დაბალი ხელფასები გამოწვეულია მცირე საწარმოებში შრომის დაბალი პროდუქტიულობის დონით.

2019 წელს დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი დასაქმებული მცირე ბიზნესშია (57,9%), ხოლო საკუთრების მიხედვით - არასახელმწიფო სექტორში (93%) (იხ. ცხრილი 2.3.7).

ცხრილი 2.3.7. დასაქმებულთა რაოდენობა (წილი) საწარმოთა ზომისა და საკუთრების მიხედვით (2019 წ.)


საწარმოთა ტიპი	სულ	სახელმწიფო	არასახელმწიფო
სულ	74804 (100%)	5217 (7%)	69 587 (93%)
მსხვილი	16 586 (22,2%)	2 285 (43,8%)	14 301 (20,5%)
საშუალო	14 915 (19,9%)	1 586 (30,4%)	13 329 (19,2%)
მცირე	43 303 (57,9%)	1 346 (25,8%)	41 957 (60,3%)

წყარო: შესრულებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

სახელმწიფო სექტორში დასაქმებულების 43, 8% მსხვილი საწარმოებზე მოდის, მაშინ როცა კერძო სექტორის მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა წილი მხოლოდ 20,5%-ია. ფაქტია, რომ კერძო სექტორში მცირე საწარმოებში დასაქმებულების წილი ყველაზე მაღალია (60,3%). ეს ფაქტი ადასტურებს მცირე საწარმოების მნიშვნელობას დასაქმებაში.

გამოვთვალეთ ბიზნეს სექტორში შრომის პროდუქტიულობა (გამოშვებული პროდუქცია ერთ დასაქმებულზე) საწარმოების ზომის მიხედვით, ყველაზე დაბალი შრომის პროდუქტიულობა მცირე საწარმოებშია. საშუალო საწარმოებში შრომის პროდუქტიულობა უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილ საწარმოებში (იხ. დიაგრამა 2.3.9.).

დიაგრამა 2.3.9. შრომის პროდუქტიულობის დონის დინამიკა საწარმოთა ზომის მიხედვით.




წყარო: აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ დასაქმებულთა უნარების ნაკლებობა ზღუდავს პროდუქტიულობასა და საწარმოთა გაზრდას. საშუალო და მსხვილი

კომპანიები, რომელთა უმრავლესობა აფასებს ტექნიკურ უნარებს, ძნელად პოულობენ გამოცდილ კადრებს. შრომის ბაზარზე უმრავლესობას საჭირო უნარები არა აქვთ. მცირე საწარმოებში დაბალი პროდუქტიულობის გამოვლენამ გამოკვეთა პროდუქტიულობის დონის ამდლებისთვის აუცილებელი დონისძიებების გატარება.

ბიზნეს სექტორის ძირითად მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის გამოსავლენად გამოვიყენეთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. ბიზნეს სექტორის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ძლიერ კორელაციურ კავშირშია დასაქმებულთა რაოდენობასთან და შრომით დანახარჯებთან. მიუხედავად იმისა, რომ გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე მრავალი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი მოქმედებს, ამ შემთხვევაში განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო ფაქტორების (დასაქმებულთა რაოდენობის და შრომითი დანახარჯების) ზეგავლენა. ამ მაჩვენებლებს შორის კავშირების ფორმა შეგვიძლია წარმოვადგინოთ გრაფიკული ინტერპრეტაციით (იხ. დიაგრამა 2.3.10).

დიაგრამა 2.3.10. გამოშვებული პროდუქციის მოცულობის, დასაქმებულთა რაოდენობის და შრომითი დანახარჯების კავშირის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი



წყარო: შესრულებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

გრაფიკიდან ჩანს, რომ როგორც გამოშვებულ პროდუქციას და დასაქმებულთა რაოდენობას შორის, ასევე გამოშვებულ პროდუქციასა და შრომით დანახარჯებს შორის მჭიდრო წრფივი კორელაციური კავშირია. თუმცა უფრო მაღალი კორელაცია პროდუქციის გამოშვებასა და შრომით დანახარჯებს შორისაა. შრომითი დანახარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც ხელფასის გარდა მოიცავს სასწავლო პროგრამების,

მოგზაურობის ხარჯებს, წამახალისებელ პროგრამებს და ა.შ. პერსონალზე გაწეული მაღალი დანახარჯები ზრდის მათ მოტივაციას და პროდუქტიულობას. ეს იძლევა შემდეგი რეკომენდაციების ფორმირების საშუალებას რეგიონული ბიზნესის მხარდასაჭერად: მიზანშეწონილია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთა დანახარჯების გაზრდა, ამასთან განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარებაზე, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ანაზღაურების გაზრდაზე (Surmanidze, 2020).

ამრიგად, აჭარის ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების შესწავლამ აჩვენა, რომ ბრუნვის, გამოშვებული პროდუქციისა და დასაქმების მიხედვით ლიდერობს მცირე საწარმოები. რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონში პრიორიტეტულია მცირე საწარმოებზე დაფუძნებული ბიზნესი. პროდუქციის გამოშვების 42% და დასაქმების 58% მცირე საწარმოებზე მოდის. მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ადასტურებს მცირე მეწარმეობის მოქნილობას და ეფექტიანობას დასაქმების თვალსაზრისით. გამოკვეთილია ეკონომიკის გამოშვებაში სახელმწიფოს წილის შემცირებისა და კერძო სექტორის სუბიექტების ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია. შედარებით დაბალი ანაზღაურება აქვთ მცირე საწარმოებში დასაქმებულებს. ყველაზე დაბალი შრომის პროდუქტიულობა მცირე საწარმოებშია. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ დასაქმებულთა უნარების ნაკლებობა ზღუდავს პროდუქტიულობას და საწარმოთა ზომების გაზრდას. შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მცირე საწარმოებში პროდუქტიულობის დონის ამაღლებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება, კერძოდ, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება გადამზადება-ტრენინგების საშუალებით, რაზეც ცხადია დამსაქმებლებმა უნდა იზრუნონ. ასევე მცირე საწარმოებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მეწარმეების ბიზნეს განათლების დონის ამაღლება და სხვ.

თავი 3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარებაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის ანალიზი და პროგნოზირება

3.1. დასაქმებაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის სტატისტიკური ანალიზი

დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის სტატისტიკური ანალიზისთვის შევისწავლეთ მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა დემოგრაფიული მახასიათებლები (სქესი, ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა) და შევაფასეთ მათი გავლენა დასაქმებაზე.

კვლევის მეთოდი – კვლევითი შერჩევა;

სამიზნე ჯგუფები – კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს აჭარის მუნიციპალიტეტებში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოები;

კვლევის არეალი – კვლევა განხორციელდა ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს მასშტაბით. კვლევამ მოიცვა ბიზნესის სექტორი სხვადასხვა საქმიანობის მიხედვით;

კვლევის შედეგები – კითხვარების გაანალიზების შედეგად მივიღეთ რამდენიმე ტიპოლოგიური და სტრუქტურული ცხრილი, რომლებიც დაგვეხმარა შეგროვებული მონაცემების სტატისტიკურ ანალიზში. დადგინდა დემოგრაფიული ფაქტორების სტატისტიკური მნიშვნელოვნება;

შერჩევითი ერთობლიობის ელემენტების განაწილება კომპანიების ზომის და დარგების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილი 3.1.1-ში.

შერჩევაში შემავალ კომპანიებს შორის უმრავლესობა ბათუმის მუნიციპალიტეტშია (41), ქობულეთში-23, ხელვაჩაურში-24, ქედაში-24, შუახევი-18 და ხულოში-23.


ცხრილი 3.1.1. კომპანიების განაწილება მუნიციპალიტეტების, ზომის და დარგების მიხედვით

		ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო	სულ
ზომის მიხედვით	საშუალო	9	8	5	-	-	-	22
	მცირე	32	15	19	24	18	23	131
დარგის მიხედვით	მრეწველობა	5	6	4	3	3	4	25
	მშენებლობა	7	2	5	3	2	2	21
	სასტუმროები და რესტორნები	5	3	3	3	1	2	17
	ვაჭრობა	6	3	2	4	3	2	20
	სოფლის მეურნეობა	1	3	5	6	4	5	24
	ტრანსპორტი	5	2	2	1	2	2	14
	ტურიზმი	4	3	2	1	1	3	14
	მომსახურება	8	1	1	3	2	3	18
	სულ	41	23	24	24	18	23	153

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ შერჩევის საფუძველზე.

ბათუმში მდებარე გამოკითხული კომპანიების უმრავლესობა ვაჭრობის, მშენებლობისა და მომსახურების დარგშია, ქობულეთსა და ხელვაჩაურში-მრეწველობის და ტურიზმის, ხოლო აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში-სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის (იხ. დიაგრამა 3.1.1.).

დიაგრამა 3.1.1. გამოკითხული კომპანიების განაწილება



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

გამოკითხულ კომპანიებში 2020 წლის დასაწყისისთვის 2016 წლის დასაწყისთან შედარებით დასაქმებული ქალების რაოდენობა 10%-ით, ხოლო კაცების რაოდენობა 45%-ით გაიზარდა. ქალების რაოდენობა მშენებლობის დარგში დაახლოებით 1,5-ჯერ გაიზარდა, ასევე საგრძნობლად გაიზარდა მათი რაოდენობა მომსახურების, ტურიზმის და ვაჭრობის სფეროში, ხოლო მამაკაცების რაოდენობა ამ პერიოდში ყველაზე მეტად გაიზარდა მრეწველობის, მომსახურების და მშენებლობის დარგებში (იხ. ცხრილი 3.1.2.).


ცხრილი 3.1.2. დასაქმებულთა განაწილება დარგების მიხედვით სქესობრივ ჭრილში

დარგი	2016 წლის დასაწყისში			2020 წლის დასაწყისში			% ზრდა	
	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მრეწველობა	2367	1942	425	2585	1845	740	-5	74
მშენებლობა	355	41	314	575	106	469	159	49
სასტუმროები და რესტორნები	561	341	220	663	378	285	11	30
ვაჭრობა	321	140	181	386	200	186	43	3
სოფლის მეურნეობა	312	163	149	388	205	183	26	23
ტრანსპორტი	121	11	110	163	15	148	36	35
ტურიზმი	84	54	30	130	84	46	56	53
მომსახურება	265	219	46	435	355	80	62	74
სულ	4386	2911	1475	5325	3188	2137	10	45

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

ქალები უფრო მეტად დასაქმებული არიან კვების და მსუბუქი მრეწველობის, სასტუმროებისა, რესტორნების და მომსახურების დარგებში, ხოლო კაცები უფრო მეტად მრეწველობის, კერძოდ დამამუშავებელ და სამთო-მოპოვებით მრეწველობის, აგრეთვე მშენებლობის დარგების კომპანიებში (იხ. დიაგრამა 3.1.2).

დიაგრამა 3.1.2. დასაქმებულთა განაწილება დარგების მიხედვით სქესობრივ ჭრილში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

შემდეგ ეტაპზე გამოკითხვის შედეგების მიხედვით შევადგინეთ დასაქმებულთა ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლების სიხშირეების და პროცენტების განაწილების ცხრილი (ცხრილი 3.1.3).

ცხრილი 3.1.3. დასაქმებულთა დემოგრაფიული მახასიათებლები

ნიშანი	სიხშირე			% წილი	
	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი
	3188	2137	5325	60%	40%
ასაკი					
<20	76	52	128	2%	2%
21-30	911	346	1257	29%	16%
31-40	1022	672	1694	32%	31%
41-50	821	738	1559	26%	35%
51-60	326	270	596	10%	13%
61-65	21	45	66	1%	2%
66 >	11	14	25	0%	1%
განათლება					
უმაღლესი	761	793	1554	24%	37%
პროფესიული კოლეჯი	361	365	726	11%	17%
საშუალო	1979	872	2851	62%	41%
არასრული საშუალო	87	107	194	3%	5%
დაწყებითი	0	0	0		
ოჯახური მდგომარეობა					
დაქორწინებული	2290	1639	3929	72%	77%
განქორწინებული	67	68	135	2%	3%
დაუქორწინებელი	777	401	1178	24%	19%
ქვრივი	47	23	70	1%	1%
მარტოხელა	7	6	13	0%	0%
ხელფასი					
< 300	43	8	51	1%	0%
301-500	876	308	1184	27%	14%
501-1000	1959	854	2813	61%	40%
1001-1500	194	610	804	6%	29%
1501-2000	86	215	301	3%	10%
2001-3000	29	120	149	1%	6%
3001 >	1	22	23	0%	1%

წყარო: შედეგნილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

როგორც განაწილებიდან ჩანს, ასაკობრივ ჯგუფში დასაქმებულთა ყველაზე მეტი წილი ქალებში (32%) მოდის 31-40 წლის, ხოლო მამაკაცებში (35%) 41-50 წლის ასაკობრივ კატეგორიაზე, ხოლო ყველაზე მცირე (1-2%) 20 წლამდე და 60 წელს ზევით

ასაკის კატეგორიაზე. შევნიშნოთ, რომ 21-30 წლის ქალების დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია, 41-50 წლის ასაკობრივ კატეგორიაში - პირიქით, მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელია მეტი.

იმისათვის, რომ დაგვედგინა არის თუ არა განსხვავება ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაში დემოგრაფიული ნიშნებს შორის და რა ზეგავლენას ახდენს დემოგრაფიული მახასიათებლები დასაქმების მაჩვენებელზე, გამოვიყენეთ ANOVA დისპერსიული ანალიზის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ორ ცვლადს, ცვლადთა ჯგუფს ან ორ შერჩევით მონაცემებს შორის კავშირის მნიშვნელოვნების შეფასებისათვის (ნაჩმასი ჩ.,..., 2012, გვ. 503). დისპერსიული ანალიზი ეფუძნება ჰიპოთეზების ტესტირებას. ჩამოვყალიბეთ რამდენიმე ჰიპოთეზა სხვადასხვა დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით და $\alpha = 0,05$ მნიშვნელოვნების დონისათვის შევაფასეთ ფიშერის F სტატისტიკის მნიშვნელოვნება, რომლის მიხედვითაც, უარვყოფთ ან ვიღებთ ჰიპოთეზას. ჰიპოთეზის შინაარსი უნდა უკავშირდებოდეს დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით ჯგუფებს შორის განსხვავების არსებობა-არარსებობას. გადაწყვეტილებას ჰიპოთეზის უარყოფის ან მიღების შესახებ ვიღებთ იმის მიხედვით, არის თუ არა ფიშერის F სტატისტიკა კრიტიკულ მნიშვნელობაზე მეტი.

ასაკისა და სქესის ფაქტორების ზეგავლენის შესაფასებლად ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებელზე, გამოვიყენეთ ორფაქტორიანი დისპერსიული ANOVA ანალიზი (იგივე ფაქტორული ANOVA ანალიზი). ნულოვან ჰიპოთეზებად ავიღოთ H_0 : *ასაკი არ ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე* და H_0 : *სქესი არ ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე* ანუ უნდა შევამოწმოთ არის თუ არა სტატისტიკური განსხვავება დასაქმებულებს შორის ასაკობრივი და სქესობრივი ნიშნის მიხედვით. პროგრამულ პაკეტ Excel-ის საშუალებით ჩატარებულმა მონაცემთა ანალიზმა (Data Analysis) აჩვენა, რომ სტრუქტურის შესაბამისი ფაქტორისთვის (ჩვენს შემთხვევაში ასაკი) $F > F_{crit}$, ხოლო სვეტების შესაბამისი ფაქტორისთვის (სქესი) $F < F_{crit}$, ე.ი. H_0 ჰიპოთეზას უარვყოფთ და H_1 ჰიპოთეზას არ უარვყოფთ, რაც იმას ნიშნავს, რომ 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით სტატისტიკური განსხვავება ასაკობრივი ნიშნის ჯგუფებს შორის დასაქმებაში მნიშვნელოვანია, ხოლო სტატისტიკური განსხვავება

სქესობრივი ნიშნის ჯგუფებს შორის დასაქმებაში უმნიშვნელოა. ამრიგად, ასაკის გავლენა დასაქმებაზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ხოლო სქესის ზეგავლენა - არამნიშვნელოვანი (იხ. ცხრილი 3.1.4).

დასაქმების მაჩვენებლის ვარიაციაზე ასაკის ზეგავლენის პროცენტული მაჩვენებლის შეფასება ($\frac{RSS}{TSS}$) გვიჩვენებს, რომ დასაქმების ვარიაციის 88% აიხსნება დასაქმებულთა ასაკის ფაქტორით.

ცხრილი 3.1.4. ასაკისა და სქესის ზეგავლენის შეფასება

Anova: Two-Factor Without Replication						
<i>SUMMARY</i>	<i>Count</i>	<i>Sum</i>	<i>Average</i>	<i>Variance</i>		
<20	2	128	64	288		
21-30	2	1257	628,5	159612,5		
31-40	2	1694	847	61250		
41-50	2	1559	779,5	3444,5		
51-60	2	596	298	1568		
61-65	2	66	33	288		
66 >	2	25	12,5	4,5		
ჯალი	7	3188	455,4286	201525,6		
კაცი	7	2137	305,2857	90228,9		
ANOVA						
<i>Source of Variation</i>	<i>SS</i>	<i>df</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>P-value</i>	<i>F crit</i>
Rows	1602972	6	267162	10,86352	0,005257	4,283866
Columns	78900,07	1	78900,07	3,208289	0,123453	5,987378
Error	147555,4	6	24592,57			
Total	1829427	13				

წყარო: ორფაქტორიანი დისპერსიული ანალიზის შედეგები

განათლების ნიშნის მიხედვით სიხშირულმა განაწილებამ აჩვენა, რომ დასაქმებულ ქალებში უმრავლესობას (62%-ს) აქვს საშუალო განათლება, მაშინ როცა მამაკაცებში ეს მაჩვენებელი 41%-ს შეადგენს. უმაღლესი განათლების მქონე ქალების და მამაკაცების წილი 24% და 37% შესაბამისად, პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები კი-11% და 17% შესაბამისად. ეს სიტუაცია ადასტურებს, რომ ადგილობრივ სამუშაო ძალა დაბალი კვალიფიკაციის მქონეა, ასევე დღევანდელ შრომის ბაზარზე სჭარბობს ისეთი სამუშაო ადგილები, სადაც არ მოითხოვება უმაღლესი ან პროფესიული განათლება. უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე დასაქმებული მამაკაცების რაოდენობა აღემატება ამავე კატეგორიის ქალების

რაოდენობას, რაც იმის შედეგია, რომ იმ განათლებას და კვალიფიკაციას, რომლებსაც ითხოვენ დამსაქმებლები, ნაკლებად ეუფლებიან ქალები, ვიდრე მამაკაცები. ეს ძირითადად ეხება საინჟინრო-ტექნოლოგიურ საქმიანობას, სადაც ზუსტი და ტექნიკური განათლებაა აუცილებელი.

დასაქმებაზე განათლების ფაქტორის ზეგავლენის შესაფასებლად საწყის ჰიპოთეზად ავიღეთ *H₀: განათლება არ ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე*. ჰიპოთეზის ტესტირება ადასტურებს, რომ გვაქვს საწყისი ჰიპოთეზის უარყოფის საფუძველი 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით ($p\text{-value}=0,07<0,1$), თუმცა $\alpha=0,05$ მნიშვნელოვნების დონით ვერ უარვყოფთ. ე.ი. დასაქმებისთვის განათლება სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ფაქტორია 5% მნიშვნელოვნების დონით, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 10% მნიშვნელოვნებით (იხ. ცხრილი 3.1.5).

ცხრილი 3.1.5. განათლების ზეგავლენის შეფასება

Anova: Two-Factor Without Replication				
<i>SUMMARY</i>	<i>Count</i>	<i>Sum</i>	<i>Average</i>	<i>Variance</i>
უმალესი	2	1554	777	512
პროფესიული კოლეჯი	2	726	363	8
საშუალო	2	2851	1425,5	612724,5
არასრული საშუალო	2	194	97	200
დაწყებითი	2	0	0	0
ქალი	5	3188	637,6	650195,8
კაცი	5	2137	427,4	155138,3

ANOVA						
<i>Source of Variation</i>	<i>SS</i>	<i>df</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>P-value</i>	<i>F crit</i>
Rows	2718352	4	679588	5,404446	0,065527	6,388233
Columns	110460,1	1	110460,1	0,878438	0,401693	7,708647
Error	502984,4	4	125746,1			
Total	3331797	9				

წყარო: ორფაქტორიანი დისპერსიული ანალიზის შედეგები

ჰიპოთეზის ტესტირების პროცესში პირველი გვარის შეცდომის (ჭეშმარიტი ჰიპოთეზის უარყოფა) და ნდობის ალბათობის შემცირების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია ჰიპოთეზის ტესტირება $\alpha=0,05$ მნიშვნელოვნების დონით. სხვა შერჩევის შემთხვევაში ჰიპოთეზის ტესტირება შესაძლოა ეჭვქვეშ არ დააყენებდა ამ ფაქტორის სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას. რადგან ჩვენს შემთხვევაში შერჩევაში მოხვდა ისეთი დარგები, როგორცაა მომსახურება, ვაჭრობა, ტრანსპორტი, სასტუმროები და

რესტორნები, სოფლის მეურნეობა, სადაც არ მოითხოვება დასაქმებულთა მაღალი კვალიფიკაცია.

ოჯახური მდგომარეობის ნიშნის მიხედვით სიხშირულმა განაწილებამ აჩვენა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობა დაქორწინებული, კერძოდ, დაოჯახებულია ქალების 72% და მამაკაცების 77%, ხოლო დასაქორწინებელია ქალების 24% და მამაკაცების 19%. რაც შეეხება განქორწინებულ, ქვრივ და მარტოხელა კატეგორიას, მათი წილი ძალზე მცირეა.

ოჯახური მდგომარეობის ფაქტორის ზეგავლენის შეფასების ფაქტორული ანალიზის შედეგად, ჰიპოთეზა ***H₄: ოჯახური მდგომარეობა არ ახდენს ზეგავლენას დასაქმების მაჩვენებელზე*** უარვყავით ($F > F_{crit}$) ანუ ოჯახური მდგომარეობის ფაქტორი მნიშვნელოვნად (95%) განსაზღვრავს დასაქმების მაჩვენებელს (ცხრილი 3.1.6).

ცხრილი 3.1.6. ოჯახური მდგომარეობის გავლენა დასაქმებაზე

Anova: Two-Factor Without Replication						
<i>SUMMARY</i>	<i>Count</i>	<i>Sum</i>	<i>Average</i>	<i>Variance</i>		
დაქორწინებული	2	3929	1964,5	211900,5		
განქორწინებული	2	135	67,5	0,5		
დაუქორწინებელი	2	1178	589	70688		
ქვრივი	2	70	35	288		
მარტოხელა	2	13	6,5	0,5		
ქალი	5	3188	637,6	955476,8		
კაცი	5	2137	427,4	484739,3		
ANOVA						
<i>Source of Variation</i>	<i>SS</i>	<i>df</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>P-value</i>	<i>F crit</i>
Rows	5588447	4	1397112	32,41231	0,002634	6,388233
Columns	110460,1	1	110460,1	2,562621	0,184671	7,708647
Error	172417,4	4	43104,35			
Total	5871325	9				

წყარო: ორფაქტორიანი დისპერსიული ანალიზის შედეგები

დემოგრაფიული ფაქტორების გარდა შევაფასეთ ხელფასის ზეგავლენა დასაქმებაზე და ის აღმოჩნდა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი $\alpha=0,05$ მნიშვნელოვნების დონით. $\alpha=0,1$ მნიშვნელოვნების დონისთვის დასაქმების ვარიაციის 78% აიხსნება ხელფასის ფაქტორით (იხ. ცხრილი 3.1.7).

ცხრილი 3.1.7. ხელფასის გავლენა დასაქმებაზე

Anova: Two-Factor Without Replication				
<i>SUMMARY</i>	<i>Count</i>	<i>Sum</i>	<i>Average</i>	<i>Variance</i>
< 300	2	51	25,5	612,5
301-500	2	1184	592	161312
501-1000	2	2813	1406,5	610512,5
1001-1500	2	804	402	86528
1501-2000	2	301	150,5	8320,5
2001-3000	2	149	74,5	4140,5
3001 >	2	23	11,5	220,5
ჯალი	7	3188	455,4286	533479
კაცი	7	2137	305,2857	100842,9

ANOVA						
<i>Source of Variation</i>	<i>SS</i>	<i>df</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>P-value</i>	<i>F crit</i>
Rows	3013185	6	502197,5	3,800944	0,064487	4,283866
Columns	78900,07	1	78900,07	0,597165	0,469	5,987378
Error	792746,4	6	132124,4			
Total	3884831	13				

წყარო: ორფაქტორიანი დისპერსიული ანალიზის შედეგები

რაც შეეხება დარგების მიხედვით დასაქმებას სქესობრივ ჭრილში, დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ დარგის სპეციფიკა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია $\alpha=0,05$ მნიშვნელოვნების დონით, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $\alpha=0,1$ მნიშვნელოვნების დონით ($p\text{-value}=0,06<0,1$) და დასაქმების ვარიაციის 75% აიხსნება დარგის სპეციფიკით (იხ. ცხრილი 3.1.8)

ცხრილი 3.1.8. დარგის სპეციფიკის გავლენა დასაქმებაზე


Anova: Two-Factor Without Replication				
<i>SUMMARY</i>	<i>Count</i>	<i>Sum</i>	<i>Average</i>	<i>Variance</i>
მრეწველობა	2	2585	1292,5	610512,5
მშენებლობა	2	575	287,5	65884,5
სასტუმროები და რესტორნები	2	663	331,5	4324,5
ვაჭრობა	2	386	193	98
სოფლის მეურნეობა	2	388	194	242
ტრანსპორტი	2	163	81,5	8844,5
ტურიზმი	2	130	65	722
მომსახურება	2	435	217,5	37812,5
ჯალი	8	3188	398,5	357579,7
კაცი	8	2137	267,125	53777,84

ANOVA						
<i>Source of Variation</i>	<i>SS</i>	<i>df</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>P-value</i>	<i>F crit</i>
Rows	2220100	7	317157,1	3,366834	0,065851	3,787044
Columns	69037,56	1	69037,56	0,73288	0,420287	5,591448
Error	659402,9	7	94200,42			
Total	2948540	15				

წყარო: ორფაქტორიანი დისპერსიული ანალიზის შედეგები

ამრიგად, დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებელზე სოციო-დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის ეფექტები განსხვავებულია (იხ. დიაგრამა 3.1.3.)

დიაგრამა 3.1.3. დემოგრაფიული ფაქტორების სტატისტიკური მნიშვნელოვნება



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით

დასმულ კითხვაზე, თუ რას ანიჭებენ დამსაქმებლები უპირატესობას დასაქმებისას, ოჯახური მდგომარეობის მნიშვნელოვნება არ გამოიკვეთა, რადგან თითქმის თანაბრად გამოიხატა უპირატესობის მინიჭების და მნიშვნელობის არქონის აზრი. ძირითადად დამსაქმებლები ოჯახურ მდგომარეობას არ ანიჭებენ უპირატესობას სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მშენებლობის დარგებში, ხოლო დაქორწინებული და დაუქორწინებელი დასაქმებულის სტატუსი უფრო უპირატესია სასტუმროების და რესტორნების, მომსახურების, ვაჭრობის და ტურიზმის დარგებში. მხოლოდ სქესს ან ასაკს უპირატესობას გამოკითხულთა 17% ანიჭებს, კერძოდ მრეწველობის და ტურიზმის დარგებში. მხოლოდ განათლებას ან პროფესიულ გამოცდილებას გამოკითხულთა 30% ანიჭებს უპირატესობას, ძირითადად მშენებლობის და ტრანსპორტირების დარგებში. რაც შეეხება განათლებას და პროფესიულ გამოცდილებას ასაკთან და სქესთან ერთად, უპირატესობას ანიჭებს გამოკითხულთა 50%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 1%-თვის არა აქვს მნიშვნელობა არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებელს და ეს სოფლის მეურნეობის დარგშია, ხოლო 2% ყველა მახასიათებელს ანიჭებს უპირატესობას მომსახურების და ვაჭრობის დარგში (იხ. ცხრილი 3.1.9).

ცხრილი 3.1.9. რას ანიჭებენ დამსაქმებლები უპირატესობას

უპირატესობა	სიხშირე	%	საქმიანობა
ოჯახური მდგომარეობა			
დაქორწინებული ან დაუქორწინებელი	80	52%	სასტუმროები და რესტორნები, მომსახურება, ვაჭრობა, ტურიზმი
არა აქვს მნიშვნელობა	73	48%	სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა
მხოლოდ სქესი ან ასაკი	26	17%	მრეწველობა, ტურიზმი
მხოლოდ განათლება ან პროფესიული გამოცდილება	46	30%	მშენებლობა, ტრანსპორტი, სასტუმროები და რესტორნები
ასაკთან და სქესთან ერთად განათლება და პროფესიული გამოცდილება	76	50%	მშენებლობა, ტრანსპორტი, სასტუმროები და რესტორნები
ყველაფერს	3	2%	ვაჭრობა, მომსახურება
არა აქვს მნიშვნელობა	2	1%	სოფლის მეურნეობა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით,

გამოკითხულ საწარმოებიდან 38 საწარმოში ჩვილბავშვიანი ქალებიც ჰყავთ დასაქმებული, ხოლო 18 საწარმოში ქალები საერთოდ არ არიან დასაქმებული. ძირითადად, ეს უკანასკნელი დამამუშავებელ და სამთო-მოპოვებით მრეწველობაშია.

კითხვაზე გააქვთ თუ არა წარმოებული პროდუქცია საზღვარგარეთ, გამოკითხულთა შორის 19 ექსპორტიორი საწარმოა, მათ შორის 11 მცირე საწარმო, ძირითადად მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგებში. თუ რომელ ქვეყნებში ხდება პროდუქციის ექსპორტი, დასახელდა ყაზახეთი, უკრაინა, თურქეთი, ისრაელი, რუმინეთი, ამერიკა და სხვა ევროპის და აზიის ქვეყნები. საექსპორტო პროდუქციებად დასახელდა: ტექსტილის ნაწარმი, თაფლი, დაფნა, ღვინო, თხილი, ციტრუსი და ა.შ.

გამოკითხული კომპანიებიდან 13 კომპანიაში დასაქმებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე, ძირითადად თურქეთის, ჩინეთის, უკრაინის მოქალაქეები.

კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა დემოგრაფიული მახასიათებლებისა და სხვა მუნიციპალიტეტების შედარებითი ანალიზი. ამიტომ მონაცემთა დაჯგუფების

სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით შედგა რამდენიმე შედარებითი ცხრილი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (იხ. ცხრილები 3.1.10-3.1.12).

ცხრილი 3.1.10. დასაქმებულთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში

	ქალი		კაცი	
	ქედა, ხულო, შუახევი	ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი	ქედა, ხულო, შუახევი	ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი
ასაკი				
<20	0	76	0	52
21-30	23	896	25	336
31-40	91	937	133	546
41-50	93	728	159	579
51-60	6	320	74	203
61-65	1	20	8	37
66 >	0	11	0	14
სულ	214 (35%)	2988 (63%)	399 (65%)	1760 (37%)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

მონაცემების მიხედვით ქედა, შუახევი, ხულოს მუნიციპალიტეტების საწარმოებში დასაქმებულთა 35% ქალია და 65% კაცი, ხელვაჩაურის, ბათუმის და ქობულეთი მუნიციპალიტეტებში, ქალები - 63% და კაცები - 37%. მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში კაცების დასაქმების მაჩვენებელი მეტია ქალების დასაქმების მაჩვენებელზე, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, მაშინ როცა სხვა მუნიციპალიტეტებში პირიქითაა. ეს მონაცემები მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ქალების ბიზნეს სექტორში დასაქმების ნაკლებ აქტიურობაზე მიანიშნებენ და რომ ქალებისთვის დასაქმების მეტი შესაძლებლობაა საქალაქო დასახლებაში.

განათლების დონეების შედარებითი ანალიზისათვის შევადგინეთ ტიპოლოგიური ცხრილი სქესისა და განათლების დონეების მიხედვით (ცხრილი 3.1.11).

თუ შევადარებთ ამ ორ დაჯგუფებას სქესობრივ ჭრილში, ადვილი შესამჩნევია, რომ კაცების უმაღლესი და პროფესიული განათლების მაჩვენებელი მაღალმთიან მუნიციპალიტეტში აღემატება ქალებისას, რაც მაღალმთიანეთში განათლების მიღებაში ქალების ნაკლები აქტიურობის შედეგია. ამასთან პროფესიული განათლების მაჩვენებელი მაღალმთიანეთში ჩამორჩება სხვა მუნიციპალიტეტებში იგივე მაჩვენებელს როგორც ქალებში, ასევე კაცებში. ქალებში უმაღლესი და არასრული

განათლების მაჩვენებლები თითქმის თანაბარია, ხოლო საშუალო განათლების მაჩვენებელი მაღალმთიანეთში უფრო მაღალია.

ცხრილი 3.1.11. დასაქმებულთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით განათლების და სქესობრივ ჭრილში

	ქალი		კაცი	
	ქედა, ხულო, შუახევი	ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი	ქედა, ხულო, შუახევი	ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი
განათლება				
უმადლესი	54	721	130	685
პროფესიული კოლეჯი	14	347	38	327
საშუალო	139	1840	208	664
არასრული	7	80	23	84
დაწყებითი	0	0	0	0
სულ	214 (35%)	2988 (63%)	399 (65%)	1760 (37%)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

რაც შეეხება დასაქმებულთა ხელფასების ანალიზს სქესობრივ ჭრილში, სახეზეა დიდი განსხვავება მუნიციპალიტეტებს შორის, კერძოდ მაღალმთიანეთში ხელფასები უფრო ნაკლებია, რაც დასაქმებულთა კვალიფიკაციის და პოზიციების სპეციფიკითაა განპირობებული. ამასთან ქალები უფრო ნაკლებანაზღაურებად პოზიციებზე არიან დასაქმებული (იხ. ცხრილი 3.1.12).


ცხრილი 3.1.12. დასაქმებულთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხელფასის და სქესობრივ ჭრილში

	ქალი		კაცი	
	ქედა, ხულო, შუახევი	ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი	ქედა, ხულო, შუახევი	ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი
ხელფასი				
< 300	0	43	0	8
301-500	108	768	69	239
501-1000	80	1879	181	673
1001-1500	22	186	144	488
1501-2000	3	83	5	210
2001-3000	1	28	0	120
3001 >	0	1	0	22
სულ	214 (35%)	2988 (63%)	399 (65%)	1760 (37%)

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით

შედარების მოხერხებულობისთვის გამოვსახეთ მონაცემები პროცენტულ მაჩვენებლებში გრაფიკულად ცალ-ცალკე:


დიაგრამა 3.1.4. მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში არსებულ საწარმოებში დასაქმებული ქალების ასაკობრივი განაწილება, %



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ქედის, ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტებში ქალები ძირითადად 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფისაა - 86%, 21-30 წლის ასაკისა-10,7% და 51-60 წლის ასაკისა კიდევ უფრო ნაკლები-2,8%. ხელვაჩაურის, ბათუმის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში აქტიურად დასაქმებულია 21-30 წლის ასაკის ახალგაზრდები, მაშინ როცა 30 წლამდე ახალგაზრდების დასაქმება საკმაოდ მცირეა მაღალმთიანეთში, რაც იმის შედეგია, რომ ახალგაზრდობა უმეტესად მიდის სოფლებიდან ქალაქში სამუშაოს საძიებლად. 31-50 წლის ასაკის კაცები საკმაოდ აქტიურია მაღალმთიანეთში, უფრო ნაკლებად 51-60 წლის ასაკობრივი ჯგუფის, თუმცა 21-30 წლის ახალგაზრდები უფრო აქტიურად დასაქმებული ხელვაჩაურის, ბათუმის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, ვიდრე მაღალმთიანეთში.


დიაგრამა 3.1.5. მუნიციპალიტეტებში არსებულ საწარმოებში დასაქმებული კაცების ასაკობრივი განაწილება, %



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.


მუნიციპალიტეტების დაჯგუფებებს შორის შედარებითი ანალიზისთვის გამოვსახეთ განათლების პროცენტული მაჩვენებლები ცალ-ცალკე (ცხრილები 3.1.6-3.1.7).

დიაგრამა 3.1.6. ქალების განაწილება განათლების დონის მიხედვით,%



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

დიაგრამა 3.1.7. კაცების განაწილება განათლების დონის მიხედვით,%




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

მაღალმთიანეთის ჯგუფში კაცების საშუალო განათლების წილი ყველაზე მეტია (52,1%), უმაღლესი განათლების წილობრივი მაჩვენებელი (32,6%) ბევრად აღემატება პროფესიული განათლების მაჩვენებელს (9,5%), რაც მაღალმთიანეთში პროფესიული განათლების მიღების ნაკლებ შესაძლებლობით ან პროფესიულ უნარებზე ნაკლები მოთხოვნით არის გამოწვეული. არასრული განათლების მაჩვენებელი ორივე ჯგუფში თითქმის თანაბარია.

ამ ჯგუფებს შორის ხელფასების შედარებითი ანალიზის მიზნით მოხერხებულობისათვის გამოვსახეთ პროცენტული მაჩვენებლები დიაგრამებზე (3.1.8. და 3.1.9):

დიაგრამა 3.1.8. ქალების განაწილება ხელფასების მიხედვით,%




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

როგორც დიაგრამაზე ჩანს, მაღალმთიან აჭარის საწარმოებში დასაქმებული ქალების უმრავლესობას (50,5%) აქვს ხელფასი 300-დან 500-მდე, მაშინ როცა ხელვაჩაურის, ბათუმის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ქალების 62,9%-ს აქვს ხელფასი 500-დან 1000-მდე, 1500 ლარზე მეტი ხელფასი აქვს ქალების 2%-მდე, ხოლო მეორე ჯგუფში- 4%-მდე.

რაც შეეხება, კაცების ხელფასებს შორის განსხვავებას ამ ჯგუფებში, პირველ ჯგუფში 1000 ლარზე მეტი ხელფასი აქვს დასაქმებული კაცების 37,4%-ს, ხოლო მეორე ჯგუფში კაცების 47,7%-ს, ხოლო 1000 ლარზე ნაკლები ხელფასი პირველ ჯგუფში აქვს 62,7%-ს, მეორე ჯგუფში კი-51,8%-ს.

დიაგრამა 3.1.9. კაცების განაწილება ხელფასების მიხედვით,%



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკვლეულ კომპანიებში დასაქმებულთა სქესი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმებაში, რაც აიხსნება იმით, რომ კვლევის არეალში მოექცა ისეთი კომპანიები, სადაც დასაქმებული ქალების და კაცების რაოდენობების პროპორციული თანაფარდობა ძალიან არ განსხვავდება (60%/40%).

კვლევის შედეგებში გამოვლინდა განათლების ფაქტორის სტატისტიკური არამნიშვნელოვნება ანუ ჩვენი ვარაუდი კვლევის შესავალ ნაწილში განათლებასთან მიმართებაში, არ გამართლდა. საქართველოს შრომის ბაზრის არსებული კვლევების შედეგების მიხედვით, როგორც პირველი თავის მესამე ქვეთავში იყო ნათქვამი, საქართველოს დღევანდელ შრომის ბაზარზე გაიზარდა საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილები, კერძოდ, გაიზარდა მოთხოვნა ფიზიკურ შრომაზე ორიენტირებულ საქმიანობებზე, რამაც გამოიწვია სამუშაო ძალის განათლების და ცოდნის გაუფასურება. ცალკე პრობლემაა უმაღლესი და პროფესიული განათლების წილობრივი მაჩვენებლების სიმცირე სასოფლო დასახლებებში. რაც შეეხება ასაკს და ოჯახურ მდგომარეობას, ეს ფაქტორები საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დასაქმებაში. ჩვენი ვარაუდი ასაკთან მიმართებაში გამართლდა, ხოლო ოჯახურ მდგომარეობასთან მიმართებაში არ გამართლდა. ასაკის ფაქტორის ზეგავლენა ბუნებრივიცაა, რამეთუ, სამუშაო ძალის პოტენციალს პირდაპირ განსაზღვრავს ასაკი, ხოლო ოჯახური მდგომარეობის ფაქტორის მნიშვნელობა ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ შემოთავაზებულ სამუშაო ადგილებზე დასაოჯახებლები ნაკლებად თანხმდებიან, ვიდრე დაოჯახებულები, იმ მიზეზით, რომ ისინი უკეთეს პირობებს ამჯობინებენ და ეძებენ, ხოლო დაოჯახებულები შემოსავლის მიღების სურვილის გამო ადვილად თანხმდებიან შემოთავაზებას, ასევე ზოგიერთი დამსაქმებელი უპირატესობას ანიჭებს ახალგაზრდა, დასაოჯახებელ კანდიდატურებს, თუმცა ზოგიერთი პირიქით, რასაც შემდეგში დაოჯახებით შექმნილი მოსალოდნელი პრობლემებისგან თავის არიდების გამართლება აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ კომპანიებში ქვრივ, განქორწინებულ და მარტოხელა დასაქმებულთა წილი საკმაოდ მცირეა. რაც შეეხება ხელფასს, ჩვენი მოლოდინი ხელფასთან მიმართებაში არ გამართლდა. რაც აიხსნება

იმით, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე ხელფასები საკმაოდ შეუსაბამოა განათლებასთან და დარგის სპეციფიკასთან მიმართებაში.

რაც შეეხება კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთებულ ინდივიდუალურ, ჩვენეულ საპროგნოზო შეფასებებს, არსებული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმებულთა და სამუშაო ძალის არათანაბარი განაწილება მუნიციპალიტეტებს შორის იქნება ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი. როგორც პირველი თავის პირველ ქვეთავში აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი ბუნებრივი მატების შემცირება მოხდა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, ეკომიგრაცია და სამუშაო ადგილების ნაკლებობა. დემოგრაფიული ფაქტორების სტატისტიკური და ეკონომიკური მნიშვნელოვნების გათვალისწინებით, ბუნებრივი მოძრაობის არსებული ტენდენციების შენარჩუნებით ვვარაუდობთ, რომ გარდაუვალია სამუშაო ძალის შემცირება, რაც პირდაპირ აისახება ბიზნესის განვითარებაზე.

სამუშაო ძალის არსებული ასაკობრივი სტრუქტურა არ იძლევა იმის პროგნოზის შესაძლებლობას, რომ ახალგაზრდების ჩართულობა გაიზრდება ბიზნეს სექტორში. ამ მხრივ იკვეთება მასტიმულირებელი პოლიტიკის აუცილებლობა ამ მიმართულებით, რათა შრომისუნარიან მოსახლეობაში ამაღლდეს ახალგაზრდების აქტიურობის დონე. სამუშაო ძალის და დასაქმებულთა სქესობრივი სტრუქტურის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არასაქალაქო დასახლებებში ბიზნეს სექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობის გაზრდის ტენდენციას ექნება ადგილი, თუმცა უფრო დაბალპროდუქტიულ დარგებში.

ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნეს სექტორის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს, არა მხოლოდ ფიზიკურ შრომაზე დაფუძნებული საქმიანობების განვითარებამ, არამედ ადამიანისეულ კაპიტალზე დამყარებული დარგების ანუ „ცოდნის ეკონომიკის“ განვითარებამ, რადგან მწარმოებლურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ადამიანისეული კაპიტალი და ტექნოლოგიური ცოდნაა (მენქიუ, 2008). უახლესი ტექნოლოგიური ცოდნა და განვითარებული ადამიანისეული კაპიტალი მეტად შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს

და მით უფრო მაღალი ღირებულების პროდუქტს ქმნის. ნაკლებპროდუქტიული საქმიანობებიდან უფრო პროდუქტიულ და მაღალმწარმოებლურ საქმიანობებზე გადასვლის პროცესი კიდევ უფრო გაჭიანურდება, თუ არ მოხდება მაღალტექნოლოგიური საწარმოების ინვესტირება. ამ პროცესს გაართულებს და შეუძლებელს გახდის ხარისხიანი განათლების და ფინანსების ხელმისაწვდომობის პრობლემა, განსაკუთრებით, მაღალმთიან აჭარაში. შესაბამისად, ამ მხრივ აუცილებლად მიგვაჩნია გონივრული პოლიტიკის გატარება. ინვესტიციების გაზრდა ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის გაზრდას, ცოდნის და ტექნოლოგიების ტრანსფერსაც.

დასაქმებაში განათლების ფაქტორის სტატისტიკური არამნიშვნელოვნების საკითხი ქმნის ვარაუდს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები კიდევ უფრო გაზრდის სამუშაო ძალის განათლების დონესა და დასაქმების პროფილს შორის შეუსაბამობას. დამსაქმებელთა მხრიდან პროფესიული გამოცდილების უპირატესობის მოთხოვნით იკვეთება კვალიფიკაციის დონის და პროფესიული უნარების ამაღლების აუცილებლობა.

განსხვავებები ხელფასებს შორის სქესობრივ ჭრილსა და მუნიციპალურ ჭრილში, არ არის დისკრიმინაციისა და უთანასწორობის გამოხატულება რეგიონში. განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ ქალები კაცებთან შედარებით ძირითადად ირჩევენ მსუბუქ და დაბალანაზღაურებად სამუშაოს უფრო მოქნილი სამუშაო გრაფიკით. ეკონომიკური თეორიიდან ვიცით, რომ დასაქმებულთა ხელფასებს განსაზღვრავს შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება, შესაბამისად თუ გაიზრდება შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება, გაიზრდება ხელფასებიც. დარგებში შრომის პროდუქტიულობის გაზრდის ტენდენცია იქნება ხელფასების ზრდის პროგნოზის საფუძველი. მაღალი პროდუქტიულობა და შრომის ანაზღაურება ბიზნესის მომავალი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

რაც შეეხება, დასაქმებულთა ოჯახური მდგომარეობის ფაქტორის მნიშვნელობას, როგორც პირველი თავის მეორე ქვეთავში აღვნიშნეთ, ბოლო წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქორწინებების შემცირებისა და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდის ტენდენციას აქვს ადგილი, რაც გამოწვეულია როგორც

სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე ქორწინების ასაკის გადავადებით, შესაბამისად ამ მაჩვენებლების დინამიკის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ტენდენცია უარყოფითად აისახება შობადობაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში ის კიდევ უფრო გაამწვავებს დემოგრაფიულ ვითარებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაც თავის მხრივ აისახება ბიზნესის განვითარებაზე.

ამრიგად, აჭარის მუნიციპალიტეტების განხილულ ჯგუფებში განსხვავება აშკარად შეინიშნება ყველა დემოგრაფიული ნიშნის მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს განსხვავებები ქმნის დასაქმებულთა სტრუქტურის განსხვავებულ სურათს, რაც ასახვას პოვებს ბიზნესის განვითარებაზე მუნიციპალურ ჭრილში. ამ მხრივ იკვეთება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მოახდენს მუნიციპალურ ჭრილში ბიზნესის არათანაბარი განვითარების პრევენციას. შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ბიზნესში უფრო მეტი ახალგაზრდების ჩართულობა; უფრო მეტი ქალების ჩართულობა; ხარისხიანი განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეტი შესაძლებლობა; სამეწარმეო კულტურის ამაღლება; საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მხარდაჭერა; სამუშაო ადგილების შექმნა; მაღალმთიანი აჭარის ბიზნეს-პოტენციალის და რესურსების მაქსიმალური გამოყენება.

3.2. ბიზნესის განვითარების პროგნოზირება

ბიზნეს პროცესების განვითარების დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირება ემყარება რეალური ტრენდის გამოვლენას. ტრენდის გამოსავლენად სხვადასხვა მათემატიკურ-სტატისტიკური ხერხი არსებობს. ისინი ფართოდ გამოიყენებიან თანამედროვე პროგნოზულ კვლევაში. მათემატიკურ-სტატისტიკური ხერხები დროითი მწკრივების მოსწორებისთვის შეუცვლელი ინსტრუმენტია. მოსასწორებელი ფუნქციის შერჩევას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. თუმცა კომბინირებული მიდგომით, მკვლევრის ინტუიციისა და ემპირიული მწკრივის მონაცემების აგების საფუძველზე შესაძლებელი იქნება პროგნოზირების მიზნისთვის საჭირო ტრენდის აგებაც და ემპირიული ტრენდის გამოვლენაც (გელაშვილი, შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში, 2019).

ტრენდის გამოსავლენად გამოიყენება ექსტრაპოლაციის მეთოდები (სრიალა საშუალოს მეთოდი, ექსპონენციალური მოსწორების მეთოდი, უმცირეს კვადრატთა მეთოდი) და სხვადასხვა მათემატიკური ფუნქცია: წრფივი, პარაბოლური, ექსპონენციალური, ლოგარითმული. სრიალა საშუალოს მეთოდი დროითი მწკრივების მოსწორების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შემთხვევითი რყევების ელიმინირება და მივიღოთ ის მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრულია მთავარი ფაქტორების გავლენით.

ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის პროგნოზირებისთვის, საჭიროა ტრენდის გამოვლენა დროითი მწკრივის მოსწორების მეთოდებით (იხ. ცხრილი 3.2.1).

2022 წლისთვის ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების საპროგნოზო მნიშვნელობა (სრიალა საშუალოს მეთოდით) შეადგენს 6914 მლნ ლარს, ხოლო მისი სანდოობის ინტერვალის ქვედა და ზედა საზღვრებია 5388 და 8439 შესაბამისად.


ცხრილი 3.2.1. პროდუქციის გამოშვების დროითი მწკრივის მოსწორება

წელი	t	პროდუქციის გამოშვება, მლნ ლარი	მოსწორება მცოცავი საშუალოს მეთოდით(MA3)	მოსწორება პარაბოლური ფუნქციით
1999	1	211,3		366,0
2000	2	209,1	210,7	263,0
2001	3	211,8	220,8	191,1
2002	4	241,5	229,4	150,2
2003	5	234,9	222,0	140,5
2004	6	189,6	238,1	161,8
2005	7	289,9	294,9	214,2
2006	8	405,3	404,5	297,7
2007	9	518,4	502,7	412,2
2008	10	584,4	572,2	557,8
2009	11	613,9	637,6	734,5
2010	12	714,6	817,9	942,3
2011	13	1125,2	1127,1	1181,2
2012	14	1541,4	1434,1	1451,1
2013	15	1635,8	1740,2	1752,1
2014	16	2043,4	2035,2	2084,2
2015	17	2426,3	2516,4	2447,3
2016	18	3079,6	2887,0	2841,6
2017	19	3155	3255,8	3266,9
2018	20	3532,9	3704,7	3723,2
2019	21	4426,1		4210,7
პროგნოზი 2022	24		6913,8	5859,5

წყარო: ავტორის მიერ შესრულებული პროგნოზირება Excel-ში.

სრიალა საშუალოს მეთოდით (Moving Average) მოსწორების შედეგად გამოვლენილი ტრენდი და პროგნოზირებადი განვითარება აგრძელებს პროდუქციის გამოშვების ზრდის ტენდენციას (იხ. დიაგრამა 3.2.1)


დიაგრამა 3.2.1. სრიალა საშუალოს მეთოდით მოსწორებული ტრენდი



წყარო: აგებულია ავტორის მიერ Excel-ში დროითი მწკრივის მიხედვით.

ტრენდის გამოვლენაში დიდ როლს ასრულებს მნიშვნელობების შესაბამისი წერტილების გაზნევის დიაგრამა, რომელიც პროდუქციის გამოშვების შემთხვევაში პარაბოლური ფუნქციას შეესაბამება, ამიტომ მოსწორება მოვახდინეთ პარაბოლური ფუნქციით, რომლის პარამეტრების შეფასება წარმოდგენილია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 3.2.2.).


დიაგრამა 3.2.2. პროდუქციის გამოშვების მოსწორება პარაბოლური ფუნქციით



წყარო: აგებულია ავტორის მიერ დროითი მწკრივის მიხედვით.

იმისათვის, რომ შევაფასოთ დროითი მწკრივების მოსწორების სიზუსტე ორივე შემთხვევაში, უნდა შევასდეს ემპირიულ და მოსწორებულ დონეებს შორის განსხვავებები, რაც კარგად ჩანს დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 3.2.3).

დიაგრამა 3.2.3. დროითი მწკრივის მოსწორებული დონეები ორი მეთოდით



წყარო: აგებულია ავტორის მიერ დროითი მწკრივის მიხედვით.

პროგნოზირების სიზუსტის შესაფასებლად გამოვიყენეთ აბსოლუტური, პროცენტული და ფარდობითი შეცდომები (იხ. ცხრილი 3.2.2.).

ცხრილი 3.2.2. პროგნოზირების ცდომილებები

	ინგლისური აბრევიატურა	ფორმულა
საშუალო აბსოლუტური ცდომილება Mean Absolute Error	MAE	$\frac{1}{n} \sum A_t - F_t $
საშუალო აბსოლუტური პროცენტული ცდომილება Mean Absolute Percentage Error	MAPE	$\frac{1}{n} \sum \left \frac{A_t - F_t}{A_t} \right \cdot 100$
საშუალო პროცენტული ცდომილება Mean Percentage Error	MPE	$\frac{1}{n} \sum \left(\frac{A_t - F_t}{A_t} \right) \cdot 100$
საშუალო კვადრატული ცდომილება Mean Squared Error	MSE	$\frac{1}{n} \sum (A_t - F_t)^2$
ფესვი საშუალო კვადრატული შეცდომიდან Root Mean Square Error	RMSE	$\sqrt{\frac{\sum (A_t - F_t)^2}{n}}$
საშუალო შეფარდებითი ცდომილება Mean Relative Error	MRE	$\frac{1}{n} \sum \left(\frac{ A_t - F_t }{F_t} \right) \cdot 100$

წყარო: (გელაშვილი, შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში, 2019).

სადაც A_t -დროითი მწკრივის ემპირიული (Actual) მნიშვნელობებია, F_t -პროგნოზირებული (Forecasted) მნიშვნელობები და n -დროითი მწკრივის პერიოდი.

ჩვენი პროგნოზებისთვის ორივე მეთოდის შემთხვევაში გამოთვლილი ცდომილებებია:

ცხრილი 3.2.3. გამოთვლილი პროგნოზირების შეცდომები

ცდომილება	სრიალა საშუალოს მეთოდი	პარაბოლური ფუნქცია
MRE	4.4%	0.4%
MAPE	4.7%	0.2%

წყარო: გამოთვლილია ავტორის მიერ.


როგორც გამოთვლებიდან ჩანს, პროგნოზირების შეცდომები საკმაოდ მცირეა პარაბოლური ფუნქციით მოსწორების შემთხვევაში. პროგნოზირების სიზუსტეს სწორედაც უმცირესი შეცდომები განსაზღვრავენ. პარაბოლური ფუნქციით მოსწორების მეთოდით გამოშვებული პროდუქციის პროგნოზირებული მნიშვნელობა 2022 წლისათვის შეადგენს 5859,5 მლნ ლარს ანუ დაახლოებით 32%-იანი ზრდა 2019 წელთან შედარებით, ეს კი საკმაოდ ოპტიმისტური პროგნოზია. საშუალო შეფარდებითი ცდომილება 0,4%-ის ტოლია, რაც პროგნოზის მაღალ სიზუსტეს მიუთითებს.

რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით მოვახდინეთ ამ სექტორში დასაქმებულთა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობის პროგნოზირება ექსტრაპოლაციის გზით.

ვივარაუდეთ, რომ გამოშვების ტენდენცია მომავალში არ შეიცვლება. არსებული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში, ამ მეთოდით განვსაზღვრეთ განვითარების ძირითადი ტენდენცია საპროგნოზო პერიოდში. მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა დინამიკის ტრენდის გამოსავლენად გამოვიყენეთ დროითი მწკრივის მოსწორების სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ მცოცავი (ანუ სრიალა) საშუალოს, აბსოლუტური მატების და ზრდის საშუალო ტემპის კოეფიციენტების მეთოდები, წრფივი და კვადრატული ფუნქციები (გელაშვილი, სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში, 2017), თუმცა ემპირიული და მოსწორებული დონეების მნიშვნელობების შედარებამ აჩვენა, რომ ეს მეთოდები არ გამოდგება რეალური ტრენდის გამოსავლენად და მის საფუძველზე ვერ მივიღებთ რეალურ პროგნოზებს. დასაქმებულთა დინამიკის ტრენდის გამოსავლენად, ვიზუალურ შეფასებაზე

დაყრდნობით (გაბნევის დიაგრამა), ყველაზე საუკეთესო აღმოჩნდა მესამე რიგის პოლინომიალური ფუნქცია $\hat{y}_t = a_0 + a_1t + a_2t^2 + a_3t^3$, სადაც \hat{y}_t -დინამიკური მწკრივის მოსწორებული დონეებია, a_0, a_1, a_2, a_3 უცნობი პარამეტრებია, t -აღნიშნავს დროის რიგით ნომერს. მესამე რიგის პოლინომიალური წირი მოცემული მონაცემებისთვის უფრო მიახლოებულია, ამას ადასტურებს არაწრფივი რეგრესიის განტოლების მაღალი დეტერმინაციის კოეფიციენტი ($R^2 = 0,99$)(იხ. დიაგრამა 3.2.4.). უცნობი პარამეტრების განსაზღვრა ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ემპირიული და მოსწორებული დონეების სხვაობების კვადრატების ჯამი იყოს მინიმალური ანუ $\sum (y_t - \hat{y}_t)^2 \rightarrow \min$.


დიაგრამა 3.2.4. დასაქმებულთა რაოდენობის ტრენდი



წყარო: აგებულია ავტორის მიერ დროითი მწკრივის მიხედვით.

ანალოგიურად გამოვლინდა მცირე და საშუალო ბიზნესში პროდუქციის გამოშვების ტრენდი მესამე რიგის პოლინომიალური წირის საფუძველზე (იხ. დიაგრამა 3.2.5.)

დიაგრამა 3.2.5. პროდუქციის გამოშვების ტრენდი



წყარო: აგებულია ავტორის მიერ დროითი მწკრივის მიხედვით.

ამ ტრენდის საფუძველზე გაანგარიშებული მოსწორებული მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 3.2.4.

ცხრილი 3.2.4. დინამიკური მწკრივის მოსწორების დონეები

წელი	T	y	\hat{y}_t	z (მლნ ლარი)	\hat{z}_t
2006	1	23731	23663	226,7	246,9
2007	2	22649	22066	337,1	280,4
2008	3	21427	22099	402,5	359,4
2009	4	23391	23511	390	480,1
2010	5	24475	26050	500,3	638,4
2011	6	30365	29465	860,5	830,5
2012	7	35165	33505	1256,5	1052,3
2013	8	38436	37918	1314,3	1300,0
2014	9	42680	42453	1588,9	1569,6
2015	10	44117	46858	1683,6	1857,0
2016	11	51140	50882	2145,8	2158,5
2017	12	55634	54274	2498,6	2469,9
2018	13	56397	56782	2860,8	2787,4
2019	14	58218	58155	3071,5	3107,0
პროგნოზი 2022			53017		4038,8


წყარო: შედგენილია ავტორის მიერ დროითი მწკრივის მიხედვით.

სადაც y-დასაქმებულთა რაოდენობისა და z-პროდუქციის გამოშვების ემპირიული დონეებია, ხოლო \hat{y}_t და \hat{z}_t მოსწორებული დონეები.

შევნიშნოთ, რომ არსებული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობის საპროგნოზო მნიშვნელობები მცირდება, ხოლო პროდუქციის გამოშვების მოცულობა იზრდება. 2022 წლისთვის დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 9%-ით შემცირდება 2019 წლის მნიშვნელობასთან შედარებით, ხოლო პროდუქციის გამოშვება გაიზრდება დაახლოებით 30%-ით. ასეთი საპროგნოზო ზრდა საშუალოდ 3 წლისთვის საკმაოდ დამაიმედებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს სამომავლოდ აქვს როგორც წარმოების გაზრდის პოტენციალი, ასევე შრომის პროდუქტიულობის გაზრდის პოტენციალიც, რაც ოპტიმისტური პროგნოზის წინაპირობაა.

დინამიკური მწკრივის მოსწორებული დონეების პროგნოზირების მიზნით გამოყენების ვარგისიანობას ადასტურებს ემპირიულ და მოსწორებულ დონეებს შორის მცირე სხვაობები (იხ. დიაგრამა 3.2.6).

დიაგრამა 3.2.6. ემპირიული და მოსწორებული დონეები დასაქმებულთა რაოდენობისა და პროდუქციის გამოშვებისათვის



წყარო: აგებულია ავტორის მიერ დროითი მწკრივის მიხედვით.

2022 წლისთვის პროდუქციის გამოშვების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 4038,8 მლნ ლარს. დავადგინოთ როგორი იქნება საპროგნოზო მნიშვნელობის პროგნოზის ნდობის ინტერვალი. y^* საპროგნოზო მნიშვნელობისთვის ნდობის ინტერვალი ასე ჩაიწერება:

$$\hat{y}^* - t_{\alpha} \cdot S_{\hat{y}^* - y^*} < y^* < \hat{y}^* + t_{\alpha} \cdot S_{\hat{y}^* - y^*},$$

სადაც $S_{\hat{y}^* - y^*}$ არის პროგნოზირების შეცდომის ვარიაციის გადაუადგილებელი შეფასება:

$$S_{\hat{y}^* - y^*}^2 = S_e^2 \left[1 + \frac{1}{n} + \frac{(t^* - \bar{t})^2}{n \text{Var}(x)} \right],$$

ხოლო $S_e = \sqrt{\frac{1}{n-2} \sum_{i=1}^n e_i^2}$ სტანდარტული შეცდომაა.

გამოთვლების შედეგად მიღებული სტანდარტული შეცდომა $S_e = 1181,6$ და შეფასება $S_{\hat{y}^* - y^*} = 1417,8$. ცნობილია 5%-იანი მნიშვნელოვნების დონითა და თავისუფლების $n-2=12$ ხარისხის მქონე სტიუდენტის t განაწილების კრიტიკული მნიშვნელობა $t_{\alpha}=2.179$. შესაბამისად, გვექნება:

$$53017 - 2.179 \cdot 1417,8 < y^* < 53017 + 2.179 \cdot 1417,8$$

ანუ

$$49\,928 < y^* < 56\,106$$

მასასადამე, 2022 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის ალბათური პროგნოზის ინტერვალი იქნება 49 928-დან 56 106-მდე.

შევნიშნოთ, რომ პროგნოზის ინტერვალი საკმაოდ დიდია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის დიდი სხვაობა t^* და \bar{t} შორის.

ამრიგად, განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის პროგნოზირება 2022 წლისთვის ექსტრაპოლაციის გზით. აღმოჩნდა, რომ დასაქმებულთა რაოდენობის საპროგნოზო მნიშვნელობები კლებულობს, რაც არასაიმედო პროგნოზის წინაპირობაა. უმთავრესი მიზეზი, რითაც განპირობებულია ეს კლება, არის სამუშაო ძალის კლების ტენდენცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელზეც 2.1 ქვეთავში იყო საუბარი. ეს, კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ არის მთელი რიგი პრობლემები, რაც ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესის ოპტიმალურ განვითარებას. არსებული ტენდენციის შენარჩუნებით, პროდუქციის გამოშვებას მზარდი ტენდენცია აქვს და 2022 წლის საპროგნოზო მნიშვნელობა დაახლოებით 30%-ით გაიზრდება 2019 წლის მნიშვნელობასთან შედარებით. ვფიქრობთ, ასეთი საპროგნოზო ზრდა საშუალოდ 3 წლისთვის დადებითი მოვლენაა და ეს ზრდა სავარაუდოდ შრომის პროდუქტიულობის ხარჯზე მოხდება და არა დასაქმებულთა რაოდენობის ხარჯზე. დასაქმებულთა რაოდენობის 9%-იანი კლება ჩვენი აზრით, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხელისშემშლელი ფაქტია და საჭიროდ მიგვაჩნია პირველ რიგში სამუშაო ძალის კლების საწინააღმდეგო და შემდგომ, დასაქმების ხელშემწყობი აქტიური პოლიტიკის გატარება.

3.3. დასაქმების და ბიზნესის განვითარების ეკონომეტრიკული მოდელირება

მსოფლიოში მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და დასაქმებაში. მცირე და საშუალო ბიზნესი (მსბ) ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია. ის განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს და მთლიანი ეროვნული პროდუქტის სტრუქტურას [Acs..., 2002; Audretsch and Thurik, 2002]. ისეთი კრიტიკული მოვლენების ფონზე, როგორცაა უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები და წარმოების არარსებობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ეხმარება ამ პრობლემების მოგვარებას დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით და ინოვაციების დანერგვით, ზოგადად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი (Smallbone D.,..., 2001).

მცირე და საშუალო საწარმოები საბაზრო ეკონომიკას უფრო მეტად მოქნილს ხდის, ახდენს მოსახლეობის ფინანსური რესურსების მობილიზებას, ამცირებს ეკონომიკის მონოპოლიურ ტენდენციებს, ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და ზოგადად, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პოსტ-სოციალისტური ქვეყნისთვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მეტად მნიშვნელოვანი, უფრო აქტუალური და აუცილებელი გახდა ქვეყნის განვითარებისათვის (ჭითანავა, 2018). უფრო მეტიც, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ის უფრო მეტად მოექცა მთავრობის ყურადღების ქვეშ რეგიონული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას, რაც ამ სფეროში მრავალი კვლევითი და სამეცნიერო ნაშრომის საფუძველი გახდა.

განვითარებული ეკონომიკების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი შეიძლება გახდეს სტაბილური ეკონომიკის რეალური ფაქტორი, რადგან ეს სექტორი განსაზღვრავს ეკონომიკურ ზრდასა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის სტრუქტურას. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი სწრაფად ვითარდება, რადგან მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო ბიზნესს და მათ მხარდაჭერას.

განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, საწარმოების მეტი წილი მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის (90%-ზე მეტი). მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს ეკონომიკაში. მათზე მოდის დასაქმებულთა 67% და მთლიანი დამატებული ღირებულების დაახლოებით 61,5% (OECD at al, 2020).

სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების და მისი განვითარების უპირველესი მიზანი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა. რეგიონის სამეწარმეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით (მიზნები, ინსტრუმენტების და მექანიზმების სისტემა) სამეწარმეო პოლიტიკა საქართველოში ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მახასიათებლებს მიუახლოვდა. რეგიონული სამეწარმეო პოლიტიკის ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასება შეიძლება იყოს დამატებითი ღირებულების, მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდა (ბარათაშვილი ე.,..., 2012, გვ. 127).

მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეწარმეობის პოტენციალზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მეწარმეობის (მცირე და საშუალო ბიზნესის) წვლილზე რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში.

რეგიონში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულება რეგიონის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია (მანველიძე, რ.,..., 2020, გვ. 18). 2019 წელს აჭარის მშპ (მიმდინარე ფასებში) შეადგენდა 4 997,6 მლნ ლარს, რაც საქართველოს მშპ-ს 10%-ია. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 5 058,2 აშშ დოლარია. ნომინალური მშპს-ს ზრდის ტემპი 2018 წელს 14%, ხოლო 2019 წელს- 24,5% შეადგინა.

2019 წელს აჭარის მთლიანი დამატებული ღირებულება შეადგენდა 2382,2 მლნ ლარს, რაც საქართველოს მთლიანი დამატებული ღირებულების 10,2%-ია და მშპ-ს 4,8%-ია. მცირე საწარმოების დამატებული ღირებულების წილი ქვეყნის მთლიან დამატებულ ღირებულებაში იყო 12,5%, ხოლო საშუალო საწარმოების - 9,5%. 2018 წელს აჭარის ბიზნეს სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულება 1784,4 მლნ ლარს, ხოლო ზრდის მაჩვენებელი 18%-შეადგენდა, 2019 წელს ზრდის მაჩვენებელი

33,5% იყო. მშპ-ს და მდღ-ის ზრდის ტემპები ეკონომიკის სისტემაში ბიზნეს-სექტორის გააქტიურებაზე მიუთითებს.

აჭარის მსბ სექტორის ეკონომიკური მნიშვნელოვნების შესაფასებლად გავანალიზეთ მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის ის ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ტენდენციებს. ეს მაჩვენებლები მოიცავს ბრუნვას, გამოშვებულ პროდუქციის რაოდენობას, დასაქმებულთა რაოდენობას და დასაქმებულთა საშუალო თვიურ ანაზღაურებას (იხ. დანართი 3.2).

როგორც დანართი 3.2-შია ნაჩვენები, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი დასაქმების, გამოშვებული პროდუქციისა და მთლიანი დამატებული ღირებულების მხრივ საკმაოდ მაღალია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონის ეკონომიკაში. ამავე დროს გამოვთვალეთ მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლების წილი აჭარის მთლიან ბიზნეს სექტორში.

ცხრილი 3.3.1. აჭარის მსბ ეკონომიკური მაჩვენებლების პროცენტული წილი მთლიან რაოდენობაში, %


წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
გამოშვებული პროდუქცია	80,3	77,8	69,4	69,7	79,2	81,0	67,9
ბრუნვა	87,5	86,2	74,6	74,9	76,0	79,0	69,4
დასაქმებულთა რაოდენობა	77,2	78,1	76,7	76,8	79,4	80,2	77,8

წყარო: შევსებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

ცხრილიდან ჩანს, რომ გამოშვების, ბრუნვისა და დასაქმებულთა მეტი წილი ბიზნეს სექტორში მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მსბ შეფასებისთვის. 2019 წლის მონაცემებით, აჭარის მსბ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 77,8%-ს შეადგენდა. ამრიგად, მსბ საკმაოდ პრიორიტეტული სექტორია აჭარის ეკონომიკაში.

ცხრილი გვიჩვენებს, რომ დამატებული ღირებულების მაჩვენებელს 2006-2019 წლების განმავლობაში აქვს მუდმივად ზრდადი ტენდენცია, მაგრამ 2008-2009 წლებში მცირდება ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა და ინვესტიცია ფიქსირებულ აქტივებში, რაც გამოწვეული იყო აგვისტოს ომით. ბრუნვას და გამოშვებული პროდუქციას ბოლო წლებში აქვს მზარდი ტენდენცია, თუმცა 2019 წელს მათი მნიშვნელობები ეცემა (იხ. დიაგრამა 3.1.1.).

დიაგრამა 3.3.1. მსბ ბრუნვის და პროდუქციის გამოშვების დინამიკა 2006-2019წწ



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მცირე და საშუალო ბიზნესის პოტენციალის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 3.3.2).

რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვანი წვლილის დასადასტურებლად, სასურველია მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკური ინდიკატორების ბიზნეს სექტორის მთლიან შიდა პროდუქტზე გავლენის შეფასების ეკონომეტრიკული ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ განვსაზღვრეთ წარმომადგენლობითი ცვლადები. მთლიანი შიდა პროდუქტი შეიძლება შეფასდეს გამოშვებული პროდუქციით ან დამატებული ღირებულებით. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიები ხშირად მიზნად ისახავს მთლიანი დამატებული ღირებულების გაზრდას და არა გამოშვებულ პროდუქციას (Cobbold, 2003, გვ. 5). სწორედ ამიტომ, ჩვენ შევარჩიეთ მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებელი რეგიონის ეკონომიკური განვითარების საზომი წარმომადგენლობითი ცვლადის როლში.

ცხრილი 3.3.2. მსბ ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი აღწერა

მაჩვენებელი	აღწერა
დამატებული ღირებულება	<p>ბიზნესის სექტორში დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში განისაზღვრება, როგორც ღირებულება, რომელსაც ბიზნესი ქმნის მისი საინვესტიციო კაპიტალიდან. დამატებითი ღირებულების კონცეფცია ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის, რადგან მეტი დამატებული ღირებულება იწვევს შემოსავლის ზრდას. მთლიანი დამატებული ღირებულება არის რეგიონებში შექმნილი მშპ-ს ორგანული ნაწილი, რაც რეგიონული ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. მშპ-ს ზრდის ტემპი არის დამატებული ღირებულების ზრდის ტემპების ჯამი ეკონომიკის ყველა სექტორში.</p>
ბრუნვა	<p>ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღვისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.</p>
პროდუქციის გამოშვების მოცულობა	<p>განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შექმნილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.</p>
დასაქმებულთა რაოდენობა	<p>დასაქმებულთა რაოდენობაში იგულისხმება საწარმოში დასაქმებულ პირთა (დაქირავებულები, დასაქმებული დამფუძნებლები და საოჯახო საწარმოს შემთხვევაში – დასაქმებული ოჯახის წევრები) საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.</p>
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	<p>ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში მოიცავს ძირითადი საშუალებების შეძენასა და კაპიტალის გაუმჯობესებას, რომელთაგან აკლდება ძირითადი საშუალებების გაყიდვები და გადარიცხვები. ფიქსირებული ინვესტიცია არის ფიზიკური აქტივების დაგროვება, როგორცაა მიწა, შენობები, მანქანები, ტექნოლოგია და ა.შ.</p>

შედგენილია ავტორის მიერ; წყარო: (საქსტატი, ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია).

მთლიანი დამატებული ღირებულება არის მრავალფაქტორული მაჩვენებელი, რომელზეც გავლენას ახდენს წარმოების სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის:

- შრომა, რაც გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ ძალისხმევას, რომელიც გამოიყენება წარმოების პროცესში. დამატებული ღირებულების ზრდა შეიძლება როგორც დასაქმებულთა რაოდენობის ზრდით, ასევე შრომის პროდუქტიულობის ზრდით;
- კაპიტალი გულისხმობს ფიქსირებულ და საბრუნავ კაპიტალს, რომელიც გამოიყენება წარმოების პროცესში: შენობა, მოწყობილობა და ტექნიკა. მეტი კაპიტალი მეტ პროდუქციას ქმნის;
- შრომითი დანახარჯები, რომლებიც განისაზღვრება, როგორც მთლიანი ანაზღაურება. ის გარდა ხელფასისა, მოიცავს სასწავლო პროგრამების, მოგზაურობის ხარჯებს, წამახალისებელ პროგრამებს და ა.შ. პერსონალის მაღალი ხარჯები ზრდის მოტივაციას და პროდუქტიულობას;
- სამეწარმეო უნარ-ჩვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია წარმოების ფაქტორების ორგანიზებისათვის, რისკების გაწვევით მოგების მისაღებად. რესურსების სწორად გამოყენება და წარმოების პროცესის ორგანიზება მეწარმეობის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია;
- ბიზნეს გარემო, იურიდიული და ინსტიტუციური ჩარჩო, რამეთუ საკანონმდებლო რეგულაციები საკმაოდ ამარტივებს ბიზნესს და ზრდის პროდუქტიულობას;
- და ა.შ.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ თითოეული მათგანის გავლენა, მაგრამ შეგვიძლია ავირჩიოთ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი და შევეცადოთ შევაფასოთ მათი ცალკეული გავლენა მთლიან დამატებულ ღირებულებაზე. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპის აღწერის მოდელის აგებას, დამყარებულია წარმოების ფუნქციის ეკონომიკური თეორიაზე, რომ მთლიანი გამოშვება განისაზღვრება წარმოების ფაქტორებით (კაპიტალისა და შრომის) და მათი პროდუქტიულობით. პროდუქტიულობა ითვლება ეკონომიკური ზრდის მთავარ

წყაროდ, იგი წარმოადგენს მთლიანი გამოშვების რაოდენობას წარმოების ერთეულ ფაქტორზე და განისაზღვრება როგორც მთლიანი გამოშვების შეფარდება შრომასა და კაპიტალთან (Coelli T.J, ..., 2005).

წარმოების პროცესში შრომის ეფექტიანობის გასაზომად გამოვიყენეთ მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპის დეკომპოზიცია, დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდის და შრომის პროდუქტიულობის ზრდის ტემპებად.

შრომის პროდუქტიულობა წარმოადგენს, ერთი დასაქმებულის მიერ წარმოებულ პროდუქციის მოცულობას. შრომის პროდუქტიულობას უფრო ხშირად ზომავენ დამატებული ღირებულებით ერთ დასაქმებულზე, ვიდრე მთლიანი პროდუქციის გამოშვებით ერთ დასაქმებულზე, რომელიც შრომის პროდუქტიულობის უფრო სტანდარტული საზომია ეკონომიკაში (ILOSTAT). ის კაპიტალის პროდუქტიულობასთან ერთად ქმნის მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობას (Total Factor Productivity). ემპირიულ მოდელში ჩვენ შევარჩიეთ TFP-ს წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატიული) ფაქტორი - დასაქმებულთა პროდუქტიულობა, როგორც დამატებული ღირებულების (მსბ) და დასაქმებულთა რაოდენობის (მსბ) თანაფარდობა. რა თქმა უნდა, შრომის პროდუქტიულობა მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრავს მთლიან ფაქტორულ პროდუქტიულობას.

ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს შორის იმათ გამოსავლენად, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას აჭარის ბიზნეს სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულების ფორმირებაზე და განვითარებაზე, მარტივი წრფივი რეგრესიის მოდელი საკმარისი არ არის. ამისათვის გამოვიყენეთ მრავლობითი რეგრესიის მოდელი, რომლის ასაგებად უპირველესად აუცილებელია მნიშვნელოვანი ფაქტორების შერჩევა მათი ზემოქმედების ხარისხის მიხედვით. მოდელში გავითვალისწინეთ ის ფაქტორები, რომლებიც შედარებით ძლიერ გავლენას ახდენს დამოკიდებული ცვლადის განვითარებაზე. ამავე დროს, დაკვირვების მცირე რაოდენობა არ გვამლევს მრავალი ფაქტორის აღების საშუალებას. მრავლობითი რეგრესიის მოდელში ცვლადების ასარჩევად, პირველ ეტაპზე ავაგეთ კორელაციური მატრიცა, რომელიც ახასიათებს კორელაციის ხარისხს როგორც შედეგობრივ და ფაქტორულ ცვლადებს შორის, ისე თითოეულ ფაქტორს შორის. მნიშვნელოვანი და არსებითი ფაქტორებია ისინი,

რომლებსაც უფრო მაღალი კორელაცია აქვთ შედეგობრივ მაჩვენებელთან, ვიდრე სხვა ფაქტორებთან, რათა თავიდან აგვეცილებინა მულტიკოლინიარობის პრობლემა, რაც იწვევს რეგრესიის მოდელში პარამეტრების შეფასების გადაადგილებას, კოეფიციენტების ეკონომიკური ინტერპრეტაციის ცვლილებას და სხვა ნეგატიურ ეფექტებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ შევავსეთ ორ ფაქტორიანი ლოგარითმული რეგრესიის მოდელი (რადგანაც ჩვენთვის საინტერესოა შესასწავლი ფაქტორების ზრდის ტემპები), სადაც დამოკიდებული ცვლადი არის მთლიანი დამატებული ღირებულება, ხოლო დამოუკიდებელი (ფაქტორული) ცვლადები არის დასაქმებულთა რაოდენობა და მათი პროდუქტიულობა აღებული ლოგარითმული ფორმებით (Glonti V.,..., 2021). აგებული რეგრესიის განტოლებაა:

$$LN_GVA = b_0 + b_1(LN_EMPL) + b_2(LN_EMPL_PRODUCTIVITY) + \varepsilon_i,$$

სადაც LN_GVA აღნიშნავს მთლიანი დამატებული ღირებულების ნატურალურ ლოგარითმს, LN_EMPL აღნიშნავს დასაქმებულთა რაოდენობის ნატურალურ ლოგარითმს, ხოლო LN_EMPL_PRODUCTIVITY- დასაქმებულთა პროდუქტიულობის ნატურალურ ლოგარითმს. ნატურალური ლოგარითმები გამოხატავს შესაბამისი სიდიდეების ზრდის ტემპებს, ε_i -არის შემთხვევითი ცვლადია, რომელიც შედეგობრივი ცვლადის მნიშვნელობის მისი საშუალო მნიშვნელობიდან გადახრას აღნიშნავს. რეგრესიულ მოდელში მის არსებობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს, მაგ., მოდელში გაუთვალისწინებელი ფაქტორების არსებობა, გაზომვის შეცდომები, განტოლების არასწორი სპეციფიკაცია (ანანიაშვილი, 2014, გვ. 73).

მოდელი აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მოპოვებული 2006-2019 წლების დროითი მწკრივების მონაცემებზე (დანართი 2.6).

შეფასებული რეგრესიის მოდელის სახეა:

$$\ln(\text{დამატებული ღირებულება}) = -7.08 + 1.48 * \ln(\text{დასაქმებულთა რაოდენობა}) + \\ + 0.45 * \ln(\text{დასაქმებულთა პროდუქტიულობა}).$$

პარამეტრებს აქვთ დადებითი ნიშანი, როგორც იყო მოსალოდნელი და ყველა კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ფაქტორების კოეფიციენტები

შეიძლება განისაზღვროს, როგორც მათი ელასტიურობა, კერძოდ, დამატებული ღირებულების ელასტიურობა დასაქმებულთა რაოდენობის და დასაქმებულთა პროდუქტიულობის მიმართ. დასაქმებულთა რაოდენობის 1%-იანი ზრდა მთლიანი დამატებულ ღირებულებას გაზრდის 1.48%-ით და დასაქმებულთა პროდუქტიულობის 1%-იანი ზრდა მთლიანი დამატებულ ღირებულებას გაზრდის 0,45%-ით სხვა თანაბარ პირობებში (ანუ როცა სხვა ფაქტორების ზეგავლენა უგულებელყოფილია).

ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგები მიღებულია პროგრამა e-views დახმარებით და წარმოდგენილია ცხრილში 3.3.3 :

ცხრილი 3.3.3. ლოგარითმული რეგრესიის მოდელის შეფასების შედეგები

ANOVA					
ცვლადები	კოეფიციენტი	სტანდ. შეცდომა	p-ალბათობა	მნიშვნელოვნება	R ²
თავისუფალი წევრი	-7.08	2.1	0.00	მნიშვნელოვანია*	0.99
დასაქმებულთა რაოდენობა	1.48	0.1	0.00	მნიშვნელოვანია*	
დასაქმებულთა პროდუქტიულობა	0.45	0.1	0.00	მნიშვნელოვანია*	

* მნიშვნელოვანია 1%, 5%, 10% მნიშვნელოვნების დონით.

რამდენად ადეკვატურად და ზუსტად ასახავს შერჩეული რეგრესიის განტოლება დამოკიდებული ცვლადის ქცევას სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შევამოწმეთ F-ტესტის გამოყენებით ჰიპოთეზის საფუძველზე. ნულოვანი ჰიპოთეზა H_0 : მოდელი არ არის ვარგისი, უარყოფილია, რადგან ფიშერის სტატისტიკის მნიშვნელობა $F = \frac{(n-m-1)R^2}{m(1-R^2)}$ აღემატება F_{α} კრიტიკულ მნიშვნელობას (significance $F < 0,05$). დეტერმინაციის კოეფიციენტი ($R^2=0,98$) და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი (Adjusted $R^2=0,99$) გვიჩვენებენ, რომ ემპირიული მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და ვარგისია. ამრიგად, შერჩეული მოდელი ორი ამხსნელი ცვლადით არის ადეკვატური და დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის 99,5% აიხსნება შერჩეული მოდელით. რა თქმა უნდა, დამოკიდებული ცვლადის ვარიაცია ასევე გამოწვეულია სხვა ფაქტორებითაც, რომელთა ჩართვა მოდელში არ მოხდა (იხ. ცხრილი 3.3.4)

ცხრილი 3.3.4. მოდელის სიზუსტის და შემთხვევითი წევრის დიაგნოსტიკის ტესტების შედეგები

მოდელის სპეციფიკაცია		
R ²	0.99	მაღალი
კორექტირებული R ²	0.99	მაღალი
p-მნიშვნ. (F-სტატისტიკა)	0.000000	მნიშვნელოვანი
შემთხვევითი წევრის დიაგნოსტიკის ტესტი		
Ho: არა ავტოკორელაცია	ალბათობა F(2,9)>0.05	მიღებულია
Ho: არა ჰეტეროსკედასტურობა	ალბათობა F(2,11)>0.05	მიღებულია
Ho: შემთხვევითი წევრები ნორმალურად განაწილებულია	Prob.>0.05	მიღებულია

წყარო: მოდელის შეფასების შედეგები.

მოდელის შემთხვევით წევრებში ავტოკორელაციის შემოწმების ბროიშ-გოდფრის ტესტმა აჩვენა, რომ ნულოვანი ჰიპოთეზა მის არარსებობაზე მიიღება 95%-იანი სანდოობით, რაც გულისხმობს, რომ შემთხვევით წევრებში ადგილი არ აქვს ავტოკორელაციას (Prob>0.05).

Breusch-Godfrey Serial Correlation LM Test			
F-statistic	1.016654	Prob. F(2,9)	0.3999
Obs*R-squared	2.580035	Prob. Chi-Square(2)	0.2753

წყარო: ბრეუშ-გოდფრის ავტოკორელაციის ტესტის შედეგები.

ავტოკორელაცია ნიშნავს, რომ არ სრულდება გაუს მარკოვის ერთ-ერთი პირობა სხვადასხვა დაკვირვებებში შემთხვევითი წევრების დამოუკიდებლობის შესახებ. ეს პრობლემა ახასიათებს დროით მწკრივებს და მისი არსებობისას სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი კოეფიციენტებიც და მოდელიც კი შეიძლება მნიშვნელოვნად წარმოგვიდგეს.


ასევე, ჰეტეროსკედასტურობის შემოწმების ტესტმა აჩვენა, რომ შეფასებულ მოდელში არ ფიქსირდება ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა, რადგან ნულოვანი ჰიპოთეზა მის არარსებობაზე არ იქნა უარყოფილი 95%-იანი სანდოობით.

ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა დგება, მაშინ როცა არ სრულდება შემთხვევითი წევრის დაკვირვების ნომრისაგან დამოუკიდებლობის პირობა ანუ შემთხვევითი წევრის დისპერსია არ არის მუდმივი სიდიდე.

Heteroskedasticity Test: Breusch-Pagan-Godfrey			
F-statistic	0.783253	Prob. F(2,11)	0.4808
Obs*R-squared	1.745202	Prob. Chi-Square(2)	0.4179
Scaled explained SS	0.841621	Prob. Chi-Square(2)	0.6565

წყარო: ბრეუშ-პაგანის ჰეტეროსკედასტურობის ტესტის შედეგები.

ასევე ნარჩენობითი წევრი ნორმალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეა, რაც ადასტურებს სტატისტიკური ტესტების ადეკვატურობას.



წყარო: შემთხვევითი წევრის ნორმალური განაწილების ტესტი

შევნიშნოთ, რომ მოდელში არ დადგინდა მულტიკოლინეარობის პრობლემა, რადგან დისპერსიის ზრდის ფაქტორი $VIF < 10$.

Variable	Coefficient Variance	Uncentered VIF	Centered VIF
LN_EMPL_PRODUCT	0.011219	445.9317	6.955975
LN_EMPL	0.025482	5821.024	6.955975
C	4.427870	9210.610	NA

წყარო: დისპერსიის ზრდის ფაქტორის შეფასების შედეგები

ეკონომეტრიკული ანალიზი ჩატარებულია კლასიკური ეკონომეტრიკული ტექნიკის გამოყენებით (Wooldridge, 2012).

დასასრულს, შეფასებული მოდელი გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი პროდუქტიულობა ბიზნესის განვითარების (დამატებული ღირებულების ზრდის) მნიშვნელოვანი ფაქტორებია. მეორეს მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომითი დანახარჯები, რაც მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და სოციალურ დახმარებას. ვინაიდან ეს ხელს უწყობს პროდუქტიულობის ხარჯების შეფასებას ადამიანისეული კაპიტალის მიდგომაზე დაყრდნობით, რადგან ადამიანისეული კაპიტალის რესურსები და საქმიანობა ქმნის დამატებულ ღირებულებას. შრომის პროდუქტიულობის მიღმა დგას

"ადამიანისეული კაპიტალი", ანუ დასაქმებულთა ჯანმრთელობა, უნარები და სხვა ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებისთვის (მაგალითად, სამთავრობო პროგრამების შემუშავებისას). ზოგადად, შრომითი დანახარჯები განსაზღვრავს დასაქმებულთა ქცევას, სტიმულს და ეფექტიანობას. ასე რომ, შრომითი დანახარჯები ადამიანისეული კაპიტალის ეფექტიანობის რეპრეზენტატორად განიხილება. ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესი განაპირობებს სამუშაო ადგილების ზრდას, მაგრამ საჭიროა პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, რესურსები მიმართული იყოს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისკენ, წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისკენ და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ.

3.4. ადამიანისეული კაპიტალის ტრანსფორმაცია და ბიზნესის პოტენციალის გამოყენების ფაქტორები

ჩატარებული ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგების თანახმად, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი პროდუქტიულობა ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორებია. პროდუქტიულობის ზრდის მთავარი ფაქტორები ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და ტექნოლოგიური ცოდნის დონის ამაღლებაა. ეკონომიკური ზრდის ენდოგენური მოდელები (Romer, 1986; Lukas, 1988;...) გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად განიხილავენ ადამიანისეულ კაპიტალს, რომლის ხარისხს ქმნის ადამიანის განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია (განათლება, ჯანდაცვა). ენდოგენური თეორია ადამიანისეულ კაპიტალზე და ცოდნაზე დაფუძნებული და მხარს უჭერს განვითარების პროცესში სახელმწიფოს ჩარევას. მნიშვნელოვანია ინვესტიციების განხორციელება ტექნოლოგიურ ინოვაციებში, განათლების სისტემის სრულყოფა და შრომის ბაზრის სრულყოფა, რადგან ადამიანისეული კაპიტალიც ფიზიკური კაპიტალის მსგავსად განიცდის ცვეთას ანუ დროთა განმავლობაში საჭირო ხდება უნარების და ცოდნის გაუმჯობესება საწარმოო მოთხოვნების შესაბამისად. ადამიანისეული კაპიტალი ის საწარმოო ფაქტორია,

რომელიც ფიზიკური კაპიტალისგან განსხვავებით არ ხასიათდება კლებადი უკუგებით. ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკურ რესურსთან ერთად ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამიტომ ბიზნეს სექტორის განვითარებისთვის მთავარი სტრატეგიების განსაზღვრისას პრიორიტეტულ მიმართულებებში ერთ-ერთი ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაა (საქართველოს მთავრობა, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020, გვ. 8).

რეგიონის ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის და ადამიანისეული კაპიტალის მომზადება. კვლევები ადასტურებენ დადებით კორელაციურ კავშირს ადამიანისეულ კაპიტალსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის, ინოვაციებისა და მწარმოებლურობის ზრდის ჩათვლით. ამიტომაც გამართლებულია სახელმწიფო სუბსიდიები განათლებაზე და პროფესიულ გადამზადებაზე. ეს ორი ფაქტორი არის უმთავრესი ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში (Becker, 1994)⁴.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში“ აღწერილია ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები (აჭარის ა.რ. 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2016). კერძოდ, ძლიერი მხარეებია: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) მაღალი წილი სხვა რეგიონებთან შედარებით, რეგიონში უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების არსებობა და განათლების ხელმისაწვდომობა, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების მიღების შესაძლებლობა, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების გადამზადების პროექტები, ხოლო სუსტი მხარეებია: სამუშაო ძალის ასპექტში -სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი; განათლების ასპექტში - რეგიონში პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი ორიენტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე; დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი სამუშაო ძალა; სამუშაო ძალის დაბალი მოტივაცია გადამზადების კუთხით; მეწარმეების ბიზნეს განათლების

⁴ Gary S. Becker, Human Capital Revisited, <https://www.nber.org/system/files/chapters/c11229/c11229.pdf>

დაბალი დონე; სამეწარმეო უნარ-ჩვევების, თანამედროვე მართვის და ადმინისტრირების ცოდნის დაბალი დონე; დასაქმების ასპექტში - რეგიონში შრომის ბაზრის ფუნდამენტური კვლევის არარსებობა; მუნიციპალიტეტებში სამუშაო ადგილების ნაკლებობა; სამუშაო ადგილები ძირითადად მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებშია; შრომის დაბალი ანაზღაურება; დასაქმების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამების ნაკლებობა.

ამასთანავე რეგიონში დგას ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების ისეთი საფრთხეები, როგორცაა ეკონომიკური კრიზისის გამო კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინება რეგიონიდან; მოსახლეობის დაბერება და სამუშაო ძალის შემცირება; არასაკმარისი ფინანსური რესურსები კონკურენტუნარიანი კადრების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მწვავედ დგას ინტელექტუალური და კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინების და მიგრაციის საფრთხეები აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ტაკიძე, 2006, გვ. 83). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობებმა უფრო მეტად შეუწყო ხელი სამუშაო ძალის გადინებას, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო მწვავედ აისახება შრომის ბაზარზე. ინტელექტუალურ შრომით რესურსს ამცირებს „ტვინების გადინება“, თუმცა მეორეს მხრივ ამ პროცესს აქვს დადებითი ეფექტი: მოსალოდნელია კვალიფიციური კადრების უკან დაბრუნება და მათი ცოდნა-გამოცდილების ეფექტიანი გამოყენება ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის. ამიტომ ეს ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული შრომითი რესურსების პოტენციალის შეფასებისას და ადეკვატური პოლიტიკის გატარებისას.

ყველა ჩამოთვლილი პრობლემა არის რეგიონში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი, რაც თავისთავად ხელს უშლის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ამცირებს მწარმოებლურობას და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას. სწორედ ამ პრობლემების მოგვარებაში იკვეთება სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობა. რეგიონის საერთო კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად აქცენტი უნდა გაკეთდეს შემოსავლის გამომუშავების უნარის გაძლიერებაზე, ადამიანისეული კაპიტალის პროდუქტიულ გამოყენებაზე.

კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალი, როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის, ინოვაციური განვითარების ძირითადი რესურსია. სწორედ ადამიანისეული კაპიტალის ტრანსფორმაცია განაპირობებს ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას. გლობალიზაციის ეპოქაში კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი ტექნოლოგიების (hi-tech) გამოყენება ეკონომიკაში (აბესაძე, 2014, გვ. 3-7). ინოვაციური პოტენციალი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია. მზარდი კონკურენციის პირობებში, მეტად მნიშვნელოვანია ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული წარმოებისთვის მეწარმეობრივი უნარებისა და ინოვაციური ცოდნის ამაღლება (ცეცხლაძე, 2016, გვ. 82-86), შესაბამისად, აუცილებელია ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება. ადამიანისეული კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების საჭირო რესურსები სამუშაო ძალას და მცირე საწარმოებს არ გააჩნიათ, ამიტომ მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაში უშუალოდ დამსაქმებლის და სახელმწიფოს ჩართულობა ადამიანისეული კაპიტალის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, დამსაქმებლებმა მეტი ძალისხმევით უნდა იზრუნონ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე დარგში ინოვაციების ათვისების მიზნით, ტრენინგებისა და სტაჟირებების საშუალებით. ითანამშრომლონ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმების მიზნით. ყოველივე ამას კი ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ინოვაციურმა პოლიტიკამ (ქათამაძე, 2016, გვ. 35-40), აქტიურმა სტრატეგიამ შესაბამისი ინფრასტრუქტურის, განათლების ხარისხის, ფინანსური კაპიტალის ხელმისაწვდომობის, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის, ინოვაციური შესაძლებლობების ამაღლების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის მიმართულებებით⁵.

მიმდინარე გლობალურმა პანდემიურმა პროცესებმა უფრო მეტად წარმოაჩინა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საჭიროება და დაადასტურა, რომ ტექნოლოგიური განვითარების პროცესები უალტერნატივოა წარმოების სფეროში. შესაბამისად, რეგიონული ბიზნესის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია

⁵„საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ“, 22 ივნისი, 2016 წელი, www.matsne.gov.ge

ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, ინვესტიციების მობილიზება მაღალპროდუქტიული, ინოვაციური კონკურენტუნარიანი საწარმოების გასახსნელად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) პროექტი - გაიხსნა ტექნოპარკი ბათუმში, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარებაზე. მსგავსი პროექტები ხელს შეუწყობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას და რეგიონში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის შექმნას (Entrepreneur , 2020).

მცირე და საშუალო მეწარმეობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორის და ეკონომიკურ განვითარებაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალის თვალსაზრისით. თუმცა ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მცირე კომპანიები რთულად ან ვერ ახერხებს კონკურენტულ გარემოში არსებობას და მალე გადიან ბაზრიდან. ამის მიზეზია ბიზნეს განათლების ნაკლებობა და გამოუცდელობა, დაბალი მწარმოებლურობა. დღეს მცირე ბიზნესი უძლურია დამოუკიდებლად მოახდინოს რადიკალური ცვლილებები ამ მხრივ და გააუმჯობესოს სიტუაცია, იგი დამოკიდებული გახდა სახელმწიფო მხარდაჭერაზე. საჭიროა სახელმწიფოს ეფექტური მხარდაჭერის პოლიტიკა მცირე ბიზნესის გადასარჩენად (Erkomaishvili, 2016).

საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც აერთიანებს სამ მიმართულებას - ადგილობრივ ბიზნესს, ექსპორტს და ინვესტიციებს. „აწარმოე საქართველოში - ბიზნესის“ მიმართულების მიზანია საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით, ახალი საწარმოების შექმნა და არსებული საწარმოების გაფართოება-გადაიარაღება. 2020 წელს ინდუსტრიული მიმართულებით დაფინანსდა 7 პროექტი და შეიქმნა 113 სამუშაო ადგილი. დაფინანსდა 7 საწარმოო პროექტი. სასტუმრო ინდუსტრიის

მიმართულებით დაფინანსდა 4 პროექტი და შეიქმნა 205 სამუშაო ადგილი (აწარმოე საქართველოში, 2020) (იხ. ცხრილი).

ცხრილი 3.4.1. „აწარმოე საქართველოში“-ს დაფინანსებული პროექტები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

პროგრამის სახელწოდება	პერიოდი	პროექტების რაოდენობა	დასაქმებულთა რაოდენობა	გაცემული თანხა (მლნ)
მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა	2015-2018	596	954	4,83
ინდუსტრიული მიმართულება	2014-2020	25	428	40,9
სასტუმრო ინდუსტრია	2016-2020	16	549	27,8


წყარო: აწარმოე საქართველოში, წლიური ანგარიში-2020.

ბოლო პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა არის როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება (OECD, Recommendations for Georgia's SME Development Strategy, 2016, გვ. 18). ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები საქართველოში პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად განხორციელებული პროგრამის „განათლება დასაქმებისთვის“ ფარგლებში მიზნად ისახავს რეგიონებში პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებას, უწყვეტი განათლების მიღებას და მეწარმეთა ხელშეწყობას, რათა მოხდეს ცოდნისა და უნარების შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობა, ახალგაზრდებისთვის და მეწარმეებისთვის უწყვეტი განათლების და ტრენინგების ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონებში, მათ შორის აჭარაშიც (დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA, 2020).

საქართველოში ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენის მიზნით ჩატარებულ კვლევაში „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნა-2020“ გამოვლინდა საწარმოების მიერ სამუშაო ძალის განვითარებაზე განხორციელებული ქმედებები, პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციები რეგიონულ კრილში. საწარმოებში დასაქმებულთა შორის 57,8% უმაღლესი განათლების მქონეა, 28%-საშუალო განათლების მქონე, ხოლო პროფესიული განათლების მქონეთა წილი

ყველაზე მცირეა-14,2% (სემგს, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა, 2020, გვ. 10). აღსანიშნავია, რომ საწარმოებში დასაქმებულთა განაწილების მაჩვენებლები განათლების მიღწეული დონის მიხედვით, 2017 წელს ჩატარებული „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“ (სემგს, უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა, 2017) შედეგებისგან უმნიშვნელოდაა განსხვავებული (გაზრდილი) უმაღლეს და პროფესიულ განათლების შემთხვევაში, ხოლო საშუალო განათლების მქონეთა წილი გაორმაგდა, მაშინ როდესაც საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 4,7%-ით გაიზარდა. მუშახელის რაოდენობის გაზრდის ძირითად მიზეზად საწარმოს გაფართოება დასახელდა (60%), ხოლო არასაკმარისი სამუშაო ძალა მიზეზად 39%-მა დაასახელა. საწარმოში გამოყენებულ კონკრეტულ აღჭურვილობასთან ან პროცესებთან დაკავშირებულ ტექნიკური უნარ-ჩვევები დამსაქმებელთა მხრიდან შეფასდა საშუალო 3,5 ქულით, ICT უნარები 3,9 ქულით, მაშინ როცა 2017 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ეს უნარები შეფასდა ყველაზე დაბალი 2,9 ქულით. ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით ყველაზე მაღალი საშუალო ქულა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალმა დაიმსახურა - 4.4 ქულა, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების ჯგუფმა - 1.6 ქულა (იხ. დიაგრამა 3.4.1).

დიაგრამა 3.4.1 დასაქმებულთა უნარების შეფასება პროფესიების მიხედვით




წყარო: „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა-2020“: გვ. 17

დამსაქმებლების მიერ უნარებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად დამატებითი ტრენინგის ჩატარების გზას დამსაქმებელთა მხოლოდ 6.8% მიმართავს, ახალი კვალიფიციური კადრის აყვანას 4% ირჩევს, სამუშაო პრაქტიკის შეცვლას-1.4%, სპეციალური ღონისძიებები ძირითადად არ ხორციელდება - 87.8%.

გამოცხადებული ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეებიდან უმრავლესობამ (28,7%) დაასახელა აპლიკანტთა არასაკმარისი კვალიფიკაცია (დიაგრამა 3.4.2).

დიაგრამა 3.4.2. ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეები



წყარო: „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა-2020“: გვ.28

კვლევის შედეგების მიხედვით, სამუშაოზე აყვანისას უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს გამოცდილების არსებობა (56.1%). ადგილზე გავლილი პრაქტიკა მნიშვნელოვანია 13%-თვის. საკმაოდ დაბალია საწარმოთა ჩართულობა სამუშაო ძალის განვითარებაში. კვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 1 წლის განმავლობაში მხოლოდ საწარმოთა 8%-მა გადაამზადა დასაქმებულები. საწარმოები ყველაზე ხშირად აფინანსებენ ტრენინგებს სპეციალობაში კვალიფიკაციის ამაღლებაზე (77%). თანამშრომელთა გადამზადებისა და განვითარების სტრატეგია მსხვილი ზომის საწარმოთა 66%-ს აქვს, საშუალო ზომის საწარმოებში ეს მაჩვენებელი 43%-ია, ხოლო მცირე ზომის საწარმოებში 15%. აჭარაში გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 10%-ს აქვს თანამშრომელთა გადამზადების სტრატეგია.

კვლევამ გამოავლინა, რომ პროფესიული განათლების მქონე ადამიანი დასაქმებული ჰყავს გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 15%-ს. მხოლოდ 2% თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელთაგან 70% მცირე ზომის საწარმოა. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობს საწარმოთა 23%, საწარმოო პრაქტიკის შეთავაზებას ახდენს 47%. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის ყველაზე სასურველ ფორმად სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება (41%) და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება (30%) დასახელდა. საწარმოების 32%-ს სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების ჩადება პროფესიულ განათლებაში პრიორიტეტულად მიაჩნია, 29%-ს უმაღლეს განათლებაში, 16%-ს საშუალო განათლებაში. რაც იმას ნიშნავს, რომ პროფესიული განათლება დამსაქმებელთა მოთხოვნებში უფრო პრიორიტეტულია.

ამრიგად, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების პროცესი საკმაოდ შენელებულია, დაბალია დამსაქმებლების ჩართულობა სამუშაო ძალის ხარისხის ამაღლებაში, თანამშრომელთა გადამზადების და განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში, ამიტომ ამ მხრივ საკმაოდ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანისეული კაპიტალის განვითარების პოტენციალი დიდია, მათი ეკონომიკური აქტივობის დონე მცირდება ანუ სათანადოდ არ ხდება უნარების გამოყენება, ამიტომ აუცილებელია ინტერვენცია ადამიანისეული კაპიტალის მაქსიმალურ გამოყენებაში, მათი პროდუქტიულობის ასამაღლებლად შედარებით კონკურენტულ სექტორებში გადანაწილება. მსგავსი ინტერვენცია გაზრდის ექსპორტის მოცულობას და სამუშაო ადგილებსაც. მითუმეტეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება DCFTA ითვალისწინებს ევროკავშირთან ვაჭრობის გავლენას სამუშაო ადგილების შექმნაზე, რაც დამოკიდებულია შრომითი რესურსების უნარზე და შესაძლებელია მათი პროდუქტიული დარგებისკენ გადანაცვლებით. ძირითადად ექსპორტიორები დიდი ფირმები არიან, სადაც უფრო მაღალია პროდუქტიულობაც და პროდუქტის მრავალფეროვნებაც, რაც ექსპორტის დივერსიფიკაციის ერთგვარი გარანტიაა. დარგების პროდუქტიულობის დონე აისახება ხელფასებს შორის

განსხვავებაშიც. ექსპორტიორი ფირმები უფრო ახერხებენ სამუშაო ადგილების შექმნას და მეტად კვალიფიციური მუშახელის დასაქმებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ საექსპორტო საქონლის ტიპი განსაზღვრავს მოთხოვნას შრომითი რესურსების კვალიფიკაციაზე და სქესზე. ადგილობრივი ფირმების ძირითადი საექსპორტო საქონლის წარმოება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ მოითხოვს შრომითი რესურსების მაღალ კვალიფიკაციას, მაგრამ ინოვაციური და უცხოურ მფლობელობაში მყოფი ფირმები კვალიფიკაციის ნაკლებობას მნიშვნელოვან პრობლემად თვლიან. შრომითი რესურსების კვალიფიკაციისა და უნარების შეუსაბამობა ქმნის სტრუქტურულ უმუშევრობას.

2016 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ გამოქვეყნებულ „შრომის ბაზრის კვლევის“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ აჭარის შრომის ბაზარზე გამოვლინდა კვალიფიციური კადრების დეფიციტი, ასევე კონკრეტულ პოზიციაზე კადრების ხშირი ცვლილება, რომლის მიზეზებიც სხვადასხვაგვარია, მათ შორის დამსაქმებლის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, დაბალი ხელფასები და სხვ. დამსაქმებლები ძირითადად არ არიან ორიენტირებულები დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაზე (ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი, 2016).

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ENPARD – 2 ფარგლებში პროფესიული კოლეჯი „ბლექის“ მიერ 2018 წელს ჩატარდა შრომის ბაზრის სეგმენტური კვლევა „აჭარის მაღალმთიანეთში შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი“, რომლის მიზანი იყო მოთხოვნადი პროფესიების და შესაბამისი უნარების განსაზღვრა ქედის, ხულოს, შუახევის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში. კვლევამ აჭარის მაღალმთიანეთში კვალიფიციური სამუშაო ძალის პრობლემა და პროფესიული გადამზადების აუცილებლობა გამოავლინა, რის საშუალება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ. არის პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლები შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, თუმცა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების დაუფლება და კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადება კვლავ პრობლემად რჩება შესაბამისი პედაგოგიური კადრების დეფიციტის და ადგილობრივ საწარმოებში საწარმოო პრაქტიკის შეუსრულებლობის გამო.

აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტებში პრიორიტეტულია ისეთი პროფესიები, როგორცაა სოფლის მეურნეობაში მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მევენახეობა და ა.შ. ტურიზმის სფეროში საოჯახო სასტუმროს მენეჯერი, გიდი, მზარეული და ა.შ. მშენებლობაში-შემდუღებელი, ელექტრიკოსი, ზეინკალ-სანტექნიკოსი და ა.შ. პროფესიებზე მოთხოვნის თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის სფეროში გამოიკვეთა ვეტერინარების და მემცენარეების საჭიროება. ტურიზმის სფეროში დგას უცხო ენის არცოდნის პრობლემა. სამეურნეო საქმიანობის სფეროებში ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების განხორციელებით შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და აუცილებლად შეიქმნება კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების აუცილებლობა (ბლექსი, 2018).

ამ მუნიციპალიტეტებში, სხვა დარგებიდან, განვითარების ყველაზე დიდი პოტენციალი ტურიზმს და მომსახურების სხვადასხვა სფეროს აქვს, მათ შორის საწარმოებს, ჩაბარების პუნქტებს, გადამამუშავებელ ქარხნებს, საოჯახო სასტუმროებს, კვების ობიექტებს და სხვა (ISSA, 2016). განვითარების პოტენციალი აქვს ხის გადამამუშავებელ მრეწველობას (ხე-ტყის დამუშავება და ხის ნაწარმის წარმოება).

აჭარის დასაქმების სააგენტო ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამებსა და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციას. სააგენტოს ბაზაში ამ სამი მუნიციპალიტეტიდან რეგისტრირებულია 1933 ადამიანი, მათ შორის 25-დან 35 წლამდე ასაკის-35%, 35-დან 60 წლამდე ასაკის-50%, რეგისტრირებულთა უმეტესობა კაცებია და შეადგენს 73%-ს (მერები ეკონომიკური ზრდისთვის, 2019, გვ. 16). დასაქმების სააგენტოს 2019-2022 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში ინტენსიური მოკლევადიანი კურსების შეთავაზებას, რაც ხელს შეუწყობს სამუშაოს მაძიებლების დასაქმებას.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარება დამოკიდებულია დემოგრაფიულ ტენდენციებზე, თუ სამუშაო ძალის რა პოტენციალია ქვეყანაში, რა საფრთხეები ემუქრება მას და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მისი რესურსული უზრუნველყოფისთვის. როგორც ნაშრომის პირველ თავში აღვნიშნეთ, სამუშაო ძალის განაწილებას სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავს დემოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა, მოსახლეობის რიცხოვნობა, სქესობრივ-ასაკობრივი

სტრუქტურა, შიგა და გარე მიგრაცია, განათლება და ა.შ. დემოგრაფიული ტენდენცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიუთითებს შრომისუნარიანი ასაკის და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირებაზე, რაც უარყოფითად აისახება რეგიონის დემოგრაფიულ ბალანსზე, ეს პირდაპირ შეუშლის ხელს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეგიონის დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება. ეს პოლიტიკა გულისხმობს მოსახლეობის კლებისა და დაბერების თავიდან აცილებას; მიგრაციული პროცესების შეჩერებას; ადამიანისეული კაპიტალის გაძლიერებას; ცხოვრების დონის ამაღლებას. ამ პოლიტიკების გატარება უნდა მოხდეს სხვადასხვა მიმართულებით: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება; განათლება; დასაქმება; შემოსავლების უზრუნველყოფა („საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, 2016). ამ პოლიტიკების განხორციელება შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიანი 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმაში (აჭარის ა.რ. მთავრობა, აჭარის ა.რ. საშუალოვადიანი (2020-2023) სამოქმედო გეგმა, 2019, გვ. 33-42). კერძოდ, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ოჯახების შექმნის მასტიმულირებელი, შვილების ყოლის და მოვლის ხელშემწყობი, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამების განხორციელების, ჯანდაცვის სადაზღვევო პაკეტებით უზრუნველყოფის, დასაქმების, ხარისხიანი განათლების მიღების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და ა. შ. პოლიტიკების გატარება.

რა თქმა უნდა, დემოგრაფიული ფაქტორების გარდა, რეგიონში ბიზნეს სექტორის განვითარებას განსაზღვრავს ეკონომიკური რესურსის პოტენციალი და ბიზნეს-გარემო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი მრავალფეროვნება, თავისი გამორჩეული ინდივიდუალურობით ქმნის რესურსულ პოტენციალს და რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია აუთვისებელი რესურსების რაციონალური გამოყენება (მანველიძე, 2010). აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწის დეფიციტია. ურბანიზაციის დონე და უმუშევრობის მაჩვენებელიც მაღალია საქართველოს სხვა რეგიონებთან განსხვავებით, რაც გამოწვეულია იმით,

რომ რეგიონის ეკონომიკურ სტრუქტურაში დიდი წილი მშენებლობაზე და ტურიზმზე მოდის, რაც ხელს უწყობს დროებით და არა მუდმივ დასაქმებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს დარგები არ მოითხოვს მუშახელის მაღალ კვალიფიკაციას. მეორე თავში ჩვენ მიერ შეფასებული შრომის პროდუქტიულობის მიხედვით, ვაჩვენებთ, რომ შრომის პროდუქტიულობის დონე ყველაზე მეტად მშენებლობისა და დამამუშავებელი მრეწველობის დარგებში გაიზარდა, რაც იმას უკავშირდება, რომ ამ დარგებში ერთ დასაქმებულზე კაპიტალდაბანდების მეტი წილი მოდის. მრეწველობის ყველაზე დიდი ქვესექტორი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამამუშავებელი მრეწველობაა, რომელშიც ლიდერობს საკვები პროდუქტებისა (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება, სამშენებლო მასალებისა და სხვა არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება, ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება. აღსანიშნავია, რომ ამ დარგების საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ინვესტიციების გაზრდა ამ დარგების გაფართოებისთვის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, დამამუშავებელ მრეწველობაზე აჭარის მშპ-ს 14% და დასაქმების 16% მოდის. ამ სექტორში დასაქმებულთა 60% ქალია და 40% კაცი, ხოლო დასაქმებულთა ანაზღაურება ქალების-616 ლარი, კაცების-1018 ლარი (იხ. დანართი 2.3), რაც ნაკლებია მრეწველობის სხვა ქვესექტორებში დასაქმებულთა ანაზღაურებაზე. მრეწველობის სექტორში მოქმედი საწარმოების 88% მცირე საწარმოა და დასაქმებულია დასაქმებულთა 33%. 2017-2019 წლებში ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 7%-ით შემცირდა. მრეწველობის სექტორის საწარმოთა დაახლოებით 60% ბათუმშია, შემდეგ ხელვაჩაურში, ქობულეთში და მცირე რაოდენობით წარმოდგენილია მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში, სადაც აქტიურია ღვინის წარმოება, ხილის გადამამუშავება, თევზისა და რძის პროდუქტების წარმოება. ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში ფართო ასორტიმენტის პროდუქციის წარმოება ხდება, მათ შორის, მეტწილად სამშენებლო მასალების წარმოება. ზოგიერთი სამრეწველო საწარმო სახელმწიფო პროგრამების („აწარმოე საქართველოში“ და „მეღავათიანი აგროკრედიტი“) და დონორი ორგანიზაციების ბენეფიციარია. ტექსტილის წარმოების

განვითარებას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელი შეუწყო თურქულმა ინვესტიციამ და აქაურმა იაფმა მუშახელმა. ბათუმს მნიშვნელოვანი სამრეწველო და სატრანსპორტო პოტენციალი გააჩნია პორტის და ნავთობტერმინალის არსებობის უპირატესობით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, მშენებლობის დარგზე მოდის აჭარის მშპ-ს 14% და დასაქმების 16%. ამ სექტორში დასაქმებულთა 10% ქალია და 90% კაცი, ხოლო დასაქმებულთა ანაზღაურება ქალების-1133 ლარი, კაცების-1912 ლარი (იხ. დანართი 2.3). მშენებლობის ბუმი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოიწვია ტურიზმის ბიზნესის განვითარებამ და მეტწილად აჭარის ზღვისპირა ზოლში, ბათუმსა და ქობულეთში გააქტიურდა, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ქალაქებში სწორედ მშენებლობაშია დასაქმებული.

საბჭოთა პერიოდის აჭარაში წამყვანი სამრეწველო დარგები, როგორცაა ნავთობის გადამუშავება, მანქანების წარმოება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ ჩაანაცვლა მშენებლობის, ვაჭრობის, ტურიზმის და მომსახურების დარგებმა. შრომით რესურსებზე მოთხოვნის თვალსაზრისით სახეზეა ეკონომიკის ტრანსფორმაცია. ბოლო წლებში სწრაფი ტემპებით ვითარდება სერვისების ეკონომიკა.

აჭარის მუნიციპალიტეტებს განსხვავებული ეკონომიკური სპექტრი აქვს. ზოგიერთი ეკონომიკური დარგი ნაკლებადაა გამოკვეთილი არსებული რესურსების სიმწირის ან შეუფერებელი ბიზნეს-გარემოს გამო. მაგალითად, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მშენებლობა მაღალმთიან აჭარაში განვითარების ყველაზე დაბალ პოზიციებზეა. ბათუმისა და ქობულეთისაგან განსხვავებით ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ბიზნესისთვის სპეციალური ინდუსტრიული ზონები, ან ბიზნეს ინკუბატორები არ ფუნქციონირებს. ამ მხრივ ადგილობრივი პრობლემებია: მრეწველობის დარგის განვითარების შეუსაბამობა არსებული რესურსების პოტენციალთან, მაგალითად, უაღკოპოლო სასმელების წარმოების კლებადი ტენდენცია, მაშინ როცა მდიდარი შემადგენლობის მქონე მინერალური და თერმული წყლების რესურსი არსებობს. თუმცა მრეწველობის და ტურიზმის დარგების მნიშვნელობის ამაღლება რეგიონის განვითარების სტრატეგიულ მიზნებშია

გაწერილი. სამაგიეროდ, სოფლის მეურნეობა უფრო პრიორიტეტულია. ქობულეთში გამოკვეთილია სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტურიზმის განვითარების პრიორიტეტები.

აჭარის მაღალმთიანეთის ეკონომიკის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ სოფლის მეურნეობას, აგროსექტორს და ტურიზმს, სადაც ძირითადად ადგილობრივები არიან თვითდასაქმებულები. სოფლის მეურნეობა ტრადიციული დარგია და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მიუხედავად იმისა, რომ მაღალმთიანეთში მცირემიწიანობის და ეროზიული რისკების საფრთხეებია.

აჭარის მუნიციპალიტეტების 2012-2022 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმაში მუნიციპალიტეტის დამახასიათებელი თავისებურების, სპეციფიკისა და რესურსული პოტენციალის მიხედვით შესრულებულია მუნიციპალიტეტების ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, შემუშავებულია განვითარების სტრატეგიული მიმართულებები.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმაში აღნიშნულია, რომ აჭარის მაღალმთიანეთში ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება სამუშაო ადგილების სიმცირე, სოფლიდან ქალაქად მიგრაციის პროცესი, საკუთრების რეგისტრაციის პრობლემა, სამეწარმეო უნარების დაბალი დონე, ინფრასტრუქტურული პრობლემები, ფინანსებზე და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა და ა.შ. გრძელვადიან პერსპექტივაში აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში საკუთარი რესურსების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შესაძლებელია ტურიზმის პოტენციალის ზრდა; აგროსექტორის განვითარება; მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს ფორმირება. უნარებისა და ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მიზნით აუცილებელია აგრარული ექსტენციის მიწოდება, სწავლება და გამოცდილების გაზიარება (მერები ეკონომიკური ზრდისთვის, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციალი აქვს, სოფლის მეურნეობის უამრავი პროდუქტი იმპორტირებულია, მაშინ როცა

შესაძლებელია ადგილობრივი პროდუქციის მიწოდების გაზრდა ბაზარზე. ამისათვის აჭარის მთავრობამ უნდა გაატაროს უფრო აქტიური მასტიმულირებელი პოლიტიკა მცირე მეწარმეებისთვის, რომ შეძლონ ადგილობრივი წარმოების გაფართოება და მეტი პროდუქციის გატანა ბაზარზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებაა. აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავების და მართვის პროგრამის მიზანია „აჭარაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაცია; დარგში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტიანობის და მდგრადობის ამაღლება; აგრარული და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტ-კურსდამთავრებულთა სტაჟირება-კვალიფიკაციის ამაღლება და სამეცნიერო-პრაქტიკულ რეკომენდაციებზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების განვითარება“ (აჭარის ა.რ. მთავრობა, აჭარის ა.რ. საშუალოვადიანი (2020-2023) სამოქმედო გეგმა, 2019), ამასთან აგროსერვისის და ლაბორატორიული კვლევითი მომსახურების განვითარება. ამ პრიორიტეტიდან აშკარად ჩანს რაოდენ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებისა და ექსტენციის მოდერნიზება სოფლის მეურნეობაში და რომ განათლება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბიზნეს სექტორის მდგრადი განვითარებისთვის. კვალიფიციური კადრების მომზადება უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანმა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულმა ხარისხიანმა პროფესიული და უმაღლესი განათლების სერვისებმა, ამიტომ სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობაა.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) 2008 წლიდან ეხმარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ადგილობრივი ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში. 2013-2016 წლებში ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლოს ENPARD ფარგლებში UNDP ხელშეწყობით აჭარის მთავრობასთან თანამშრომლობით მცირე ფერმერების დასაქმებისა და ბიზნესის გაფართოების მიზნით მომზადდა ადგილობრივი განვითარების პროგრამა,

დაარსდა ბიზნეს-ინკუბატორი და აგროსერვის-ცენტრი, გადამზადდა სპეციალისტები სხვადასხვა აგრომიმართულებით, გაშენდა სადემონსტრაციო ნაკვეთები აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (UNDP საქართველო). მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამების განხორციელება მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივი კადრების დასაქმებას, შემცირდეს სამუშაო ძალის მიგრაცია, შემცირდეს სიღარიბის დონე.

კორონავირუსით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ადგილობრივ წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს და უნდა წახალისდეს ის დარგები, რომლებსაც წარმოების დიდი პოტენციალი აქვთ. ეპიდემიის გავრცელების შემცირების მიზნით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ამოქმედდა შეზღუდვები, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა დასაქმებასა და შემოსავლებზე. ყველაზე მეტად დაზარალდნენ შემდეგი საქმიანობები: ხელოვნება, გართობა და დასვენება; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები; ტრანსპორტი და დასაწყობება; მშენებლობა; მრეწველობა, კვების და ფარმაცევტული მრეწველობის გარდა; საბითუმო და საცალო ვაჭრობა, სასურსათო მაღაზიების და აფთიაქების გარდა. შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით ამ სექტორებში შემცირდა დასაქმებაც და შემოსავლებიც (საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2020). მთავრობის მიერ შემუშავდა კერძო სექტორში ბიზნესის მხარდამჭერი პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა საშემოსავლო გადასახადის შეღავათებს, რამაც საშუალება მისცა ბიზნესს ნაწილობრივ შეენარჩუნებინა სამუშაო ადგილები.

საყურადღებოა, რომ ინფიცირების მაჩვენებლის ზრდამ და დაავადების რისკის ზრდის ფაქტორმა გამოიწვია შრომითი რესურსების შემცირება და მოქმედ დასაქმებულთა დატვირთვის გაზრდა, რაც ამცირებს მათ პროდუქტიულობას, ამიტომ შრომითი რესურსის შენარჩუნება იქცა ერთგვარ პრობლემად ბიზნეს სექტორში (ტაბატაძე, 2022). გრძელვადიან პერსპექტივაში პანდემიური კრიზისის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისგან ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ საჭიროა დასაქმებულთათვის შეღავათების გაწევა ჯანდაცვის და სამუშაო პირობების

თვალსაზრისით, ასობით გათავისუფლებული მუშახელის პროფესიულ გადამზადებაზე და სუბსიდირების პროგრამებში ჩართვაზე ზრუნვა.

პანდემიის პერიოდში, განსაკუთრებული სიმწვავე იგრძნობა იმპორტდამოკიდებულ სექტორებში, ამიტომ მნიშვნელოვანია რეგიონში ადგილობრივი წარმოების გაზრდა. ბიზნესის იმ სექტორებს, რომლების საექსპორტო საქმიანობას ეწევიან, ნაკლებად დააწვა პანდემიის ტვირთი, შესაბამისად მეტად მნიშვნელოვანია იმ ქვედარგების განვითარებაზე აქცენტის გაკეთება, რომლებსაც ყველაზე დიდი პოტენციალი აქვთ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სოფლის მეურნეობის ისეთი მიმართულებები, როგორცაა ციტრუსის, ჩაის, თხილის, თამბაქოს, ვაზის, ხილის, თევზის წარმოება, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა და სხვ. არსებული რესურსების გათვალისწინებით სავსებით შეიძლება იქცეს კონკურენტუნარიან მიმართულებებად. ეროვნული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის აუცილებელი ქმედითი ღონისძიებების შემუშავება სახელმწიფო უწყებებისა და კომპანიების ჩართულობით (გეჩაია ბ.,..., 2020).

ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს იმის რესურსული პოტენციალი, რომ შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემო. ამას ხელს უწყობს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი მრავალფეროვნება და სხვ. არსებული შეზღუდული რესურსების ფარგლებში შესაძლებელია ბიზნეს სექტორის პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებების განვითარება. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივ რესურსებთან ერთად, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის სტარტაპ პროგრამებისა და საგრანტო პროექტების მხარდაჭერით, სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური თანადგომით, ნოვატორული იდეების წახალისებით, შესაძლებელია ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლების ხელშეწყობა.

მსოფლიო ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარმოდგენილ ევროპისა და აზიის ქვეყნების (ECA) 2020 წლის რეგიონულ ანგარიშში „Doing Business 2020“ (WORLD BANK, 2020), საქართველო მსოფლიო რეიტინგულ სიაში მე-7 ადგილზე აღმოჩნდა,

მაშინ როცა 2019 წელს მე-6 ადგილზე იყო, ხოლო 2018 წელს მე-9 ადგილზე. უდავო ფაქტია, რომ საქართველოში ბიზნესის განვითარება ხდება, თუმცა მიუხედავად სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებისა, მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი კვლავ აწყდება სიმნელებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს კონკურენტუნარიანობაზე (OECD, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში).

ამრიგად, კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების და ეფექტური გამოყენების სწორი პოლიტიკა, ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების და წარმოების მასტიმულირებელი პოლიტიკის განხორციელება არის რეგიონის განვითარების უმნიშვნელოვანესი სტრატეგია. რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია რეგიონში არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობასთან. დემოგრაფიული გარემო ქმნის ბიზნესის განვითარების საფუძველს. შესაბამისად, ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკა და დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკა განუყოფელია. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აჭარის ეკონომიკური და დემოგრაფიული რესურსების ოპტიმალური შეთანაწყობა და მუდმივი ზრდა იქნება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარების საწინდარი.

დასკვნები და რეკომენდაციები

დემოგრაფიული მაჩვენებლების შესწავლამ და სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებული დემოგრაფიული მაჩვენებლების განვითარების ტენდენციებია. თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაციის, სამუშაო ძალისა და ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა კომპლექსური კვლევის საფუძველზე შევაფასეთ მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის განვითარების პოტენციალი და სამომავლო პროგნოზები. შესწავლის პროცესში გამოიკვეთა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციები, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ხელისშემშლელი

ფაქტორები და შემუშავდა ის რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის სამომავლო განვითარებას. კვლევის შედეგებით დადგინდა:

1. დემოგრაფიული განვითარების ტენდენცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიუთითებს შრომისუნარიანი და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირებაზე, რაც პირდაპირ აისახება რეგიონში შრომითი პოტენციალის ფორმირებაზე და ბიზნესის განვითარებაზე. ამიტომ საჭიროა, დროული და ადეკვატური დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მწვავე დემოგრაფიული პრობლემები;

2. რეგიონის ეკონომიკური განვითარების საფუძველს კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის არსებობა წარმოადგენს. აუცილებელია, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირება, განათლების ხარისხის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა, რადგან რეგიონში გამოიკვეთა პროფესიული განათლების დაბალი მაჩვენებელი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის ჩართულობა განათლების სექტორთან, კერძოდ, დამსაქმებლებმა ითანამშრომლონ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და დასაქმების მიზნით;

3. მიმდინარე გლობალურმა პანდემიურმა პროცესებმა, უფრო მეტად წარმოაჩინა თანამედროვე ტექნოლოგიების, ინოვაციების საჭიროება და დაადასტურა, რომ ტექნოლოგიური განვითარების პროცესები უალტერნატივოა წარმოების სფეროში. შესაბამისად, რეგიონული ბიზნესის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ინვესტიციების მობილიზება და მიმართვა მაღალპროდუქტიული, ინოვაციური კონკურენტუნარიანი საწარმოების ჩამოსაყალიბებლად;

4. კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალი, როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის, ინოვაციური განვითარების ძირითადი რესურსია. მნიშვნელოვანია მის ფორმირებაში უშუალოდ დამსაქმებლის და სახელმწიფოს ჩართულობა. კერძოდ, დამსაქმებლებმა მეტი ძალისხმევით უნდა იზრუნონ პერსონალის კვალიფიკაციის

ამაღლებაზე დარგში ინოვაციების ათვისების, ტრენინგებისა და სტაჟირებების საშუალებით. ყოველივე ამას კი ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ინოვაციურმა პოლიტიკამ ინფრასტრუქტურის, განათლების ხარისხის, ფინანსური კაპიტალის, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის, ინოვაციური შესაძლებლობების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის მიმართულებებით;

5. მცირე და საშუალო მეწარმეობას რეგიონის ბიზნეს სექტორის და ეკონომიკურ განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ადგილობრივი რესურსების გამოყენების, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალის თვალსაზრისით. თუმცა ხშირ შემთხვევაში მცირე კომპანიები რთულად ან ვერ ახერხებს კონკურენტულ გარემოში განვითარებას და მალე გადიან ბაზრიდან. აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სუბიექტისთვის, უპირველესად მნიშვნელოვანია მცირე მეწარმეთა წახალისება, ამ მიმართულებით პროგრამების შემუშავება;

6. ბოლო წლებში მცირე ბიზნესში წარმოებული პროდუქციის მოცულობის შემცირების ტენდენცია დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის პირობებში და მცირე ხელფასები შრომის პროდუქტიულობის შემცირებაზე მიუთითებს. ამის უმთავრესი მიზეზი მცირე ბიზნესში დასაქმებულთა პროფესიული უნარების ნაკლებობაა, რაც ამცირებს პროდუქტიულობას და საწარმოთა გაზრდის პერსპექტივას, ამიტომ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შრომის პროდუქტიულობის გაზრდისკენ მიმართული აქტიური პოლიტიკის გატარება - რესურსები უნდა იყოს მიმართული ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისკენ და საწარმოებში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისკენ;

7. დროითი მწკრივის მოსწორების მეთოდებით საპროგნოზო შეფასებამ 2022 წლისთვის აჩვენა მცირე და საშუალო საწარმოებში პროდუქციის გამოშვების მოცულობის საპროგნოზო მნიშვნელობის 30%-იანი ზრდა (2019 წელთან შედარებით), რაც საკმაოდ დამაიმედებელია და იმაზე მიუთითებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს სამომავლოდ აქვს წარმოების გაზრდის პოტენციალი, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობის საპროგნოზო მნიშვნელობების 9%-იანი კლება განპირობებულია სამუშაო ძალის კლების ტენდენციით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამიტომ

საჭიროდ მიგვაჩნია პირველ რიგში სამუშაო ძალის კლების საწინააღმდეგო და შემდგომ, დასაქმების ხელშემწყობი აქტიური პოლიტიკის გატარება;

